N 4 2024

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს: „დილემებით სწავლება“

№4(101), 2024
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მაია ფირჩხაძე, ნესტან მიქაძე,
ინა იმედაშვილი, ნინო ლომიძე,
ქეთევან ოსიაშვილი,
ქრისტინე სურგულაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ლელა კოტორაშვილი,
ცირა ბარაბაქაძე,
მეგი კავთუაშვილი,
მარიამ გოდუაძე, ქეთევან კუპატაძე,
ირმა ტაველიძე, ნანა აბულაძე,
ლევან ლორთქიფანიძე,
შორენა ტყეშელაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

www.tpdc.ge

ნატო ინგოროყვა

ახლა არდადეგების დროა. ზაფხულის რამდენიმე დღე მასწავლებლებისთვის ნამდვილად შეიძლება იყოს დასვენებისთვის. დასვენება ნებისმიერ პროფესიაში აუცილებელია, მაგრამ მასწავლებლის პროფესიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

რთულია მასწავლებლობა. პროფესია მუდმივად ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მასწავლებელს. ხანგრძლივი სტრესი გადაღლას და, საბოლოო ჯამში, პროფესიულ გადაწვას იწვევს და მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლა ერთ-ერთი სერიოზული საკითხია განათლებაში.

გადაწვა – ეს ის მდგომარეობაა, რომელიც ადამიანური რესურსების გამოფიტვას იწვევს. ეს პროცესი ნელა და თითქოს შეუმჩნევლად მიმდინარეობს, თუმცა ადამიანის შინაგან სამყაროს სერიოზულ ზიანს აყენებს.

პრევენციისთვის ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ ან მოვისმინოთ ფსიქოლოგების რჩევები და სტრატეგიები, მათ შორის, როგორ გამოვიმუშაოთ სტრესის პოზიტიური დაძლევის უნარები – სირთულეებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, პასუხისმგებლობა, მაღალი თვითშეფასება, ოპტიმიზმი, ინიციატივიანობა, როგორ გავმიჯნოთ სამსახური და პირადი სამყარო, როგორი მნიშვნელოვანია შრომის დოზირება. აუცილებელია, ვისწავლოთ სამუშაოს დროულად დამთავრება. წესები წასაკითხად და მოსასმენად მარტივია, შესასრულებლად – რთული.

ჩვენი დაღლილობის კოეფიციენტის გასაზომად გვთავაზობენ ტესტებს, რომლებიც დაგვეხმარება, შევაფასოთ საკუთარი თავი, რამდენად თვალსაჩინოა პროფესიული გადაღლა: გრძნობთ, რომ დაქანცული, ფიზიკური და ემოციური ენერგიისგან დაცლილი ხართ? ამჩნევთ თუ არა, რომ ზოგჯერ სამსახურზე უარყოფითად ფიქრობთ, ხალხის მიმართ უფრო მკაცრი და ნაკლებად თანამგრძნობი ხართ, ვიდრე ისინი იმსახურებენ? ადვილად გაღიზიანებენ თანამშრომლები და გუნდის წევრები? გაქვთ განცდა, რომ თანამშრომლებს არ ესმით თქვენი ან არ გაფასებენ? თქვენს საწუხარზე ვერავის ესაუბრებით? ფიქრობთ, რომ იმაზე ნაკლებს აღწევთ, ვიდრე შეგიძლიათ? წარმატების მისაღწევად უსიამოვნო წნეხის ქვეშ ხართ? სამსახურისგან იმას ვერ იღებთ, რაც გსურთ? გაქვთ განცდა, რომ შეუსაბამო ორგანიზაციაში, შეუსაბამო პროფესიაში ხართ? სამსახური თქვენში ერთგვარ იმედგაცრუებას იწვევს? ორგანიზაციული პოლიტიკა ან ბიუროკრატია ხელს გიშლით კარგად მუშაობაში? სამუშაო იმაზე მეტია, ვიდრე პრაქტიკულად მისი შესრულების უნარი გაქვთ? ფიქრობთ, რომ დრო არ გყოფნით იმ საქმეებისთვის, რომელთა შესრულება ხარისხიანი მუშაობისთვისაა საჭირო?

თუ ამ კითხვებზე ჩვენი პასუხები გულწრფელი იქნება, ვაღიარებთ, რომ ჩვენც სადღაც ახლოს ვართ პროფესიული გადაწვის ზღვართან.

მასწავლებლები უნდა ახერხებდნენ მოსწავლეებისადმი და საკუთარი თავისადმი პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნებას. ამიტომაც მნიშვნელოვანია, არდადეგები მართლაც დასვენებისთვის იყოს. ღირსეულად და სრულყოფილად დასვენებისთვის კი მასწავლებელი ფინანსურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს.



მოსაზრება

ნინო ლომიძე

21 | გისმენ, ვიაზრებ, შევიმეცნებ და... ვიფართოებ თვალსაწიერს – მოსმენის მნიშვნელობა შემეცნების გზაზე

მნიშვნელოვანია, მოაზროვნე ადამიანები მივაჩვიოთ სხვისი მოსაზრებების ყურადღებით მოსმენას. არა შეკამათებისთვის, არა საპასუხო არგუმენტის მოფიქრებისა და მისი არგუმენტის გაბათილებისთვის, არამედ მოსმენა – მოსმენისთვის, შემეცნებისთვის, ცნობისწადილის დაკმაყოფილებისა და ცოდნის შევსებისთვის.

ქრისტინე სურგულაძე

31 | როგორ ვირჩევთ სამსახურს?

ჩვენ ბევრს ვსწავლობთ, როგორ ვასწავლოთ, როგორ გავხდეთ უკეთესი პროფესიონალები, რათა მოსწავლეები შთავაგონოთ, რათა ასათვისებელი მასალა ისე გადავცეთ, რომ სწავლა სიამოვნებად და თავგადასავლად ვაქციოთ. ვსწავლობთ ჩვენი მოსწავლეების ინტერესებს, ჰობებს, გრძნობებს, ემოციებს, რათა მათთან ურთიერთობისას არაფერი გამოგვრჩეს, არაფერი შეგვეშალოს, რადგან ვიაზრებთ, რამდენად ფაქიზია სკოლის ნებისმიერ ეტაპზე მათი ასაკი და პიროვნება.

თინათინ ზარდიაშვილი

33 | მაგალითზე დაფუძნებული სწავლებისთვის

მაგალითებზე, ანუ კონკრეტულ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება შეიძლება სამართლის, მედიცინის და ნებისმიერ სკოლაში, სადაც მასწავლებელს უნდა, მოსწავლეებმა ნასწავლი რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ. შემთხვევები მრავალფეროვანია, მაგალითად, „რას გააკეთებდი კონკრეტულ სიტუაციაში?“ კითხვას ახლავს დეტალური აღწერა სიტუაციისა, მონაცემები გაანალიზებისთვის და სხვა დამხმარე მასალა.

ქეთევან კუპატაძე

54 | „ვინ“ იმალება E-ს უკან?

დღეს პროდუქტების უმეტესობას ხანგრძლივი შენახვის ვადა აქვს და ეს კონსერვანტების წყალობით ხდება. ამ მიზნით უამრავი ქიმიური ნივთიერება ემატება საკვებს და ეტიკეტზე ისახება E-სიმბოლოთი, რომელსაც ნომერი-კოდი მოსდევს.

პროექტი

მაია ფირჩხაძე

4 | კვლევაზე ორიენტირებული პროექტები – მოსწავლეთა თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალება

XXI საუკუნე სწრაფად ცვალებადი პედაგოგიური ტექნოლოგიების ეპოქაა. ამ ტექნოლოგიებიდან გამოირჩევა პროექტების მეთოდი. ის არ არის ახალი პედაგოგიური პრაქტიკისთვის, მაგრამ დღესდღეობით, მას მიიჩნევენ ყველაზე ეფექტურ მეთოდად, რომელსაც შეუძლია მოსწავლის უნარების მაქსიმალური გათვალისწინება და შესასწავლ მასალასთან ადაპტაცია.

პროფესია მასწავლებელი

ინა იმედაშვილი

15 | სკოლიდან ცხოვრებამდე: მასწავლებელი, როგორც მეგზური, მასწავლებელი, როგორც შემოქმედი, მასწავლებელი, როგორც აღმომჩენი და ერთგული მეგობარი

მინდა, ამ წერილში მოსწავლესა და მასწავლებელზე მოგიყვეთ. მათ ერთმანეთი წლების წინ, არცთუ ბედნიერ დროს – შეშის ღუმლისა და გაყინული თითების ეპოქაში იპოვეს ქართულის გაკვეთილზე, იქ, სადაც შესაძლებელია, გულები ააჩქარო და თვალები აანთო, სადაც მასწავლებელს ეძლევა ჯადოსნური შესაძლებლობა, გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი ბავშვის ცხოვრებაში, გახდეს ცვლილებებისა და სიხარულის მიზეზი.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

24 | ვისწავლოთ და ვასწავლოთ ბავშვებს სიყვარული

ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჩვენს ქცევას, საუბარს, სიტყვას, ემოციების გამოხატვის ფორმებს ყოველდღიურად, ყოველ წუთს „გამადიდებელი ლუპით“ აკვირდებიან ბავშვები და თუ მათი ემოციური ინტელექტით უკმაყოფილო ვრჩებით, ცუდი არ იქნება, ჩავიხედოთ საკუთარ თავში, დავუკვირდეთ ჩვენს ქცევას, იმას, თუ როგორ გამოვხატავთ გრძნობებს, ემოციებს; ვიფიქროთ იმაზე, თუ რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ბავშვი უფრო მოსიყვარულე, ემპათიური, თანამგრძნობი აღიზარდოს.

სარჩევი

სამოქალაქო განათლება

მარიამ გოდუაძე

50 | რატომ გვჭირდება სასკოლო პროექტები ფემიციდისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ

ემოციური ძალადობა სიძულვილის ენით იწყება. კარგი იქნებოდა ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეებში როგორც სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოება, ისე ღირებულებებზე დაფუძნებული ენობრივი თუ საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვაც.

27 ირმა ტაველიძე
კარვის სკოლა

28 ლევან ლორთქიფანიძე
უპირობო მეგობრობა

29 შორენა ტყეშელაშვილი
ზაფხული ჩვენი მღელვარებისა

30 ნანა აბულაძე
ფიქრები ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ისტორიაზე

რესურსი

ნესტან მიქაძე

9 | ტრანსდისციპლინური ინტეგრირებული გაკვეთილი „ქმედება იწვევს უკუქმედებას“

ინტეგრირებული სწავლება კვეთს საგნობრივ ხაზებს, აერთიანებს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ასპექტს, ფოკუსირებას ახდენს დასწავლის ფართო სფეროებზე. სწავლება ხდება ჰოლისტური გზით და ასახავს რეალურ სამყაროს, რომელიც ინტერაქციულია.

გამოცდილება

ლელა კოტორაშვილი

37 | წავუკითხოთ ერთმანეთს

ჩემს მასწავლებლურ გამოცდილებაზე დაკვირვებით, კითხვის სწავლა უფრო და უფრო უჭირთ ბავშვებს. ბევრს ვფიქრობ, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ თანამედროვე სამყაროს ამ ურთულეს გამოწვევას. ახლა ბავშვებს ისე სჭირდებათ უფროსების დახმარება, როგორც არასდროს. ბრაზი იმის გამო, რომ ვერ ან არ კითხულობენ ბავშვები, მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეგვიშლის.

ციფრული წიგნიერება

ცირა ბარაბაქაძე

42 | რა არის AI-ჩატბოტები და როგორ ცვლიან ისინი სწავლების ფორმებს

გასაოცარ სამყაროში გვიწევს ცხოვრება: ერთი მხრივ, სოციალური გარემო თავისი ყოველდღიური პრობლემებით და, მეორე მხრივ, ციფრული ეპოქა და ტექნოლოგიები, რომლებიც გვთავაზობენ განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, არსებობს ტექნოლოგია, რომელიც დაგვეხმარება, ხშირად უფროსი თაობა თავს იკავებს მისი გამოყენებისგან.

მშობელი

მეგი კავთუაშვილი

46 | მშობელთა კლუბი სკოლაში

მშობელთა კლუბი მოხალისეობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც დაშვებულია ზოგადი განათლების შესახებ კანონითაც. მშობელთა კლუბის მიზანი შეიძლება იყოს წიგნის კითხვის, ხელსაქმის პოპულარიზაცია, ბულინგის ან ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია, დამატებითი ფინანსების მოძიება, სპორტის ან ხელოვნების სწავლების გაძლიერება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მოსწავლეთა კვების ორგანიზება, სკოლასთან მისასვლელ გზებზე უსაფრთხოების დაცვა, პედაგოგების მხარდაჭერა, სასკოლო გამოწვევების დაძლევა და სხვა.

მაია ფირჩხაძე

კვლევაზე ორიენტირებული პროექტები – მოსწავლეთა თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალება

XXI საუკუნე სწრაფად ცვალებადი პედაგოგიური ტექნოლოგიების ეპოქაა. ამ ტექნოლოგიებიდან გამოირჩევა პროექტების მეთოდი. ის არ არის ახალი პედაგოგიური პრაქტიკისთვის, მაგრამ დღესდღეობით მას მიიჩნევენ ყველაზე ეფექტურ მეთოდად, რომელსაც შეუძლია მოსწავლის უნარების მაქსიმალური გათვალისწინება და შესასწავლ მასალასთან ადაპტაცია.

XXI საუკუნე სწრაფად ცვალებადი პედაგოგიური ტექნოლოგიების ეპოქაა. ამ ტექნოლოგიებიდან გამოირჩევა პროექტების მეთოდი. ის არ არის ახალი პედაგოგიური პრაქტიკისთვის, მაგრამ დღესდღეობით მას მიიჩნევენ ყველაზე ეფექტურ მეთოდად, რომელსაც შეუძლია მოსწავლის უნარების მაქსიმალური გათვალისწინება და შესასწავლ მასალასთან ადაპტაცია. ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დამოუკიდებლად ააგოს თავისი ცოდნა, შეივსოს ინფორმაციის დეფიციტი, გამოთქვას ჰიპოთეზები, დაადგინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები, შექმნას საკუთარი შემოქმედებითი პროდუქტი და მიიღოს მისგან მაქსიმალური სარგებელი.

ისტორიის სწავლებისას გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროექტები, რომელთაგან თითოეული კონკრეტულ საგანმანათლებლო მიზნებსა და ამოცანებს არის მორგებული. ესენია:

- კვლევითი პროექტები (თემატური, საარქივო და ადგილობრივი ისტორიის კვლევა);
- კულტურული პროექტები;
- ბიოგრაფიული პროექტები;
- როლური/თეატრალიზებული თამაშები;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე ორიენტირებული პროექტები;
- თანამედროვე პრობლემების ისტორიული ანალიზი;
- ინტეგრირებული პროექტები;
- სამუზეუმო პროექტები და სხვ.

ასეთ პროექტებზე დაყრდნობით მოსწავლეები სწავლობენ ისტორიულ ფაქტებს, ივითარებენ კვლევით, ანალიტიკურ, კრეატიულ, კომუნიკაციურ უნარებს. პროექტები ძალზე ფასეულია ღირებულებითი განათლების კუთხითაც.

აღნიშნული პროექტებიდან ისტორიის გაკვეთილებზე, ეფექტიანობის თვალსაზრისით, გამორჩეულია კვლევითი პროექტები. ამაში მოიაზრება:

- თემატური კვლევა – კონკრეტული ისტორიული პერიოდის, მოვლენების, პირების ან კულტურის დეტალური კვლევა;
- საარქივო მასალების კვლევა – ისტორიული დოკუმენტების, ფოტოებისა და არტეფაქტების შესწავლა;
- ადგილობრივი ისტორიის კვლევა, **რაც საინფორმაციო პროექტის ტიპის კვლევაა და მიზნად ისახავს** ადგილობრივი, კონკრეტული ისტორიული მოვლენებისა და ობიექტების გამოკვლევას და მათი მნიშვნელობის გაგებას.

გთავაზობთ კვლევითი პროექტის ნიმუშს ისტორიის საგნობრივი კურსიდან, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივი ისტორიის კვლევაზე და ხელს უწყობს მოსწავლეების ფართოდ ინფორმირებას კონკრეტულ საკითხზე; ასევე ორიენტირებულია ღირებულებით განათლებასა და სამოქალაქო კომპეტენციების ამაღლებაზე.

კლასი – IX

თემა – ახალი დრო (საქართველო და მსოფლიო XVII–XIX საუკუნეებში)

საკითხი – რუსული კოლონიური პოლიტიკა საქართველოში

პროექტის დასახელება – გერმანული დასახლებები საქართველოში

პროექტის ტიპი – ადგილობრივი ისტორიის კვლევა

პროექტის მიზანი – საქართველოს ტერიტორიაზე გერმანული დასახლებების ისტორიის გამოკვლევა; მათი კულტურისა და ტრადიციების გაანალიზება; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე მათი გავლენის გაცნობიერება და გააზრება.

მუშავდება ძირითადი სამიზნე ცნებები: წყარო / ინტერპრეტაცია (ისტ. საბ. 1, 2, 5, 6); დრო (ისტ. საბ. 3, 7, 8); სივრცე (ისტ. საბ. 3, 9, 10); საზოგადოება (ისტ. საბ. 7, 8, 10, 11, 12); ძალაუფლება (7, 8, 10, 11, 12); ისტორიული მოვლენა/პროცესი (ისტ. საბ. 4, 5, 6, 8, 9).

პროექტის სტრუქტურა და მიმდინარეობა:

I ეტაპის ამოცანა – კვლევა

ამ მიზნით:

ა) შეისწავლეთ გერმანული დასახლებების ისტორიული კონტექსტი და გერმანელების ჩამოსვლის მიზეზები; ყურადღება გაამახვილეთ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზნებსა და მეთოდებზე საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს;

ბ) გააანალიზეთ კონკრეტულ რეგიონებთან (ქვემო ქართლი, თბილისი, ქუთაისი) მიმართებით გერმანული კოლონიზაციის მნიშვნელობა.

რესურსები:

- ისტორიის სახელმძღვანელო, IX კლასი. მოსწავლის წიგნი. ავტორები: ნატო ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნათია ფირცხალავა. თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2020. &23, გვ. 107-109
- საინფორმაციო ბარათები (ბარათი 1, 2, 3, 4, 5, 6)

ბარათი 1.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის მთავრობის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეკვრით რუსეთთან“ ექციათ იგი მის განუყრელ ნაწილად. უზენაესი ხელისუფლების მიზანი იყო, საქართველო გადაექციათ ისეთ მხარედ, რომელიც პოლიტიკურად სანდო იქნებოდა, ხოლო ეკონომიკურად – მაქსიმალურად მომგებიანი. ამ პოლიტიკის განხორციელებას რუსეთი ცდილობდა სხვადასხვა გზით, რომელთა შორის უმთავრესს ქვეყნის კოლონიზაცია წარმოადგენდა...

XIX ს. 30-იანი წლებიდან სულ უფრო და უფრო გახშირდა ხმები სამხრეთ კავკასიაში რუსული კოლონიების და, კერძოდ, სამხედრო დასახლებათა შექმნის აუცილებლობის შესახებ. ეს უკანასკნელი უნდა შეექმნათ სამსახურიდან გადამდგარი დაოჯახებული ჯარისკაცებისაგან, რომელთაც მთავრობა უზრუნველყოფდა მიწის საჭირო რაოდენობით და სამუშაო იარაღებით. კოლონისტებს მთავრობა განიხილავდა როგორც საყრდენ ძალას, რომელიც განსაცდელის ჟამს მუდამ მზადყოფნის მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო.

1837 — 1860 წწ. პერიოდში სამხრეთ კავკასიაში სულ 10 სამხედრო კოლონია შეიქმნა (საქართველოში – ნაღვერში, მანგლისში, კოჯორში, ახალციხის რაიონში).

ბარათი 2. საქართველოს კოლონიზაცია არა მარტო სამხედრო დასახლებების შექმნის გზით მიმდინარეობდა. კავკასიაში ასახლებდნენ აგრეთვე სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების მიმდევრებს: **დუხობორებს, მოლოკნებს, სუბოტნიკებს** და სხვ., რომელთა რუსეთის შიდა გუბერნიებში დატოვება ხელისუფლებას სასურველად არ მიაჩნდა.

წლის 20 ოქტომბერს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მართლმადიდებლური ეკლესიისგან განმდგარი ყველა რელიგიური მიმდინარეობის (დუხობორები, მოლოკნები, სუბოტნიკები) წარმომადგენლები სამხედრო სამსახურში კავკასიის კორპუსში უნდა გაეგზავნებინათ, სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარი მამაკაცები და ქალები კი სამხრეთ კავკასიის პროვინციებში გადაესახლებინათ.

ბარათი 3. 1841-1845 წლებში ხუთი ათასამდე დუხობორი ჯავახეთში დაასახლეს. ასე დაარსდა სოფლები: როდიონოვკა, ეფრემოვკა, ორლოვკა, დუბროვკა, ტროიცკი და ბოგდანოვკა. იმავე საუკუნის დასასრულს მათი რიცხვი უკვე რვა ათასს უდრიდა. 1833 წელს „საკუთარ ღმერთთან“ შესახვედრად რუსეთიდან საქართველოში მოლოკნები ჩამოვიდნენ. მათი ერთი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში დასახლდა და სოფლები კრასნოგორსკი და ულიანოვკა დააარსა, მეორე ნაწილი კი თბილისში დარჩა. 1856 წლისთვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში უკვე 60000-მდე რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ცხოვრობდა.

სურ. 1 დუხობორების სამლოცველო

სურ. 2 დუხობორების სახლი

სურ. 3 გერმანელების სახლი სოფ. ასურეთში

ბარათი 4. საქართველოში გერმანელთა ჩამოსახლება XIX საუკუნის I ნახევრიდან დაიწყო. მანამდე ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან რუსეთის იმპერიაში დასახლება დაიწყეს გერმანელებმა, ჰოლანდიელებმა, შვეიცარიელებმა და ფრანგებმა. ამ გადმოსახლების მიზეზი რუსეთის იმპერატორების მიერ გამოცემული ის მანიფესტები იყო, რომლებიც უცხოელებს რუსეთში საცხოვრებლად იწვევდა. ჩამოსახლებული ევროპელები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. XIX საუკუნიდან გერმანელებმა უკვე საქართველოშიც დაიწყეს დასახლება. ამ ღონისძიებებს, ეკონომიკური თვალსაზრისით, დაუსახლებელი ადგილების ათვისება, პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ადგილობრივ მოსახლეობაში დასაყრდენის გაჩენა უნდა მოჰყოლოდა. გერმანელ კოლონისტთა პირველი ჯგუფი 31 ოჯახის შემადგენლობით 1817 წელს ჩამოვიდა. ისინი სართიჭალის მახლობლად დასახლეს. დასახლებას მარიენფელდი ეწოდა. მომდევნო წელს საქართველოში გერმანელთა 500 ოჯახი ჩამოვიდა. ისინი თბილისის გუბერნიის სხვადასხვა ადგილებში ჩაასახლეს. მთავრობამ თითოეულ კოლონისტ მამაკაცს 35 დესეტინა (დაახლოებით 1 ჰექტარი) მიწა გამოუყო. 1819 წლისთვის საქართველოში უკვე რამდენიმე გერმანული კოლონია იყო — მარიენფელდი, პეტერსდორფი, ალექსანდერდორფი, ელიზაბეტალი და კატერინენფელდი.

ბარათი 5. **წყარო დ) მთავარმართებელ ივანე პასკევიჩის წერილი რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრს ეგორ კონკრინს, 1830 წ.**

„განა საქართველო არ უნდა განვიხილოთ როგორც კოლონია, რომელიც დაამზადებს რა უხეშ მასალას... ჩვენი ფაბრიკებისთვის, რუსეთიდან ჩამოიტანს მანუფაქტურულ ნაწარმს. საქართველოში მანუფაქტურების დაარსების შემთხვევაში კი დაირღვევა უკანასკნელის კავშირურთიერთობა რუსეთთან“.

ბარათი 6. **წყარო დ) რუსეთის იმპერიის მოხელის, ფინანსური მრჩევლის, ბარონ პაულ განის მოხსენებიდან, 1837 წ.**

„ნანარმის მრავალფეროვნება და სიმდიდრე სამხრეთ კავკასიაში სულ მცირე შრომისა და უმნიშვნელო კაპიტალის დაბანდებით ჩვენ დიდ მოგებას გვპირდება; ამიტომ უთუოდ საკმარისი იქნება, რომ მთავრობა დაკმაყოფილდეს მარტოოდენ მინათმოქმედების წაქეზებით ყველა მისი დარგითურთ და მოაშენოს ის ნედლი მასალა, რაც შეესატყვისება აქაურ ნიადაგსა და კლიმატს. რაც შეეხება ფაბრიკებისა და მანუფაქტურების შემოღებას, ეს წაგვართმევდა დიდ ძალ-ღონეს, რაც ესოდენ აუცილებელია მინათმოქმედებისა და ადგილობრივი მხარისათვის, ყოველგვარი სარგებლობის გარეშე ხელს შეუშლიდა რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას, რადგან მარტო მათ შეუძლიათ მოიხმარონ აბრეშუმი, ბამბა, ზეთოვანი მცენარეები, საღებავი ნივთიერებანი და სხვა მდიდარი ნაწარმი“.

- მუშაობა რუკებზე – „წლები და ადგილები“. რუკების ანალიზი
  - რა პერიოდში გაჩნდა საქართველოში გერმანული დასახლებები?
  - რომლები იყო უმთავრესი რეგიონები (ქუთაისი, შიდა ქართლი, კახეთი და სხვ.)?
  - რეგიონების განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობა.

რუკა 1.

რუკა 2.

- მიღებული ცოდნისა და რუკების გამოყენებით საქართველოში გერმანული დასახლებების ისტორიული კონტექსტის, გერმანელების ჩამოსვლის მიზეზებისა და პერსპექტივების გაანალიზება და წერილობითი დასკვნის მომზადება.

II ეტაპის ამოცანა – კულტურული ანალიზი

ამ მიზნით:

ა) აღწერეთ გერმანელი კოლონისტების კულტურა, ტრადიციები და სოციალური სტრუქტურა.

ბ) შეაფასეთ, რა გავლენა მოახდინეს მათ ადგილობრივ კულტურაზე.

რესურსები:

- **ქართულ-გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში**
- **პირველი გერმანელები საქართველოში**
- **გერმანელი კოლონისტები საქართველოში**
- **გერმანული კოლონიები კავკასიაში**
- **ასურეთი**
- **ასურეთი – გერმანული სოფელი**

სამეცნიერო ლიტერატურა:

- ჰაინრიხი, ვოლფგანგი. გერმანული კოლონისტების ისტორია საქართველოში. თბილისი: მერია, 2005;
- ივანიშვილი, გიორგი. საქართველოს გერმანული დიასპორის ისტორია. თბილისი: უნივერსიტეტი, 2010;
- კლიმენტი, თეოდორე. კოლონიზაცია და კულტურული ურთიერთობები. ბათუმი: სამეცნიერო ცენტრი, 2012.

დამატებითი ლიტერატურა:

- კომახია მ., გერმანელები საქართველოში. „სოლიდარობა“. თბ., 2007 №5 (14).
- მანჯგალაძე გ., გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. „მეცნიერება“, თბ., 1974.
- შპრინგჰორნი დ., გერმანელები საქართველოში. თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, 2004.
- საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის შედეგები.
- http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH72aa3612a13de46159ba24.6?p.s=TextQuery

III ეტაპის ამოცანა – ეკონომიკური გავლენა:

ამ მიზნით: ახსენით, როგორ უწყობდა ხელს გერმანული დასახლებები საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასა და ინდუსტრიაში; კვლევის საფუძველზე აღწერეთ სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება ადგილობრივებსა და გერმანელებს შორის.

- **თბილისში დაკარგული გერმანული სოფლები**
  https://blueshield.ge/?p=6433&lang=ka

- **სოფელი ასურეთი**
  https://tetritskaro.gov.ge/ghirsshesanishnaobebi/423-sofeli-asureti.html

საქართველოში მცხოვრები გერმანელების სამეურნეო ყოფა და ტრადიციები

IV ეტაპის ამოცანა – მიმღებლობა და ტოლერანტობა

ამ მიზნით:

ა) გააანალიზეთ, როგორ ამაღლდა კულტურული ტოლერანტობა გერმანულ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის;

ბ) ახსენით, რა გავლენა მოახდინა გერმანულმა კულტურამ ადგილობრივ საზოგადოებაზე.

რესურსები:

- **თბილისის გერმანული დასახლებები**

V ეტაპის ამოცანა – დღევანდელი მდგომარეობა

ამ მიზნით: შეისწავლეთ გერმანული კულტურის კვალი თანამედროვე საქართველოში; რა ტიპის საქმიანობას ეწევა დღევანდელი გერმანული დიასპორა საქართველოში.

რესურსები:

- **გერმანული არქიტექტურა საქართველოში**
- **საქართველოში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორები და მათი პროექტები**
- **საქართველოში მცხოვრები გერმანელების სამეურნეო ყოფა და ტრადიციები**

VI ეტაპი: შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა – „გერმანული დასახლებები საქართველოში“

დავალების პირობა: წარმოიდგინეთ, რომ ჟურნალისტი ხართ. თქვენ უკვე გაეცანით XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გერმანული დასახლებების წარმოშობის ისტორიას, კულტურას და მათ სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე. კვლევის ძირითადი ეტაპების დასკვნის საფუძველზე მოამზადეთ რეპორტაჟი, რომელიც შეიცავს ცხრილებს, დიაგრამებს და წყაროების ჩამონათვალს. დასკვნაში წარმოადგინეთ კვლევის მთავარი საკითხები და მიღებული, შემაჯამებელი, ძირითადი დასკვნები. დასკვნა შეგიძლიათ წარმოადგინოთ წერილობითი ან PPT-ფორმით, ვიდეოს ან დოკუმენტური ფილმის სახით, ან AI-ტექნოლოგიით (AI ტექნოლოგიის შემთხვევაში გამოიყენეთ ფოტოინსტრუქცია).
https://drive.google.com/file/d/1fLlN94A73NUYrZ9pVJvkbJzcO8M3nWPe/view

ფოტოს ვიდეოდ გადაქცევა

https://www.vindoz.com/talking-head.html

საბოლოო პროდუქტის მოსამზადებლად, პროექტის რესურსებთან ერთად, გამოიყენეთ სხვა წყაროებიც:

ფილმები და დოკუმენტური სერიალები: „საქართველოს გერმანელები“ (2020) – დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს გერმანული დასახლებების ისტორიას
https://www.youtube.com/watch?v=DcvlbhA w45c

VII ეტაპი – პროექტის ვადები:

ეტაპები	ვადა
პროექტის თემის არჩევა	2 დღე
კვლევის დაწყება	5 დღე
სასწავლო მასალების შეგროვება	7 დღე
დასკვნების მომზადება	5 დღე
დასკვნითი დავალების მომზადება	4 დღე
პრეზენტაციის მომზადება	4 დღე
პრეზენტაციის წარდგენა	2 დღე
პროექტის შეფასება	1 დღე

საერთო ვადა: 1 თვე

VIII ეტაპი – პროექტის შეფასება

კრიტერიუმები:

- კვლევის სიღრმე (რამდენად ფართო და დეტალური იყო კვლევა);
- კრეატიულობა (მათ შორის ინოვაციური მიდგომების გამოყენებაც);
- ანალიზი;
- პრეზენტაციის სანდოობა (ვიზუალური და წერილობითი მასალის ხარისხი).

შესრულებული დავალების ნიმუშები:

ა) PPT – პრეზენტაციის ნიმუშები

ბ) ნაწყვეტი ვიდეორეპორტაჟიდან „გერმანული დასახლებები საქართველოში“ https://drive.google.com/file/d/1ZtF5C5lmQ2pWsWa1L363wChBFPvl0p3L/view

შეფასების რუბრიკა

მოსწავლის სახელი	კვლევის სიღრმე	კრეატიულობა	გააზრებული შედარებები და ანალიზები	პრეზენტაციის სანდოობა	საერთო ქულა
_____	10 ქულა: კვლევა არის ძალიან ფართო და დეტალური, მოიცავს ყველა ასპექტს და მრავალ წყაროს.	10 ქულა: პროექტში გამოყენებულია ინოვაციური და კრეატიული მიდგომები.	10 ქულა: პროექტი მოიცავს კარგად გააზრებულ და დეტალურ ანალიზს.	10 ქულა: ვიზუალური და წერილობითი მასალა არის მაღალი ხარისხის, სტრუქტურირებული და საინტერესოდ წარმოდგენილი.	
	7-9 ქულა: კვლევა არის ფართო და დეტალური, მოიცავს ასპექტების უმეტესობას და რამდენიმე წყაროს.	7-9 ქულა: პროექტში გამოყენებულია კრეატიული მიდგომები, მაგრამ არა განსაკუთრებულად ინოვაციური.	7-9 ქულა: პროექტი მოიცავს სერიოზულ ანალიზს, მაგრამ ნაკლებად დეტალურია.	7-9 ქულა: ვიზუალური და წერილობითი მასალა საინტერესოა, მაგრამ ნაკლებად სტრუქტურირებული.	
	4-6 ქულა: კვლევა არის სერიოზული, მაგრამ არც ისე ფართო და დეტალური, მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს.	4-6 ქულა: პროექტი ზოგადად კრეატიულია, მაგრამ არ იყენებს თანამედროვე მიდგომებს.	4-6 ქულა: პროექტი მოიცავს ზოგად ანალიზს, არა საკმარისად სიღრმისეულს.	4-6 ქულა: ვიზუალური და წერილობითი მასალა საშუალო ხარისხისაა.	

დასასრული – პროექტის შეჯამება/რეფლექსია

ისტორიის სწავლებისას პროექტების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეების თვითრეალიზაციას, მოტივაციის ამაღლებას, ავითარებს კრიტიკული აზროვნებისა და დაკვირვების უნარებს, ამდიდრებს საგნობრივ ლექსიკას, აფართოებს მოსწავლის თვალსაწიერს და ამაღლებს თვითშეფასებას. პროექტებიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება მოსწავლისთვის მომავალი პრაქტიკული საქმიანობის რეალური საფუძველია, ამიტომ სასურველია, აქტიურად გამოვიყენოთ ისინი სასწავლო პრაქტიკაში და ჩვენი კურიკულუმების აქტიურ კომპონენტად ვაქციოთ.

ნესტან მიქაძე

ტრანსდისციპლინური ინტეგრირებული გაკვეთილი „ქმედება იწვევს უკუქმედებას“

საერთაშორისო კვლევების თანახმად, საგანთა ინტეგრირება ეფექტურია ცოდნის შეძენისა და სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. მოზარდისთვის სამომავლოდ მეტად ნაყოფიერია სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნისა და უნარების ურთიერთდაკავშირება და გამოყენება. ინტეგრირებული მიდგომები, სხვა ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, უფრო ნაყოფიერ სასწავლო შედეგს იძლევა, ეხმარება მოზარდს ცნებების გააზრებაში, თემისადმი ინტერესის გაზრდაში და სხვადასხვა საგნის კორელაციაში. ინტეგრირებული სწავლება ასევე ხელს უწყობს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, თვითშემეცნებას, სწავლისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას.

ინტეგრირებული სწავლება კვეთს საგნობრივ ხაზებს, აერთიანებს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ასპექტს, ფოკუსირებას ახდენს დასწავლის ფართო სფეროებზე. სწავლება ხდება ჰოლისტური გზით და ასახავს რეალურ სამყაროს, რომელიც ინტერაქციულია.

ინტეგრირებული სწავლება ბავშვებს ეხმარება წინა ცოდნისა და გამოცდილების სიღრმისეულად გააზრებაში, წაახალისებს თანატოლებს შორის ჯგუფურ მუშაობას. ის პირდაპირ კავშირშია რეალურ სამყაროსთან, ხელს უწყობს სოციალური და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას.

სასწავლო ინტეგრაცია შეიძლება გავყოთ სამ ტიპად – საგნობრივი, საგანთაშორისი და საგანთა მიღმა.



საგნობრივი, ინტრადისციპლინური სწავლის ფორმა, საგნის ან საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში, ამთლიანებს ერთ თემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ცნებას. ამ ტიპის მიდგომით, ჩვენ ერთი საგნის ფარგლებში ვაერთიანებთ განსხვავებულ თემას, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა ცნების გააზრებასა და დასწავლის ეფექტურობას. თემატურ კავშირთან ერთად ყურადღება ექცევა საერთო უნარ-ჩვევების განვითარებასაც.

საგნებს შორის ინტეგრაცია დაყოფილია ორ მიდგომად – **მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური.** აქ აქცენტი დაისმის ინტერდისციპლინური უნარების განვითარებასა და ცოდნის მრავალმხრივ გააზრებაზე.

ამ ტიპის მიდგომით სწავლა-სწავლების პროცესში საგანთა შორის მყარდება მნიშვნელოვანი კავშირები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ერთი გაკვეთილის ფარგლებში გააერთიანონ სხვადასხვა საგანში ნასწავლი საკითხები. მულტიდისციპლინური და ინ-

ინტეგრირებული სწავლება კვეთს საგნობრივ ხაზებს, აერთიანებს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ასპექტს, ფოკუსირებას ახდენს დასწავლის ფართო სფეროებზე. სწავლება ხდება ჰოლისტური გზით და ასახავს რეალურ სამყაროს, რომელიც ინტერაქციულია.

ტერდისციპლინური მიდგომები თითქმის იგივეა – გულისხმობს სასწავლო პროცესში ერთი საგნის დაკავშირებას ბევრ სხვა საგანთან. მულტიდისციპლინური მიდგომა გულისხმობს საგნების თემატურ გაერთიანებას. დისციპლინები შეიძლება გაერთიანდეს როგორც თემის, ისე უნარებისა და დამოკიდებულებების გარშემოც.

საინტერესოა **ინტეგრაცია საგნობრივი სფეროების მიღმა,** ანუ **ტრანსდისციპლინური მიდგომა.** საგანთა მიღმა ნიშნავს, რომ მოზრდებს შეუძლიათ, დააკავშირონ მიღებული ცოდნა რეალურ სამყაროსთან, ყოველდღიურობასთან, ისწავლონ საკუთარი გამოცდილებიდან. მოსწავლეს უჩნდება შესაძლებლობა, საკუთარი გამოცდილება დაუკავშიროს საგნობრივ სფეროებს. **ტრანსდიციპლინური მოდელი** იგება მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით და პასუხს სცემს მათ მიერ დასმულ კითხვებს. აქ აქცენტი დაისმის არა კონკრეტულ საგანთან დაკავშირებულ ცოდნებსა და უნარებზე, არამედ ცნებებსა და კონცეფციებზე, რომლებსაც მოსწავლეები სხვადასხვა დისციპლინაში არსებული ცოდნებისა და უნარების მოძიება-დაუფლების გზით შეისწავლიან. ამ ტიპის ინტეგრაციის მთავარი მახასიათებელია ყოველდღიური ცხოვრების ცოდნა და გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს სწავლის ჰოლისტური გზის ჩამოყალიბებას.

დამებადა იდეა, განმეხორციელებინა ინტეგრირებული გაკვეთილი ნიუტონის კანონებსა და ადამიანის ქცევას შორის ურთიერთობის ანალიზის შესახებ. მინდა შემოგთავაზოთ ტრანსდისციპლინური მოდელის გაკვეთილის გეგმის იდეა. თემა გახლავთ **ნიუტონის მესამე კანონი,** რომელიც განმარტებაშივე საინტერესოდ ჟღერს – **„ქმედება ყოველთვის იწვევს საპირისპირო უკუქმედებას“.** ამ საკითხის ინტეგრაცია შესაძლებელია ბევრ საგანთან, მაგ: ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა და სხვა. მე ავირჩიე ისტორია (*აქვე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სსიპ წალკის N1 საჯარო სკოლის ისტორიის წამყვან მასწავლებელს, ქ-ნ მარეხ წერედიანს, რომელიც მუდამ მზად არის ინოვაციურ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად),* რადგან ინტეგრაციის მიზნად დავისახე ადამიანთა ქცევის ანალიზი და მისი გააზრება. ეს კი ყველაზე მკაფიოდ სწორედ ისტორიულ ჭრილშია თვალსაჩინო. კონკრეტულად, **რა იწვევს პიროვნებისა თუ საზოგადოების ამა თუ იმ საპასუხო ქცევას.** ზოგადად, **რა შედეგებს იძლევა ნებისმიერი ქმედება.** როგორც ხედავთ, განსახილველი საკითხი სცდება სასწავლო საგნებს და მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, იფიქროს, იმსჯელოს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. მსგავს გაკვეთილზე უმნიშვნელოვანესია მასწავლებელთა შემოქმედებითობა, რათა მოსწავლემ მკაფიოდ დაინახოს ინტეგრირების არსი.

1687 წელს ისააკ ნიუტონმა საზოგადოებას წარუდგინა სამი კანონი. ეს კანონები განსაზღვრავს სხეულთა უძრაობის და მოძრაობის პირობებს – **„მოძრაობის ცვლილებისთვის აუცილებელია ძალა“.** ნიუტონის მესამე კანონის არამატერიალურთან დასაკავშირებლად უპირველესად ვცადე მომეპოვებინა სხვა ავტორების მიერ მსგავს საკითხებზე დაწერილი მოსაზრებები. მეტად საინტერესო აღმოჩნდა გამოყენებითი ქცევის მკვლევრის, მეცნიერ **ალინ ჰოლცვარტის** შეხედულებები.

განვმარტოთ ნიუტონის კანონები მარტივი ენით:

1. **უძრავი სხეული დარჩება უძრავ მდგომარეობაში, ხოლო მოძრაობაში მყოფი სხეული დარჩება მოძრაობაში, თუ მასზე არ მოქმედებს გარე ძალა.**
2. **ობიექტის მიერ შეძენილი აჩქარება ტოლია ამ ობიექტზე მოქმედ ძალთა ჯამისა და თავად ობიექტის მასის განაყოფის.**
3. **ყველა მოქმედება იწვევს თანაბარ და საპირისპირო უკუქმედებას.**

ნიუტონის კანონები ზუსტად აღწერს ობიექტების მოძრაობას – თუკი არ ვსაუბრობთ კვანტურ ნაწილაკებზე ან უკიდურესად მასიურ სხეულებზე.

ამ გაკვეთილით მოსწავლე გაიღრმავებს ცოდნას ფიზიკის მიმართულებით, რაც დაეხმარება მას სხეულთა ურთიერთქმედების კანონზომიერების დადგენასა და აღწერაში; გაკვეთილის პროცესში ჩაატარებს რეალურ და ვირტუალურ ცდებს ნიუტონის მესამე კანონის მართებულობის შესამოწმებლად; გააანალიზებს მიღებულ შედეგებს და გამოიტანს შესაბამის დასკვნებს; გაიზიარებს ნიუტონის მესამე კანონის ფიზიკურ შინაარსს; გაკვეთილის სტრუქტურიდან გამომდინარე განაზოგადებს ნიუტონის მესამე კანონის

შედეგებს საზოგადოებაში ინდივიდთა ურთიერთობების ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით.

მასწავლებელსა და მოსწავლეს ალბათ ხშირად უფიქრიათ და შესაბამისად გაუვლიათ კიდეც პარალელები ფიზიკის კანონებსა და საზოგადოების ან პიროვნების ქცევას შორის. ალინ ჰოლცვატის ადამიანის ქცევის კანონები მიზნად ისახავს ზოგადი მოდელის შექმნას, თუ როგორ იქცევიან ადამიანები. მისი აზრით:

- **ჩვენთვის მნიშვნელოვანია სტატუს-კვო, თუ მაპროვოცირებელი ძალები არ გვაშორებს ჩვენი გზიდან;**
- **ქცევა არის ადამიანისა და მისი გარემოს ფუნქცია;**
- **ყველა გადაწყვეტილება მოიცავს კომპრომისებს და არასასურველი შედეგების პოტენციალს.**

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ქცევა რთულია, ამ კანონებს შეუძლია ქცევის ძალიან ზოგადი ტენდენციების დაფიქსირება.

სოციალურ მეცნიერთა ნაშრომებში ხშირია ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური საკითხების განხილვა ფიზიკის უნივერსალურ კანონებთან მიმართებით. ჩვენი გაკვეთილი მიზნად ისახავს ნიუტონის მესამე კანონის ტრანსფერს ადამიანისა და, ზოგადად, საზოგადოების ქცევის კანონზომიერებების ჭრილში. ამ საკითხის განხილვა თვალსაჩინო იქნება ისტორიულ ფაქტებთან მიმართებით.

ისტორიის მასწავლებელმა აღნიშნული საკითხი მიუსადაგა ჩარლზ I-ის ეპოქას ინგლისში. ჩარლზ I-ის ქმედებები გახდა ინგლისში მიმდინარე შესაბამისი უკუქმედების მიზეზი.

მსგავს გაკვეთილებზე **მოზარდები გრძელვადიან პერსპექტივაში გაიუმჯობესებენ** დაკვირვების, აღწერის, შედარების, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, ცოდნის ტრანსფერის, წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერების, ციფრული წიგნიერების, სემიოტიკური წიგნიერების უნარჩვევებს; საკითხის გააზრების, ინსცენირებისა და იმიტაციის, ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარებს; ეპოქის განცდის, შემოქმედებითი აზროვნების, როლური ქცევის, შეჯამების, ანალიზისა და მსჯელობის უნარებს.

სამიზნე ცნებები ფიზიკასა და ისტორიაში:

ფიზიკა: მატერია, ძალა, ფიზიკური პროცესი

ისტორია: ძალაუფლება, საზოგადოება, ისტორიული მოვლენა/პროცესი

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ესგ-ის მოთხოვნებთან ფიზიკასა და ისტორიაში:
ფიზ.საბ.1.2.4.6.10.11.
ისტ.საბ. 3.5.6.

გაკვეთილის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან:
მიზანი 4. ხარისხიანი განათლება

ფიზიკის მასწავლებელი ნასწავლი საკითხის ირგვლივ სვამს განმამტკიცებელ კითხვებს. ინტერესის გაღვივების მიზნით, მოსწავლეები კითხვა-პასუხის რეჟიმში იხსენებენ ნიუტონის კანონებს.

1. $\sum \vec{F} = 0$

   $\vec{v} = const$

2. $\sum \vec{F} \neq 0$

   $\vec{v} \neq const$
   $\vec{a} \neq 0$

3. $\vec{F}_{12} = -\vec{F}_{21}$

ნიუტონის მესამე კანონი ამბობს, რომ ძალები, რომლებითაც სხეულები ურთიერთქმედებენ, მოდულებით ტოლია და მიმართულია ერთი წრფის გასწვრივ, ურთიერთსაპირისპიროდ. **ეს ძალები ერთდროულად წარმოიქმნება და მუდამ ერთნაირი ბუნებისაა.** მაგალითად, თუ ერთ სხეულზე მეორის მხრიდან მოქმედებს ხახუნის ძალა, მაშინ პირველი სხეულიც მეორეზე აგრეთვე ხახუნის ძალით იმოქმედებს. უმნიშვნელოვანესია, გავიაზროთ: ეს **ძალები იმიტომ არ აწონასწორებენ ერთმანეთს, რომ მოდებული არიან სხვადასხვა სხეულზე.**

განვიხილოთ მაგალითები, რომლებიც დაგვეხმარება ნიუტონის მესამე კანონის ფიზიკური არსის გარკვევაში:

- ვთქვათ, მაგიდაზე ჩაქუჩით ვაჭედებთ ლურსმანს. რომელი მოქმედებს მეტი ძალით, ჩაქუჩი ლურსმანზე თუ ლურსმანი ჩაქუჩზე?
- ვთქვათ, რაიმე მსუბუქ სხეულს ვისვრით ხელით. რომელი მოქმედებს მეტი ძალით, ჩვენ სხეულზე თუ სხეული ჩვენზე?

ერთი შეხედვით ჩანს, რომ ჩაქუჩის მოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე ლურსმნის; ასევე ადამიანის მხრიდან მოქმედება მეტია გასროლილ მსუბუქ სხეულზე. სინამდვილეში ძალები, რომლებითაც სხეულები ერთმანეთზე მოქმედებენ, ერთმანეთის ტოლია.

$$\vec{F}_{12} = -\vec{F}_{21}$$

გავარკვიოთ, რა ხდება, რატომ იღებენ ურთიერთქმედი სხეულები სხვადასხვა აჩქარებას. გამოვიყენოთ უკვე ნასწავლი ნიუტონის მეორე კანონი ორი ურთიერთქმედი სხეულისთვის. საქმე ის არის, რომ აჩქარება მარტო ძალაზე არ არის დამოკიდებული, ის ასევე დამოკიდებულია სხეულის მასაზე. $\vec{a} = \frac{\vec{F}}{\vec{m}}$ შესაბამისად, მეტ აჩქარებას იღებს უფრო მსუბუქი სხეული.

$$\vec{a}_1 = \frac{\vec{F}_{12}}{\vec{m}_1} \quad \vec{a}_2 = \frac{\vec{F}_{21}}{\vec{m}_2}$$



როგორც ვხედავთ, ურთიერთქმედი სხეულები ერთმანეთზე მოქმედებენ ტოლი და საპირისპიროდ მიმართული ძალებით, მიღებული აჩქარებები კი განპირობებულია მათი მასებით.

ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც რაკეტა მოძრაობს გამოტყორცნილი აირის მეშვეობით. უკვე გასაგებია, რომ რაკეტა და აირი, ორივე მოქმედებენ ერთმანეთზე ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით. რაკეტა აირს გაისვრის ქვევით, აირი კი იმავე ძალით მოქმედებს რაკეტაზე, ამიტომაც რაკეტა იწყებს მოძრაობას ზევით.

განვიხილოთ საინტერესო მაგალითი: ვთქვათ, მაგიდაზე დევს წიგნი. ნიუტონის მესამე კანონის თანახმად, ძალა, რომლითაც წიგნი მოქმედებს მაგიდაზე, ტოლია ძალისა, რომლითაც მაგიდა მოქმედებს წიგნზე. ეს ძალები სხვადასხვა სხეულებზეა მოდებული, წიგნი კი წონასწორობაშია. რატომ არის წიგნი წონასწორობაში? ძალა, რომლითაც წიგნი მოქმედებს მაგიდაზე, მაგიდაზეა მოდებული. ხოლო ძალა, რომლითაც მაგიდა მოქმედებს წიგნზე, წიგნზეა მოდებული. უკვე გასაგებია, რომ ეს ძალები ერთმანეთს არ აწონასწორებს. წიგნი წონასწორობაშია, რადგან მასზე მოქმედი სიმძიმის ძალა და მაგიდის მხრიდან მოქმედი დრეკადობის ძალა მოდულით ტოლია, აქვთ ურთიერთსაპირისპირო მიმართულება, ორივე ძალა ერთსა და იმავე სხეულზეა მოდებული, ამიტომაც აწონასწორებს ერთმანეთს.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეთა ჩართულობით ატარებს მარტივ ექსპერიმენტს:

ცდა 1. ორი ერთნაირი დინამომეტრი გადავაბათ კაუჭებით და გავქაჩოთ საპირისპირო მიმართულებით. დინამომეტრის ჩვენება ერთნაირი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ძალები მოდულით ტოლია. თუ დინამომეტრებს მეტი ძალებით გავქაჩავთ, ორივე დინამომეტრის ჩვენება ერთნაირად გაიზრდება და კვლავ ერთმანეთის ტოლი იქნება. ეს ექსპერიმენტი თვალნათლივ ადასტურებს ნიუტონის მესამე კანონის სამართლიანობას.

ცდა 2. ვთხოვოთ ორ მოსწავლეს, თოკი გაჭიმონ ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით. ამ შეჯიბრში საბოლოოდ ერთი ბავშვი იმარჯვებს.

მოსწავლეებთან ერთად, კითხვა-პასუხის რეჟიმში ავხსნათ ამ ცდის შედეგი.

შეჯიბრის მონაწილეებზე, ბაგირის გარდა, მოქმედებს დედამიწა, რომელსაც მოთამაშეები ფეხით ეყრდნობიან. პირველი მოთამაშე დედამიწაზე მოქმედებს მისი შესაძლებლობის მაქსიმალური F1 ძალით, დედამიწა კი მასზე მოქმედებს მოდულით ისეთივე, მაგრამ საპირისპიროდ მიმართული $\vec{F}_1'$ ხახუნის ძალით.

$$\vec{F}_1 = -\vec{F}_1'$$

მეორე მონაწილე აგრეთვე მოქმედებს დედამიწაზე მისი შესაძლებლობის მაქსიმალური $\vec{F}_2'$ ძალით ისე, რომ

$$\vec{F}_2 = -\vec{F}_2'$$

გაიმარჯვებს ის მოთამაშე, რომელიც შეძლებს დედამიწაზე იმოქმედოს მეტი ძალით. მთელი სისტემა ორივე მოთამაშე ბაგირთან ერთად ამოძრავდება გამარჯვებული მოთამაშის ძალის მიმართულებით.

$\vec{F}_1$ და $\vec{F}_2$ ძალები დედამიწაზეა მოდებული. ამ ძალების ტოლქმედი დედამიწასაც ანიჭებს აჩქარებას, მაგრამ ის უმნიშვნელოა დედამიწის უდიდესი მასის გამო.

ცდა 3. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ვირტუალურ ექსპერიმენტს.

https://rb.gy/owuq98

ამ ექსპერიმენტით გემბანზე ქვემეხის და ჭურვის ურთიერთქმედების მაგალითით თვალსაჩინო ხდება ნიუტონის მესამე კანონის სამართლიანობა. ექსპერიმენტში ჩანს გემზე მყოფ ყველა სხეულზე მოქმედ ძალთა ვექტორები.

ნიუტონის მესამე კანონის შესწავლა ასევე შესაძლებელია ცხენისა და საზიდრის მოძრაობის კლასიკური მაგალითით. როგორ მოძრაობს ცხენისა და საზიდრის სისტემა, თუ ეტლი და ცხენი ტოლი, მაგრამ საპირისპირო ძალებით მოქმედებენ ერთმანეთზე? ამ ექსპერიმენტის ჩატარებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყოველთვის ახსოვდეთ, რომ ნიუტონის მესამე კანონი სამართლიანია წყვილი ძალებისთვის, რომლებიც მოქმედებენ სხვადასხვა სხეულზე.

https://rb.gy/fq2jji

ბოლოს მასწავლებელი და მოსწავლეები აჯამებენ წარმოდგენებს ნიუტონის მესამე კანონის შესახებ.

შემდეგ ფიზიკის მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ნიუტონის კანონები სამართლიანია მატერიალური სხეულებისთვის, რომლებიც არსებობს ჩვენ ირგვლივ. საინტერესოა, დავფიქრდეთ და ვიმსჯელოთ, არსებობს თუ არა მსგავსი კანონზომიერება ადამიანთა ქცევებს შორის; უფრო კონკრეტულად, რა შემთხვევაში იმყოფება ინდივიდი სტაციონარულ მდგომარეობაში და რა ზემოქმედებები იწვევს მისი ქცევის ცვლილებას.

ადამიანის ქცევას განაპირობებს გარკვეული ზემოქმედება. ქცევა სწორედ რომ მაპროვოცირებელი ძალის ბუნებით არის განსაზღვრული. ქცევა ასევე დამოკიდებულია კონკრეტულ ადამიანზე და მის პიროვნულ ფასეულობებზე, რწმენაზე, გამოცდილებაზე და ა.შ., გარემოზე, რომელშიც ის იმყოფება. ეს მოიცავს ფიზიკურ გარემოს, სენსორულ ელემენტებს, სოციალურ წრეს და სხვა გარე ფაქტორებს. ყველა შემთხვევაში, **ადამიანის ქცევა ხასიათით უკავშირდება ამ ქცევის გამომწვევ მიზეზს.**

ამ საკითხის განხილვა საინტერესოა ისტორიულ ჭრილში, უკვე ნასწავლი საკითხით ისტორიაში – „ინგლისის რევოლუციები XVII საუკუნეში; როგორ დაიბადა პოლიტიკური მმართველობის ახალი ფორმა ინგლისში?“

საინტერესოა და შთამბეჭდავი ნასწავლი საკითხის როლური თამაშით უფრო სიღრმისეულად გააზრება. როლური თამაშის მეშვეობით მოზარდები გააცოცხლებენ XVII საუკუნეში, ჩარლზ I სტიუარტის მმართველობისას ინგლისში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს; ასევე ამავე ეპოქის ინგლისის სხვადასხვა ისტორიულ პიროვნებას. დისკუსიის ფორმატში იმსჯელებენ პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიაში, განიხილავენ ჩარლზ I-ის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გარკვეულ ასპექტებს, პარლამენტის როლსა და სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზებსა და შედეგებს. სხვადასხვა მხრიდან შეხედავენ და შესაბამისი არგუმენტებით გაამყარებენ მეფის სიკვდილით

ინტეგრირებული სწავლება ბავშვებს ეხმარება წინა ცოდნისა და გამოცდილების სიღრმისეულად გააზრებაში, წაახალისებს თანატოლებს შორის ჯგუფურ მუშაობას. ის პირდაპირ კავშირშია რეალურ სამყაროსთან, ხელს უწყობს სოციალური და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას.

დასჯის ფაქტს და მის მნიშვნელობას.

მეფის რა ქმედებებმა გამოიწვია უკუქმედება?

- მეფის მიერ პარლამენტის უფლებამოსილების უგულებელყოფამ;
- რელიგიური უმცირესობების დევნა-შევიწროებამ;
- ნაცვლად პარლამენტთან თანამშრომლობისა, ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებამ;
- ოპოზიციის მიმართ რეპრესიული პოლიტიკის გატარებამ (დაჭერა-დაპატიმრება და ა. შ.);
- სამოქალაქო ომის პროვოცირებამ;
- უცხო ქვეყნების წინააღმდეგ ინგლისისთვის წამგებიანი საომარი კონფლიქტების წარმოებამ.

რა უკუქმედება/ შედეგები გამოიწვია მეფის ზემოხსენებულმა პოლიტიკამ?

- პარლამენტის გაღიზიანება და პროტესტი;
- ქვეყნის ეკონომიკური და რეპუტაციული ზარალი;
- მეფისგან დევნილი რელიგიური უმცირესობების მიერ ქვეყნის ტერიტორიის დატოვება;
- სამოქალაქო ომის გაჩაღება ინგლისში;
- მოსახლეობის უკმაყოფილებისა და ანტიპათიის გაზრდა მეფის ხელისუფლებისადმი და თავად მეფის პიროვნების მიმართ;
- მეფე ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა და მონარქიის გაუქმება.

ადამიანის ქცევა, ფიზიკის კანონებისგან განსხვავებით, ყოველთვის შეიძლება იყოს კონკრეტული კანონის მიღმა, ინდივიდუალური, **მატერია კი გარკვეულ წესებს იცავს ზუსტი კანონზომიერებით.** ადამიანის საპასუხო ქცევას განაპირობებს ბევრი ფაქტორი, სიტუაცია, განწყობა, ხასიათი და შესაძლებლობები. ინგლისის ისტორიის მაგალითზეც ჩანს, რომ უკუქმედება შესაძლებელია განხორციელდეს არა მყისიერად, ისე, როგორც ეს ფიზიკის კანონების შესაბამისად ხდება, არამედ დროში განვრცობილად, მაგრამ აუცილებლად განხორციელდება თუნდაც სახეცვლილი საპასუხო რეაქციით. ერთი რამ არის ცხადი: **ქმედება ყველა შემთხვევაში იწვევს უკუქმედებას, ოღონდ შესაძლებელია, ეს მოხდეს ტრანსფორმირებულად, სხვა სახით, სხვა კონტექსტში, მაგრამ აუცილებლად მოხდება.**

გაკვეთილის იდეის წარმატებით განსახორციელებლად სასურველია, შემაჯამებელ ეტაპზე გაიმართოს დისკუსია, მოსწავლეებს უნდა მივცეთ საკუთარი აზრის გამოხატვისა და არგუმენტირებულად დასაბუთების შესაძლებლობა.

მატერიალურ სხეულებს, ფიზიკის მესამე კანონის თანახმად, ქმედებაზე მყისიერი უკუქმედება აქვთ. ადამიანთა ქცევას კი უკუკავშირის მისაღებად შეიძლება დრო დასჭირდეს, რადგან საპასუხო ქცევას განაპირობებს ადამიანის გონება და სენსორული პასუხებისთვის საჭირო დრო. ასევე, შესაძლებელია საპასუხო უკუქმედება ადამიანმა განახორციელოს ცნობიერად ან ქვეცნობიერად.

რაიმე ქცევაზე საპასუხო რეაქციამ და შედეგმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთზე მეტ ადამიანზე, ისევე, როგორც ფიზიკურმა კანონზომიერებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ერთზე მეტ ობიექტზე.

საბოლოო ჯამში, ფიზიკის კანონები და ქცევა შეიძლება ერთმანეთს დავუკავშიროთ მრავალ ასპექტში. **მოქმედება და რეაქცია, იქნება ეს ფიზიკაში თუ ადამიანის ქცევაში, ცვლის შედეგს (ან ქცევას).**

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – ქმედების გამომწვევი ძალა და მის შედეგად წარმოქმნილი ძალა მუდამ ერთნაირი ბუნებისაა. ხახუნი იწვევს ხახუნის ძალას, დრეკადობის ძალა – ასევე დრეკადობის ძალას და ა.შ. ასევეა სამყაროშიც, რა ხასიათის ქცევასაც განახორციელებს ინდივიდი ან ადამიანთა ჯგუფი, იმავე ხასიათის იქნება უკუკავშირიც.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ ქმედებისა და შესაბამისი უკუქმედების უამრავ მატერიალურ თუ არამატერიალურ მაგალითს. საბოლოოდ, შეიძლება განზოგადებულად ითქვას, რომ **ქცევა ფაქტობრივად ექვემდებარება ფიზიკურ კანონებს.**

გაკვეთილის გეგმა და პრეზენტაცია:

1. https://rb.gy/o4gz0n
2. https://rb.gy/4jm4w1

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://rb.gy/yn77r6
2. https://rb.gy/hsmejf
3. https://rb.gy/e01jlv
4. https://rb.gy/1g3h8e
5. https://rb.gy/vn3bao
6. https://ck12.edu.ge/
7. **გ. გედენიძე, ე. ლაზარიშვილი,** მასწავლებლის წიგნი, მე-9 კლასი;
8. **ი. ნატრიაშვილი, მ. ტულუში, თ. შენგელია, თ შენგელია, გ. ლომიძე,** მოსწავლის წიგნი, მე-9 კლასი;
9. **ქ. ტატიშვილი,** მასწავლებლის წიგნი, მე-9 კლასი

ინა იმედაშვილი

სკოლიდან ცხოვრებამდე: მასწავლებელი, როგორც მეგზური, მასწავლებელი, როგორც შემოქმედი, მასწავლებელი, როგორც აღმომჩენი და ერთგული მეგობარი

ინტერვიუ მოსწავლესა და მასწავლებელთან. ამბავი, რომელიც ქართულის გაკვეთილებზე დაიწყო და დღემდე გრძელდება.

„კარგი მასწავლებელი ამ სამყაროში სიკეთის რწმენას გილვიძებს და ეს ყოველგვარ პროფესიულ პროგრესზე მნიშვნელოვანია“.

„მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე მადლიანიც!“

მასწავლებლობა უბრალო პროფესია არ მგონია – ის განსაკუთრებული და ძალიან ფაქიზი მისიაა. მისია, ჯერ აღმოაჩინო პატარა ადამიანი, მერე კი ისეთი ნაპერწკალი გაუღვივო, შუქურად რომ ექცეს და მთელი ცხოვრება გაუნათოს გზა, ყველაზე მთავარი გზა – შინ დასაბრუნებელი, ანუ საკუთარი თავის პოვნისა და აღმოჩენისა.

მასწავლებელი დემიურგია, მას შეუძლია შექმნას და გაანადგუროს კიდეც, შექმნას რწმენა, თავდაჯერება, ინდივიდუალურობა და, საზოგადოდ, შექმნას ადამიანი, რომელიც სიკეთისა და სიყვარულის მატარებელია. პროფესიულ უნარ-ჩვევებთან ერთად, მასწავლებელი ჰუმანური ღირებულებების მთავარი ჩამნერგავი და სულის შთამბერავია. კარგი გაკვეთილი კი ის არის, საიდანაც ბავშვი ბედნიერი გამოვა და დაფიქრდება: „აი, თურმე რა შემძლებია, აი, თურმე რა საჭირო ყოფილა სიყვარული, აი, სიკეთის ჩადენას რა მნიშვნელობა ჰქონია, აუცილებლად გამომივა, რაც ჩავიფიქრე! მე სამყაროს შევცვლი!“

მინდა, ამ წერილში მოსწავლესა და მასწავლებელზე მოგიყვეთ. მათ ერთმანეთი წლების წინ, არცთუ ბედნიერ დროს – შეშის ღუმლისა და გაყინული თითების ეპოქაში იპოვეს ქართულის გაკვეთილზე, იქ, სადაც შესაძლებელია, გულები ააჩქარო და თვალები აანთო, სადაც მასწავლებელს ეძლევა ჯადოსნური შესაძლებლობა, გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი ბავშვის ცხოვრებაში, გახდეს ცვლილებებისა და სიხარულის მიზეზი.

მასწავლებელი ღმერთივითაა – ქმნის და ზრდის, რგავს და იმკის, აღმოაჩენს და ზრუნავს, სურვილებისა და ოცნებების შემგროვებელი და შემნახველია.

ნინო საძაგლიშვილი თეოლოგია, თარგმნის ბერძნულიდან საღვთისმეტყველო (და არა მხოლოდ) ლიტერატურას, მაგისტრატურა დაამთავრა საბერძნეთში, ათენის იოანე კაპოდისტრის სახელობის ისტორიულ უნივერსიტეტში (თე-

კარგი გაკვეთილი კი ის არის, საიდანაც ბავშვი ბედნიერი გამოვა და დაფიქრდება: „აი, თურმე რა შემძლებია, აი, თურმე რა საჭირო ყოფილა სიყვარული, აი, სიკეთის ჩადენას რა მნიშვნელობა ჰქონია, აუცილებლად გამომივა, რაც ჩავიფიქრე! მე სამყაროს შევცვლი!“

ოლოგიის ფაკულტეტი). ახლა დოქტორანტურაში სწავლობს და ძალიან საინტერესო საკითხებზე მუშაობს. გარდა ამისა, ნინო მწერალიცაა. მისი ტექსტები გამოირჩევა სიღრმითა და მარადიული საკითხების ორიგინალური გააზრებით. ამჟამად მკითხველს დიდ საჩუქარს – თავის წიგნს უმზადებს.

ოდესღაც ნინოც იყო მოსწავლე და სწორედ ქართულის გაკვეთილზე დაიწყო საკუთარი ნიჭისა და თავის პოვნა, რასაც განსაკუთრებულ მასწავლებელს უმადლის. ადამიანს, რომელმაც მის ცხოვრებაში ისეთი ქარბორბალა დაატრიალა, ისეთ რამეებზე დააფიქრა და იმდენი რამ აღმოაჩენინა, რომ ლამის მთელ ცხოვრებას უდრის. მასწავლებელთან დღემდე მეგობრობს.

მასწავლებელი მარინა გიგაშვილია, გორის საჯარო სკოლის პედაგოგი, რომელიც ნინოსთვის დღემდე საუკეთესო მრჩევლად, მეგობრად და ცხოვრების მეგზურად რჩება.

ნინო ჩემთან ძალიან ხშირად ახსენებდა ქალბატონ მარინას და მასზე ისეთი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა, რომ მივხვდი, ამ საოცარ მასწავლებელს რა ღრმა კვალი დაეტოვებინა მის სულში. ჰოდა, გადავწყვიტე, პატარა ინტერვიუ ჩამეწერა მოსწავლესა და მასწავლებელთან და თქვენთვისაც გამეზიარებინა.

ნინო

გაიხსენე პირველი შეხვედრა შენს მასწავლებელთან, რომელმაც განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა შენს ღირებულებებზე, ხედვაზე და, საზოგადოდ, მომავალზე, შენს არჩევანზე...

– მეხუთე კლასის პირველ გაკვეთილზე განსაკუთრებული მღელვარებით შევედი. უკვე მქონდა პედაგოგის გამო საგანთან გაუცხოების გამოცდილება და მთელ ზაფხულს ვნერვიულობდი, ქართულშიც ასე არ მომხდარიყო. მიუხედავად იმისა,



რომ სულ თერთმეტი წლის ვიყავი, ქართული ენა და ლიტერატურა ჩემთვის მხოლოდ სასკოლო საგანი არასოდეს ყოფილა. ბავშვობიდან ვწერდი და რადგან პირველი კლასიდან გამართულად ვკითხულობდი, საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიური წევრიც ვიყავი, ამიტომ კარგად ვაცნობიერებდი, რომ ქართულის გაკვეთილები ერთგვარი პლატ-ფორმა იყო შინ ნაფიქრის საპრეზენტაციოდ. ამას კი შესაფერისი მასწავლებელი სჭირდებოდა. მეშინოდა, ვაითუ მე და ახალმა მასწავლებელმა ერთმანეთს ვერ გავუგოთ-მეთქი, ყველაფერი კი პირიქით მოხდა.

ახალი მასწავლებელი შემოვიდა და გაკვეთილი იოანეს სახარებით დაიწყო: „პირველითგან იყო სიტყვა“... მერე კი მის სამზარეულოში მდგარ ბროწეულზე გვიამბო და კიდევ – პატარ-პატარა მომენტებზე, ნამდვილ ლიტერატურას რომ უხდე-ბა. წარმოიდგინეთ ორიათასიანი წლები, რაიონის სკოლა. კლასებში ჯერ კიდევ შეშის ღუმელი დგას, რომელიც დროდადრო ხრჩოლავს... და ამ დროს

ვიღაც გაძლევს საშუალებას, ამ რეალობას გასცდე და, რაც მთავარია, მოგონებები დააგროვო.

რა შეცვალა შენში მასწავლებელმა? რა იყოს ის განსაკუთრებული ნაპერწკალი, მუხტი, რომელიც მან გააღვივა?

– პატივისცემა დავინახე. თავიდანვე დიდი ადამი-ანივით მომიდგა. მე მჯერა, რომ როდესაც სხვას შენი სწამს, უკეთესი ადამიანი ხდები და ხისტი რეალობისგან შეშინებული შენი სული ზედაპირ-ზე ამოდის. ხანდახან ეს რწმენაც საკმარისია, რომ მოსწავლეში დიდი პროცესები დაიწყოს. მორცხ-ვი, ფიზიკურადაც კი მუდამ თავდახრილი ბავშვი ვიყავი და ჩემი თავის სხვაგვარად აღქმა დავიწყე. დავიჯერე, რომ ხანდახან მაინც შემიძლია, რაღაც მნიშვნელოვანი ვთქვა.

რა იყო განსაკუთრებული და უჩვეულო შენი მასწავლებლის მიდგომებში, აქტივობებში, დამოკიდებულებებში?

– ჩვენი პიროვნება აინტერესებდა. გულწრფე-ლად. მახსოვს, კითხვები ჩამოგვიწერა – სასწავ-ლო პროცესი უნდა შეგვეფასებინა და ჩვენეული ხედვა მისთვის გაგვეზიარებინა. ეს ფურცელი დღემდე შენახული მაქვს. მერე პირადად მისთვის წერილების მიწერა გვთხოვა. შეიძლება ითქ-ვას, რომ მაშინ დავიწყე თვითრეფლექსია და სხვებისთვის გაზიარება. ჩემთვის სულ ვწერდი, მაგრამ წერილის მიწერის კულტურა და გამბე-დაობა მაშინ ჩამომიყალიბდა. მნიშვნელოვანი ამბავი იყო: თერთმეტი წლის გაუბედავ ჯღაბნიას ადრესატი გამომიჩნდა, რომელიც ჩემს ნაწერებს კითხულობდა და ინახავდა კიდეც. სხვათა შორის, დღემდე შენახული აქვს.

დედა სულ აგროვებდა ჩემს ნაწერებს, ყოველ ნა-კუწს, ექვსი წლიდან მოყოლებული, ჩემი პირველი პატარა ლექსი რომ ჩაიწერა. მაგრამ პირველი ოჯახგარე, უცხო მკითხველი მარინე მასწავლებ-ლის სახით გამიჩნდა და მისი წერილებით დაბომბ-ვა დავიწყე: ლექსებს და რეფლექსიებს ვუწერდი ხოლმე და ბოლოს ისე გავთავხედდი, საკლასო წერებსა და საკონტროლოებსაც იმპროვიზებუ-ლად ვწერდი. ჩემს ფანტაზიას ბოლომდე მივეცი გასაქანი. არასოდეს უსაყვედურია და ჩარჩოში არ ჩავუკეტივარ, თუმცა ყოველთვის ობიექტური იყო. არავინ იფიქროს, რომ იდეალურ სურათს ვხატავ, სულაც არა, და მეტიც – ჩემი პირველი საკლასო

წერის რვეულიც შენახული მაქვს. სტანდარტული საკლასო წერაა, ჯერ რომ მთლად ლექსებსაც არ ვწერ გაკვეთილზე და პროგრამას მივდევ. აბდაუბდა სასვენი ნიშნებითა და არასწორი გადატანებით, ბოლოში კი მარინე მასწავლებლის კომენტარია:

„ნინო, შვილო, მომწონს შენი ნაშრომი?“

აქ კომიკური ის იყო, რომ კითხვის ნიშანი ფურცლის კიდეში მოჰყვა და არ დამინახავს. მთელ კვირას ამაყად ვიარე და როცა კითხვის ნიშანი აღმოვაჩინე, ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ ამ კითხვის დასმა აღარასოდეს მოუწევდა. როცა პროგრამულ მასალაში მეცადინეობა დამეზარებოდა ხოლმე, სულ ეს კითხვა მახსენდებოდა.

ამბავი, რომელიც სულ გახსოვს და როდესაც იხსენებ, ხვდები, რამხელა როლი აქვს მასწავლებელს ადამიანის ცხოვრებაში...

– დათო ტურაშვილს რომ ჩემი ნაწერები წაუღო და წააკითხა და რვეული მისი სამახსოვრო წარწერით დამიბრუნა. რატი ამაღლობელთან ერთად მთაწმინდაზე რომ ვისხედით და ლიტერატურაზე ვმსჯელობდით. გოდერძი ჩოხელს რომ რთული პერიოდი ედგა და ჩვენ, მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს რომ წერილები მიგვაწერინა და მართლა გადასცა... თავისი გაკეთებული ლეღვის მურაბა რომ მომიტანა ახალნაავადმყოფარს და მე, მიუხედავად იმისა, რომ ლეღვი დღემდე მძულს, ის მურაბა მაინც ვჭამე.

მაშინ შეგრძნება გამიჩნდა, რომ მოსწავლეებზე მეტი ვიყავით და რეალურ ლიტერატურაში ვმონაწილეობდით.

მახსოვს, ერთხელ ღუმლის გარშემო ვისხედით. მოღუშული დღე იყო, ზამთრის. ერთმა გორელმა მწერალმა ჩაიარა. დაგვანახა, შეხედეთ, ეს ჩვენი მწერალიაო.

– ცოცხალია, მასწ?! – გაიოცა ჩემმა კლასელმა.

ალბათ, კარგი მასწავლებელი სწორედ ამას ახერხებს, რომ „მკვდარი კალმოსნების ტექსტები“ ცოცხალი მწერლების ლიტერატურად აქციოს.

– ერთხელ ჩემთან საუბრისას თქვი, მასწავლებელი ერთი კონკრეტული მოსწავლისთვის იბადება, რომ მასთან რაღაც არაჩვეულებრივი რამ შექმნას ან მასში განსაკუთრებული ნიჭი და ძალა აღმოაჩინოსო. რა იყო ეს შენ შემთხვევაში და როგორ ფიქრობ, მარინა მასწავლებელი შენთან განსაკუთრებული მისიით მოვიდა?

– არ ვიცი. მეშინია, გადაჭარბებად არავინ ჩამითვალოს. ათობით სხვა მოსწავლეს ასწავლიდა და ის, რაც ჩემთვის განსაკუთრებულია, შესაძლოა, სხვისთვის ჩვეულებრივი რამ იყოს, მაგრამ მართლა მჯერა, რომ ხანდახან უცნაური შეხვედრები შედგება ხოლმე და ორი ადამიანი საჭირო დროსა და საჭირო ადგილას გადაეყრება ერთმანეთს. იქნებ დიდიც ვერაფერი გამოდნეს ამ შეხვედრიდან, ბევრმა ფაქტორმა შეუშალოს ხელი მნიშვნელოვან შედეგს, მაგრამ მთავარია, რომ კარგი მასწავლებელი ამ სამყაროში სიკეთის რწმენას გიღვიძებს და ეს ყოველგვარ პროფესიულ პროგრესზე მნიშვნელოვანია!

ახლა თუ გაქვთ ურთიერთობა? სკოლის დამთავრების შემდეგ როგორ გაგრძელდა თქვენი განსაკუთრებული კავშირი?

– მეცხრე კლასში რომ გადავედი, სწავლის პირველ დღეს შევიტყვე, რომ მარინე მასწავლებელი სკოლიდან წავიდა. მახსოვს, როგორ განვიცადე – მთელი ამბით ველოდი, ჰაგიოგრაფია მას ესწავლებინა. „გრიგოლ ხანძთელი“ მიყვარდა განსაკუთრებით და მასთან ერთად მინდოდა ამ ყველაფრის გავლა. საბედნიეროდ, მეცხრე კლასშიც არაჩვეულებრივი ნინო მასწავლებელი (ნინო ახალბედაშვილი) შემოვიდა ჩვენთან და ეს სტრესი გადამალახვინა.

მარინე მასწავლებელთან კონტაქტი შევინარჩუნე. როცა მასწავლიდა, თხზულების ბოლოს ყოველთვის მიტოვებდა განსაკუთრებულ კომენტარს, ესეც ურთიერთობა იყო. მერე უკვე, ათენში რომ მივდიოდი სწავლის გასაგრძელებლად, წერილი მომწერა. მე ბარათების, რიტუალების, განდობების, გზის დალოცვის, მიგებების, დამშვიდობების, კვლავ შეხვედრების ადამიანი ვარ და ამ წერილმა ათენის პირველი დღეები მნიშვნელოვნად შემიფერადა. როგორც ყოველთვის, მაშინაც მიხვდა, რა მჭირდებოდა.

რას ეტყოდი შენს მასწავლებელს?

– ალბათ ყველაზე ბანალურ და ყველაზე გულწრფელ რამეს: გმადლობთ!

ახლა მარინა მასწავლებელს მივმარ-

თავ კითხვებით, მაინტერესებს, რა არის მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის საიდუმლო, როგორ შეძლო ასეთი ცეცხლის დანთება ერთი პატარა გოგოს გულში? როგორ მოახერხა, მისთვის ასე შეეყვარებინა თავი და დღემდე არ შეწყვეტილიყო ეს საოცარი ურთიერთობა?

გაიხსენეთ თქვენი წარსული, როდესაც მასწავლებლობას იწყებდით, რას ფიქრობდით? რას განიცდიდით? რამ განაპირობა თქვენი არჩევანი – ყოფილიყავით მასწავლებელი?

– უცნაურია, მაგრამ არ მიფიქრია მასწავლებლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში გამორჩეული მასწავლებლები მყავდა. ვმადლობ მათ საინტერესო და განსხვავებული გაკვეთილებისთვის. მე უფრო აღმოსავლეთი, მისი კულტურა, ხელნაწერები მაინტერესებდა... მოხდა ისე, რომ სკოლიდან პედაგოგიურ ინსტიტუტში მოვხვდი და სულაც არ გამოვირჩეოდი განსაკუთრებული მონდომებით მომავალი პროფესიის მიმართ. სწავლის დასრულების შემდეგ მოვინდომე დამოუკიდებლად ცხოვრება და ამისთვის პროფესიის გამოყენება, რაც, რა თქმა უნდა, უშედეგოდ დამთავრდა. იმავე წელს დავიწყე მუშაობა ერთ-ერთი სოფლის ძველ შენობაში ისტორიის მასწავლებლად... ეს იყო უმძიმესი გამოცდილება – 21 წლის მასწავლებელი, არაფერი და არავინ არ მადარდებდა ჩემი თავის გარდა... მერე... მერე დედა გავხდი და ყველაფერი შეიცვალა... მე სხვისი შვილების მოსმენა, მოფერება, გაგება ვისწავლე... ასეთი იყო ჩემი პირველი ნაბიჯები პროფესიაში.

როგორ ფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი რა არის მასწავლებლისთვის? რა უნდა ჰქონდეს კარგ მასწავლებელს?

– რთული კითხვაა. ბევრი ფაქტორი განაპირობებს კარგ მასწავლებლობას. ამ საკითხზე ბევრი უფიქრიათ, ბევრიც დაწერილა, თქმულა... მე მაინც გამოვარჩევ მოსწავლის, ბავშვის უპირობო სიყვარულს, ნდობას, მზრუნველობას, გულწრფელობას, სილაღეს, ზომიერებას, სიხარულისა და ტკივილის გაზიარებას, მასთან ერთად ფიქრსა და ოცნებას... პასუხისმგებლობას! კარგი მასწავლებელი კარგი მსმენელი და მრჩეველი უნდა იყოს!

რას გაიხსენებდით იმ პერიოდიდან, როცა ნინოს ასწავლიდით, რით იყო გამორჩეული მოსწავლე?

– ნინოს კლასში შესვლა ჩემი ნება არ იყო, რადგან საშუალო საფეხურის სპეციალისტად ჩამოვყალიბდი და არ მინდოდა დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან მუშაობა, მაგრამ რადგან ასე მოხდა, გადავწყვიტე, პირველსავე გაკვეთილზე გაეაზრებინათ სიტყვის მნიშვნელობა – საზოგადოდ და, კერძოდ, ლიტერატურაში. ოდნავ ზერელედ დავიწყე ახსნა, ვუფრთხოდი გაუგებარ სიტყვებს და ვზომავდი ნაბიჯებს მათ საწიერამდე და შევამჩნიე, რომ ამ სივრცეში ვიღაცის თვალები აციმციმდა, რადგან მთელი არსებით გრძნობდა ეს ვიღაც, ლიტერატურა საგანი რომ არ არის, რომ ის ამბავია სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვა ეპოქაში და ამბავი ხან სევდიანია, ხან სიხარულით სავსე... ამბები კი სიტყვებით – ჯადოსნური არსებებით გადმოიცემა. ეს ვიღაც ნინო იყო, ჩემი სიფრიფანა გოგო – თვალებში სამყაროჩატეული ემოციებით. მან ჩემზე უკეთ იცოდა ეს და აი, მაშინ მივხვდი მე, საბჭოთა მასწავლებელი, რომ დროა, მოვუსმინო მოსწავლეს, რომელიც გაკვეთილზევე თემის მიხედვით წერდა ლექსებს, პოემებს, ჩანახატებს, მოთხრობებს, თითქოს ესმოდა „იქმენინ ნათელი“... ეს რაღაც ახალი იყო ჩემს მასწავლებლურ ცხოვრებაში – მისი კითხვები მის ასაკს სცდებოდა და პასუხები კარგად გააზრებული უნდა ყოფილიყო, მის თვალებში სიხარულის, აღმოჩენისა და კმაყოფილების ციცინათელები რომ არ ჩამქრალიყვნენ...

თქვენი მასწავლებლობის წლებიდან რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა? რა გასწავლათ ამ დრომ, ცხოვრებამ?

– ბევრი რამ მასწავლა... თითოეული გაკვეთილი თავისი თითოეული მოსწავლით სრულიად ახალი გამოწვევა და გამოცდილება იყო. ვმადლობ ღმერთს ამ პროფესიისთვის, ვმადლობ თითოეულ მოსწავლეს, მშობელს, კოლეგას ცხოვრების ურთულეს გზაზე ფიქრისას ხელის შემოშვეღებისთვის, სიყვარულისთვის, ადამიანური ურთიერთობისთვის... მასწავლა სიცოცხლის სიყვარული, მადლიერება, მიტევება, სიფაქიზე, პასუხისმგებლობის გრძნობა, სხვისი მოსმენა და თანაგრძნობა, მასწავლა, რომ თითოეული ბავშვი განუმეორებელია და რომ შენი დამოკიდებულება მნიშვნელოვანია მისი მომავლისთვის. ეს ისეთი

მინდა, ამ წერილში მოსწავლესა და მასწავლებელზე მოგიყვეთ. მათ ერთმანეთი წლების წინ, არცთუ ბედნიერ დროს – შეშის ღუმლისა და გაყინული თითების ეპოქაში იპოვეს ქართულის გაკვეთილზე, იქ, სადაც შესაძლებელია, გულები ააჩქარო და თვალები აანთო, სადაც მასწავლებელს ეძლევა ჯადოსნური შესაძლებლობა, გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი ბავშვის ცხოვრებაში, გახდეს ცვლილებებისა და სიხარულის მიზეზი.

დიდი პასუხისმგებლობაა, პირდაპირი მნიშვნელობით, რომ ფრთხილად ეხები მოსწავლის ფიქრებსა და სულს, მყარი და ლამაზი ადამიანი რომ გამოაქანდაკო ისე, პიროვნულ არჩევანში რომ არ შეცდეს! დრომ გამოცდილება, უამრავი სიხარული, შეცდომა, გულწრფელი სინანული და აღიარება მოიტანა.

ხომ არ მოგვიყვებით თქვენი რომელიმე განსაკუთრებული მეთოდის ან აქტივობის შესახებ?

– ყოველი გაკვეთილი ბევრი ფიქრის შედეგია, მაგრამ საოცარი ის არის, ერთმანეთს რომ არ ჰგვანან. ძალიან მიყვარს თემის შესაფერისი განწყობის შექმნა გაკვეთილის დასაწყისში რამე ამბით, ნახატით, იგავით. ეს ლიტერატურის ჯადოსნურ სამყაროში კარის შეღებას ჰგავს. ძალიან მომწონს, როცა კეთებით ვსწავლობთ – ეს ძალიან უხდება ენის გაკვეთილებს; როცა კითხვას ვსვამთ და ვვარაუდობთ, ვმსჯელობთ, ვკამათობთ... ხანდახან რაღაც ამბავს ვყვები მათზე, ოღონდ სხვა პერსონაჟებით და სხვა დროში და ეს „ირიბად ნასროლი ქვა“ პირდაპირ ხვდება სათქმელს. ძალიან მიყვარს გაკვეთილის ბოლოს თავისუფალი წერა, რომელიც სათქმელის ძალდაუტანებლად გადმოცემას უწყობს ხელს, ასევე – მათ მიერ მოწონებულ ადგილებზე მსჯელობა, დღიურების წერა და სხვა. ეს დამოკიდებულია ნაწარმოებზე, მასში ამოკითხულ ფასეულობებზე.

რაშია მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის საიდუმლო? როგორ მოახერხეთ თქვენი მოსწავლეების ამხელა სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება?

– საიდუმლო – როგორი სიტყვაა, თანაც ურთიერთობის საიდუმლო მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის... შენ შენება უნდა ასწავლო, რა ააშენოს, როგორი და რისთვის – თვითონ უნდა გადაწყვიტოს. ამ სწავლებაში ნამდვილი უნდა იყო, უპირობოდ ნამდვილი, სიყვარულიც ასეთი უნდა გქონდეს, ნოდარ დუმბაძის არ იყოს, მან უნდა იგრძნოს, როგორ გიყვარს და ისიც, როგორ გიყვარს, რასაც ასწავლი. არ ვიცი, მგონი, მასწავლებლობისას მათგან სწავლაც, მათი მოსმენა, გაგება და თანაგრძნობა მათ სიყვარულს გჩუქნის. ეს სიყვარული და პატივისცემა ორმხრივი რომაა, ესაა ბედნიერება. როგორც ხეზე ნაყოფთაგან კარგს გამოარჩევ, ასე უნდა აღმოაჩინო და ჩაეჭიდო მოსწავლის კარგ თვისებას, უნარს, მოუარო და გაამრავლო.

რას ურჩევდით მასწავლებლებს? რას ეტყოდით მათ?

– უპირველესად, გმადლობთ, ინა, ჩემი გამოცდილების გაზიარებისთვის! რაც შეეხება თქვენს კითხვას, ვურჩევდი პროფესიის ერთგულებას. ვგულისხმობ იმას, რომ ხშირად, შენი შვილი უყურადღებოდ გრჩება სხვის შვილზე ფიქრში, ხშირად, ღამის თევა და შენს სურვილებზე უარის თქმა გიწევს, არ მთავრდება სწავლა არასდროს... უნდა იცოდე, რომ ენა და ლიტერატურა საგანი და გაკვეთილი კი არა, ცხოვრებაა, ცხოვრების გაკვეთილებია და უნდა ასწავლო, როგორ ისწავლონ ეს გაკვეთილები მოსწავლეებმა, სიცოცხლის გამოცდები წარმატებით რომ ჩააბარონ, ასწავლო, რომ ყმაწვილი თავის შესაცნობად უნდა განისწავლებოდეს, რომ „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“, რომ „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა ქვეყნის სიცოცხლის მიმცემი“, რომ წაქცეულს სამარიტელივით უნდა მოექცნენ, რომ მგლობას ცხვრობა სჯობს, რომ „რაცა არ გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“, რომ ღარიბად არ იხსენებოდნენ და იცოდნენ თავის ფლობა! ვურჩევდი, კარგად მოუსმინონ უნიჭიერეს და მოაზროვნე თაობას, რომელმაც წინ მოვალეობა და პასუხისმგებლობა უნდა დააყენოს! რომ მასწავლებლობა ურთულესი პროფესიაა, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე მადლიანიც!



ნინო ლომიძე

გისმენ, ვიაზრებ, შევიმეცნებ და... ვიფართოებ თვალსაწიერს – მოსმენის მნიშვნელობა შემეცნების გზაზე

„ეს არ ვიცოდი. ახლა სხვაგვარად შევხედავ საკითხს“.

„საინტერესო იყო ამ ახალი თვალსაზრისის მოსმენა. გმადლობ გაზიარებისთვის!“

„ამაზე ვიფიქრებ. არ შემიხედავს საკითხისთვის ამ კუთხით“.

„მნიშვნელოვანი რამ ითქვა. ღირს დაფიქრებად!“

„ამ არგუმენტებმა დამაფიქრა“.

„ვერ ვასაბუთებ სათანადოდ ჩემს პოზიციას. არ ვიცი, რატომ ვფიქრობ ასე!“

„ძალიან მყარი კონტრარგუმენტია ჩემი მოსაზრების საწინააღმდეგოდ. გმადლობ!“

„გადააზრებისთვის დრო მჭირდება. ჩავუღრმავდები ამ საკითხს, მოვაწესრიგებ მოსაზრებებს და დავუბრუნდეთ კამათს“.

რა კარგი იქნება, ეს ფრაზები რომ ხშირად ისმოდეს გაკვეთილებზე.

ამ ტიპის აზროვნებას, ქმედებას, ურთიერთდამოკიდებულებას, სწავლის ამ მეთოდს მოსწავლეები სკოლაში აუცილებლად უნდა ეუფლებოდნენ.

დებატები, კამათი, დისპუტი, კრიტიკული შეფასება, მოსაზრებების ურთიერთგაცვლა – ის ტექნიკებია, რომლებსაც ხშირად ვიყენებთ გაკვეთილებზე. მოსწავლეებს ვასწავლით პოზიციის მარტივად, გასაგებად, ნათლად გაცხადებას, თვალსაზრისის გამოთქმას, დასაბუთებას, არგუმენტირებას, არგუმენტების მაგალითებით გამყარებას, კამათის ხელოვნებას, მოწინააღმდეგის თვალსაზრისსა და პოზიციაში სუსტი წერტილების აღმოჩენას. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, საჭიროა და აუცილებელი.

ამასთან, მნიშვნელოვანია, მოაზროვნე ადამიანები მივაჩვიოთ სხვისი მოსაზრებების ყურადღებით მოსმენას. არა შეკამათებისთვის, არა საპასუხო არგუმენტის მოფიქრებისა და მისი არგუმენტის გაბათილებისთვის, არამედ მოსმენა – მოსმენისთვის, შემეცნებისთვის, ცნობისწადილის დაკმაყოფილებისა და ცოდნის შევსებისთვის. ახალი თვალსაზრისით გამდიდრებისა და მოქნილი აზროვნების უნარის განვითარებისთვის, ჩვენი წარმოდგენების ვიწრო ჩარჩოებისგან თავის დასახსნელად.

მოსმენა მნიშვნელოვანი უნარია და ის დასწავლადია.

სასკოლო ცხოვრებაში მოსმენას არ ეთმობა სათანადო ყურადღება.

მოსწავლეები, ერთი შეხედვით, ყველაზე მეტ დროს სწორედ მოსმენაში ატარებენ (უსმენენ ერთმანეთს, პრეზენტაციებს, მასწავლებელს, ლექციებს, გაკვეთილებს, თეორიებს...), მაგრამ ამ პასიურ, მოსაწყენ მოსმენას არაფერი აქვს საერთო შემავსებელ, შემეცნებითი უნარების გასააქტიურებელ მოსმენასთან.

იმ მოსმენასთან, რომელიც, საბოლოო ჯამში, შესავალში ჩამოთვლილი ფრაზების წარ-

დებატები, კამათი, დისპუტი, კრიტიკული შეფასება, მოსაზრებების ურთიერთგაცვლა – ის ტექნიკებია, რომლებსაც ხშირად ვიყენებთ გაკვეთილებზე. მოსწავლეებს ვასწავლით პოზიციის მარტივად, გასაგებად, ნათლად გაცხადებას, თვალსაზრისის გამოთქმას, დასაბუთებას, არგუმენტირებას, არგუმენტების მაგალითებით გამყარებას, კამათის ხელოვნებას, მოწინააღმდეგის თვალსაზრისსა და პოზიციაში სუსტი წერტილების აღმოჩენას.

მნიშვნელოვანია, მოაზროვნე ადამიანები მივაჩვიოთ სხვისი მოსაზრებების ყურადღებით მოსმენას. არა შეკამათებისთვის, არა საპასუხო არგუმენტის მოფიქრებისა და მისი არგუმენტის გაბათილებისთვის, არამედ მოსმენა – მოსმენისთვის, შემეცნებისთვის, ცნობისწადილის დაკმაყოფილებისა და ცოდნის შევსებისთვის.

მოთქმისკენ უბიძგებს „სწავლის მძებნელს“.

აქტიური მოსმენის უნარის გააქტიურება ქართულის გაკვეთილებზე

გაკვეთილის დაგეგმვისას აქტიური მოსმენის სხვადასხვა სავარჯიშოს სისტემატურად ჩართვა აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ქართულის გაკვეთილზე ეს რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს:

კლასში – საშინაო დავალების გაცნობისას

მოსწავლეებს ხშირად ვაძლევთ ხოლმე საშინაო წერით დავალებებს. შესრულებული ნაშრომის კლასისთვის წარდგენა ერთ-ერთი ის აქტივობაა, რომელიც მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ.

ვთხოვოთ მოსწავლეს, ხმამაღლა წაიკითხოს კლასში შესრულებული წერითი დავალება, თხზულება, ესე, ანალიზი...

მსმენელებს კი მივცეთ ასეთი ინსტრუქცია:

მოისმინეთ ყურადღებით კლასელის ნაშრომი. მოიმარჯვეთ კალამი და სამუშაო რვეული.

ჩაინიშნეთ:

- ფრაზები, რომლებიც განსაკუთრებით მოგეწონათ/დაგამახსოვრდათ;
- მოსაზრება, რომელსაც ეთანხმებით;
- მოხდენილად, ცხადად, მკაფიოდ გამოთქმული ფრაზა;
- ფრაზა, რომელმაც დაგაფიქრათ, ახალი მოსაზრება წარმოშვა;

და ა.შ.

იგივე დავალება შეიძლება შესრულდეს სხვადასხვა მოდიფიკაციით – მსმენელები დაყავით ჯგუფებად ან დააწყვილეთ. ჯგუფებს/წყვილებს სხვადასხვა მითითება მიეცით.

მსმენელები აქტიური მოსმენის შემდეგ ასევე უზიარებენ კლასს თავიანთ შეხედულებებს.

წრიული განხილვა

კლასში მოსწავლეები განლაგდებიან ორ წრედ. მცირე წრე – შუაში, ირგვლივ – კვლავ წრეზე – დანარჩენი მოსწავლეები. შიდა წრეს მიეცემა რაიმე საკითხი განსახილველად. მოსწავლეები



განიხილავენ საკამათო მოცემულობას, დილემას, საკითხს ტექსტიდან. ასაბუთებენ, გამოთქვამენ მოსაზრებებს. დიდ წრეში მსხდომნი ყურადღებით ისმენენ და აკეთებენ ჩანიშვნებს. მათ უნდა ჩაინიშნონ საინტერესო, განსხვავებული მოსაზრებები, არგუმენტები, რომლებმაც დააფიქრეს, ნააზრევი, რომელიც მნიშვნელოვნად მოეჩვენათ. შეხვედრის ბოლოს დიდი წრის წარმომადგენლები უზიარებენ კლასელებს დაკვირვებებს. აქ სასურველია ისეთი ფრაზების გამოყენება მოსაზრებების გადმოცემისას, როგორებიცაა:

„N-მა საინტერესო დეტალი შენიშნა, ამაზე არ მიფიქრია“...

„საგულისხმო იყო N-ის მოსაზრება, როდესაც მან ასე შეაფასა გმირის ქმედება...“

„ამ დეტალისთვის არ მიმიქცევია ყურადღება და განხილვისას აღინიშნა, რომ...“ და მსგავსი...

საშინაო დავალებები

საშინაო დავალებების რეპერტუარი ხშირად ერთფეროვანი და მოსაწყენია. მეტწილად, ესაა კითხვისა და წერის სავარჯიშოები. მოსწავლეები კითხულობენ საპროგრამო ტექსტებს, წერენ თხზულებებს საპროგრამო ტექსტების მიხედვით.

შეგვიძლია გავამრავალფეროვნოთ დავალებები მოსასმენით.

შევარჩიოთ საინტერესო ვიდეოჩანაწერები, ვიდეოლექციები, პოდკასტები ქართულ ენაზე. ვთხოვოთ მოსწავლეებს, მოუსმინონ და ჩაინიშნონ საინტერესო მოსაზრებები. მოსაზრებების წერილობით ჩანიშვნა მნიშვნელოვანი შემადგენელია. მათ შეუძლიათ თეზისებად ჩაინიშნონ ან ციტირების წესების დაცვით ჩაიწერონ მოსმენილი. მოსმენილთან დაკავშირებით ვთხოვოთ მოსწავლეებს ანალიტიკური კომენტარების გაკეთება – რა იყო საინტერესო? საგულისხმო? რამ აღუძრათ საფიქრალი? რის შესახებ დასჭირდათ დამატებითი ცნობების მოპოვება? იყო თუ არა რაიმე ისეთი, რაზეც აქამდე არ უფიქრიათ?

საკლასო კითხვა

კლასში ხშირად წავუკითხოთ ან თავად წავაკითხოთ კარგი პუბლიცისტური წერილები, ბლოგები. კლასიკური ან თანამედროვე პუბლიცისტიკის ნიმუშები, როგორც მწყობრი, საინტერესო, დასაბუთებული მოსაზრებების საბადოები, მნიშვნელოვანი რესურსია. მოსმენისას მითითება აქაც იგივე იქნება – დაწერეთ, რომელი ფრაზა/წინადადება/მონაკვეთი/მოსაზრება მოგეჩვენათ საგულისხმოდ, საინტერესოდ.

თუ დააკვირდებით, მოსმენის ამ ტიპის სავარჯიშოების შესრულებისას საკამათო შეხედულებების ან კრიტიკული შენიშვნების გამოყოფას არ ვითხოვთ მოსწავლეებისგან. ისინი ისმენენ სხვათა მოსაზრებებს და ცდილობენ, ამოიკითხონ საინტერესოდ, ნათლად, მკაფიოდ, ლაკონიურად, მოხდენილად გამოთქმული. შეიძლება არ ეთანხმებოდე პოზიციას, თვალსაზრისს, მაგრამ საგულისხმოდ მიიჩნიო, დრო გამოყო და ჩაუფიქრდე.

ის ფიქრობს, რომ...

მოსწავლეები წყვილდებიან ან იკვრებიან მცირე ჯგუფებად. მათ ეძლევათ განსახილველი საკითხი. დრო მსჯელობისთვის. ისინი აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს. როდესაც მოსაზრებების გაზიარების დრო დგება, ჯგუფის წევრები არა საკუთარ, არამედ მეწყვილის ან ჯგუფის სხვა წევრის მოსაზრებას აცნობენ განსჯისა და შეფასების გარეშე დანარჩენებს. მაგალითად – N-ს მიაჩნია, რომ... მისი აზრით... ის ფიქრობს, რომ... მისი არგუმენტია... ის არ ეთანხმება/ეთანხმება...

პოზიციების შეცვლა

საკამათო საკითხების ირგვლივ საკუთარი პოზიციის გამოხატვის შემდეგ ვთხოვოთ მოსწავლეებს საპირისპირო მოსაზრების არგუმენტირება. „ვითომ საპირისპირო პოზიციაზე ხარ. რა არგუმენტებს მოიშველიებდი დასასაბუთებლად?“

ზოგადად, საკლასო ატმოსფერო და „ეკოსისტემა“ ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მოზარდებს ეხალისებოდეთ შემეცნება, საპირისპირო მოსაზრებების მოსმენა. კამათის კულტურა განვითარებულ საზოგადოებაში მაღალია.

ნაკლებად განვითარებულში ეს ხმაურიანი, საკუთარი სიმართლისა და „ერთადერთი ჭეშმარიტების“ დამტკიცების პროცესია და არა შემეცნების.

მიღებული ცნობების კვალდაკვალ, ახალი ინფორმაციის დამუშავების შედეგად, რაიმე სფეროში გაღრმავებული ცოდნის შემდეგ შეხედულებათა ცვლა მოქნილი გონებრივი შესაძლებლობების, მაღალი ინტელექტისა და საზრიანობის მაჩვენებელია.

ქეთევან ოსიაშვილი

ვისწავლოთ და ვასწავლოთ ბავშვებს სიყვარული

ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჩვენს ქცევას, საუბარს, სიტყვას, ემოციების გამოხატვის ფორმებს ყოველდღიურად, ყოველ წუთს „გამადიდებელი ლუპით“ აკვირდებიან ბავშვები და თუ მათი ემოციური ინტელექტით უკმაყოფილო ვრჩებით, ცუდი არ იქნება, ჩავიხედოთ საკუთარ თავში, დავუკვირდეთ ჩვენს ქცევას, იმას, თუ როგორ გამოვხატავთ გრძნობებს, ემოციებს; ვიფიქროთ იმაზე, თუ რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ბავშვი უფრო მოსიყვარულე, ემპათიური, თანამგრძნობი აღიზარდოს.

ალბათ ახალი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე დიდი პრობლემა, რაც დღეს ადამიანთა წინაშე დგას, სიყვარულის დეფიციტია; სიყვარულის, თანაგანცდის, თანაგრძნობის, ემპათიის ნაკლებობა და ადამიანთა შორის გაუცხოება. სმარტფონებში თავჩარგულები და საკუთარ ცხოვრებისეულ პრობლემებში ჩაძირულები ხშირად ვერც კი ვამჩნევთ, რომ აქვე, ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანი, რომელიც შეიძლება სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეც კი იყოს, წამალივით საჭიროებს ჩვენს ყურადღებას, სითბოს, სიყვარულს. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი ერთი სატელეფონო ზარი, ჩვენი ხმის გაგონება ასეთი ადამიანისათვის იმედის და ცხოვრებისკენ შემობრუნების უძლიერეს ფაქტორად იქცეს. ადამიანის ფსიქიკის შესაძლებლობებს ხომ საზღვარი არა აქვს, ცნობილია უამრავი შემთხვევა, როცა სრულიად უიმედო სიტუაციიდანაც კი გამოსულა ადამიანი და ექიმები გაოცებული დაუტოვებია. ფსიქიკის შესაძლებლობები მედიცინისთვის დღემდე ამოუცნობ საიდუმლოდ რჩება. სწორ დროს, სწორ ადგილას, სწორად ნათქვამმა სიტყვამ, ემოციების ადეკვატურად გამოხატვამ, სიყვარულმა, თანადგომამ, თანაგანცდამ ნამდვილად შეიძლება სასწაული მოახდინოს. სამწუხაროდ, ხშირად საკუთარი პრობლემებით დატვირთულნი, ამისთვის ვერ ვიცლით და ამის კეთებას მხოლოდ მაშინ ვიწყებთ, როცა ადამიანი ჩვენ გვერდით უკვე აღარ არის. ასეთ დროს ჩვენი გამოხმაურებებით თითქოს ვცდილობთ, ერთმანეთს დავუმტკიცოთ, რომ წასული ადამიანისათვის ჩვენ ყველაზე ახლობელი, ძვირფასი და საყვარელი ვიყავით, მასთან ყველაზე მეტი რამ გვაკავშირებდა. რამდენისგან მსმენია ასეთი ფრაზა: „ამ ადამიანს რომ სცოდნოდა ნაცნობ-მეგობრების მისდამი ასეთი დამოკიდებულება, შეიძლება ეპოვა საკუთარ თავში სასიცოცხლო ძალები და დღესაც ჩვენ გვერდით ყოფილიყო“.

ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჩვენს ქცევას, საუბარს, სიტყვას, ემოციების გამოხატვის ფორმებს ყოველდღიურად, ყოველ წუთს „გამადიდებელი ლუპით“ აკვირდებიან ბავშვები და თუ მათი ემოციური ინტელექტით უკმაყოფილო ვრჩებით, ცუდი არ იქნება, ჩავიხედოთ საკუთარ თავში, დავუკვირდეთ ჩვენს ქცევას, იმას, თუ როგორ გამოვხატავთ გრძნობებს, ემოციებს; ვიფიქროთ იმაზე, თუ რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ბავშვი უფრო მოსიყვარულე, ემპათიური, თანამგრძნობი აღიზარდოს. ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბავშვს, გამოავლინოს ყურადღება, სითბო, სიყვარული გვერდით მდგომის მიმართ, თუ დაბადებიდან არ უგრძნია ეს ახლობლებისაგან და, პირველ რიგში, მშობლებისაგან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ეპოქაში ბავშვის ემოციური განვითარება ყველაზე საყურადღებო მიმართულებად არის მიჩნეული და მთელი ჩვენი ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში გამოვუმუშაოთ ბავშვს სიყვარულის, ემპათიის, თანაგანცდის, თანაგრძნობის უნარი.

რა შეიძლება გავაკეთოთ აღნიშნული მიმართულებით – რეკომენდაციები:

- **გამოვხატოთ, გამოვავლინოთ, გამოვამჟღავნოთ სიყვარული ბავშვის მიმართ, ნუ დავმალავთ ამ გრძნობას, ნუ მოგვერიდება, ნუ შევიკავებთ თავს ალერსისა და მოფერებისაგან** – შევაქოთ საჭირო დროს და ვიყოთ მგრძნობიარე ბავშვის ემოციური მოთხოვნილებების მიმართ. ეს ხელს უწყობს თვითრეგულაციის განვითარებას, რამდენადაც, როცა ბავშვი გრძნობს, რომ ის უყვართ, მას უყალიბდება სამყაროს, როგორც უსაფრთხო და სასიამოვნო ადგილის აღქმა; ეს საშუალებას აძლევს მას, იმოქმედოს მშობლებისგან დამოუკიდებლად და არ ეშინოდეს, რომ ყოველ კუთხეში საფრთხე და უსიამოვნებები ელის. თუ მშობლების ქცევა ცივი, დისტანციური და არათანმიმდევრულია გრძნობების გამოხატვისას, პატარა თავს დაცულად ვერ გრძნობს, ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში, უჩნდება საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გრძნობა, უქვეითდება თვითშეფასება.
- **გვახსოვდეს, რომ სიყვარული ბავშვის მიმართ არასოდეს შეიძლება იყოს ზედმეტად ბევრი** – ბავშვს ნამდვილად არ დააზარალებს, თუ ყოველდღე ვეტყვით, რომ გვიყვარს, რომ ის ჩვენი უსაზღვრო სიხარულის წყაროა. მას ნამდვილად არ ავნებს ასევე ჩახუტება და გულწრფელად შექება. არ ღირს შევიკავოთ დადებითი ემოციები, გრძნობები და ვიყოთ ცივი, უგრძნობი იმის გამო, რომ არ „გავაფუჭოთ“ ზედმეტი ყურადღებით. ზოგიერთი მშობელი მიიჩნევს, რომ სიმკაცრე აყალიბებს მტკიცე ხასიათს. სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა: როცა ბავშვები გრძნობენ გულწრფელ, ნამდვილ სიყვარულს, როგორც წესი, ნაკლებ მოთხოვნებს აყენებენ და ბევრად უფრო მეტი სიმტკიცით გამოირჩევიან.
- **ნუ მოგვერიდება ბავშვის მიმართ სიყვარულის ფიზიკურად გამოვლენის** – ბავშვისთვის აუცილებელია მშობლების მხრიდან სიყვარულის ფიზიკურად გამოხატვა არა მხოლოდ ჩვილობაში, არამედ მოგვიანებითაც, ადრეულ ბავშვობაში და მოზარდობის ასაკშიც. ხშირად მშობლები ვერ ხვდებიან, რომ მათი შვილებისთვის ეს აუცილებელია მაშინაც კი, როცა ისინი იზრდებიან და უხერხულობას გრძნობენ მოფერების, სითბოსა და სიყვარულის გამოხატვის გამო. ხანდახან სასურველია, ვიყოთ უფრო დელიკატური გრძნობების გამოხატვისას მოზარდის მიმართ და ვიცოდეთ, სად და როგორ გამოვავლინოთ ჩვენი ემოციები. ნუ გავამახვილებთ საგანგებოდ ამაზე ყურადღებას – ბავშვისთვის უკეთესი იქნება, თუ ეს მასთან ურთიერთობის ბუნებრივ და ყოველდღიურ ნაწილად იქცევა. სხვა სიტყ-

მშობლების სიყვარული ასწავლის მოზარდს, იყოს დამოუკიდებელი, იმსახურებდეს პატივისცემას, შეეძლოს პატიება, დახმარება, თანაგრძნობა, თანაგანცდა. ყურადღებისა და სიყვარულის ნაკლებობა კი გავლენას ახდენს ბავშვის როგორც სოციალურ-ემოციურ, ისე ინტელექტუალურ განვითარებაზე.

ვებით რომ ვთქვათ, ვისწავლოთ ბავშვისადმი სიყვარულის გამოვლენა გულწრფელად და არა საჩვენებლად, სხვებისთვის იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ გვიყვარს ის. საკმარისი იქნება, უბრალოდ სწრაფად ვაკოცოთ მას, როცა დილით სკოლაში მიდის, მოვეხვიოთ, ჩავეხუტოთ, როცა სკოლიდან ბრუნდება. ასეთი ფიზიკური კონტაქტი, როგორი უეცარი და მოულოდნელიც უნდა იყოს, აძლიერებს, განამტკიცებს ჩვენს ემოციურ ურთიერთობას.

- **შევეცადოთ, გავიგოთ ბავშვის ემოციური მოთხოვნილებები და საჭიროებები** – ეს არ ნიშნავს ბავშვის უბრალოდ ნუგეშისცემას და დამშვიდებას, როცა ის ტირის ან ეშინია. აუცილებელია, ყურადღებით დავაკვირდეთ მის განწყობა-დამოკიდებულებებს და ისეთი რეაგირება მოვახდინოთ, რომ დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ მის ემოციურ განვითარებას. ბავშვის ემოციური მოთხოვნილებები იცვლება ასაკის მატებასთან ერთად. ჩვილობის პერიოდში პატარას უნდა გავუჩინოთ უსაფრთხოებისა და ნდობის განცდა. ადრეულ ბავშვობაში მისი ქმედებების წახალისებით საჭიროა, დავეხმაროთ ბავშვს, გახდეს შედარებით დამოუკიდებელი. დაწყებით კლასებში, როცა ბავშვები ხშირად იწყებენ დაეჭვებას საკუთარ შესაძლებლობებში, უნდა შევქმნათ ისეთი გარემო, რომ ბავშვმა დაიჯეროს საკუთარი ძალის და მიაღწიოს წარმატებას. გარდატეხის ასაკში ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, დავეხმაროთ მოზარდს, იყოს თავდაჯერებული და დამოუკიდებელი.
- **გადავაქციოთ სახლი ბავშვისთვის ნავსაყუდლად** – მოზარდი უნდა გრძნობდეს, რომ სახლი ის ადგილია, სადაც შეუძლია უსაფრთხოდ და ყოველდღიური ცხოვრებისეული სირთულეებისაგან დაცულად იგრძნოს თავი. შევქმნათ სახლში ისეთი ატმოსფერო, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვს, მოეშვას, მოდუნდეს, დაივიწყოს თავისი პრობლემები და დაისვენოს. შევეცადოთ შევამციროთ მისთვის სტრესის დონე იმით, რომ სახლში არ იყოს ჩხუბი, კამათი, დაპირისპირება, ურთიერთობების ემოციურად გარკვევა. ბავშვს სჭირდება სიმშვიდის „კუნძული“ სკოლაში გატარებული რთული დღის ან სათამაშო მოედანზე მომხდარი არასასიამოვნო შემთხვევის შემდეგ, როცა მეგობრებმა აწყენინეს, ან როცა ეჩხუბა საყვარელ ადამიანს. შეიძლება ჩვენს ძალას აღემატებოდეს ამგვარი პრობლემების მოგვარება, მაგრამ შესაბამისი ატმოსფერო სახლში ერთგვარი შვება იქნება და მოზარდს განტვირთვაში დაეხმარება.
- **ნუ ვიქნებით ზედმეტად მომაბეზრებელი და შემაწუხებელი ბავშვისთვის** – რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ბავშვმა იცოდეს, რომ მშობლები ყოველთვის მის გვერდით არიან და მზად არიან დასახმარებლად, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერებაც, რომ მას შეუძლია უამრავ რთულ სიტუაციას დამოუკიდებლად გაუმკლავდეს. თუ ჩვენ ვცდილობთ, ბავშვის ყველა ნაბიჯი გავაკონტროლოთ და არ ვაძლევთ შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმოქმედოს, დამოუკიდებლად აკეთოს საქმე, მას არასოდეს განუვითარდება საკუთარი ძალის რწმენა, ნდობა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ.

და ბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ გარშემომყოფი ადამიანების, უპირველეს ყოვლისა კი, მშობლების სიყვარული და ყურადღება, გულისხმიერი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ბავშვს კომფორტის, სიმყუდროვის, უსაფრთხოების, დაცულობის გრძნობას უჩენს. ბავშვს მშობლებში საყრდენი სჭირდება. მშობლების სიყვარული ასწავლის მოზარდს, იყოს დამოუკიდებელი, იმსახურებდეს პატივისცემას, შეეძლოს პატიება, დახმარება, თანაგრძნობა, თანაგანცდა. ყურადღებისა და სიყვარულის ნაკლებობა კი გავლენას ახდენს ბავშვის როგორც სოციალურ-ემოციურ, ისე ინტელექტუალურ განვითარებაზე.

www.mastsavlebeli.ge

ირმა ტაველიძე

კარვის სკოლა

აზერბაიჯანელი მწერლის, გიუნელ მოვლუდის „ბანაკი“ მოსალოდნელზე მძიმე საკითხავი გამოდგა – ძველი მოგონებები, 90-იანი წლების გაუსაძლისი ყოფის სურათები ერთიანად წამომიშალა. მერე რა, რომ დევნილი არასდროს ვყოფილვარ და არც მთავარი გმირივით მიცხოვრია კარვების სოფელში. ჩემი თვალთახედვის არეშიც მოხვედრილა „ტექსუნის“ ქილაში გახარებული ოთახის მცენარე თუ ის რეკლამა, საპონ „ქამეის“ სანატრელ საჩუქრად რომ აქცევდა...

თუმცა დევნილების ჯოჯოხეთი სხვაა, უფრო მწველი ცეცხლით. ამ წიგნის მთხრობელის სატანჯველს კი ისიც ემატება, რომ შშობლები კითხვის ჩვევას არ უწონებენ, სულაც სახიფათოდ და ქალიშვილისთვის შეუფერებლად მიიჩნევენ. „ყოველ ჯერზე, როცა კი წიგნს ვიღებდი ხელში, რაღაცას მავალებდნენ და თუ ჯეროვნად ვერ ვასრულებდი, წიგნს მართმევდნენ და ხევდნენ“, – ჰყვება გიუნელ მოვლუდი, რომლის გულახდილობაც უფრო და უფრო დამზაფვრელი, რთულად გასაზრებელი ხდება. დიახ, ჩვენ წინ ავტობიოგრაფიული ტექსტია, მტკივნეული თერაპიის მწარე ნაყოფი.

მამაჩემი ბავშვობაშივე არ მიყვარდაო, აღიარებს ის და მალევე გვარწმუნებს, რომ საამისოდ საკმარისზე მეტი მიზეზი აქვს. თუთის ბაღში „საათობით ჩამომჯდარი მის სიკვდილსა და ჩვენთვის თავის დანებებას“ ვნატრობდიო. ძალადობის ჯაჭვში ჩაბმული ოჯახის წევრები, ახლობლები, ბანაკის ნაცნობი თუ უცნობი მოსახლეები ამ მოცემულობას თითქმის ბუნებრივად, ყოველდღიური ყოფის ჩვეულებრივ ნაწილად მიიჩნევენ. სხვა არც რა ყოფილა და არც რა იქნება იქ, სადაც მთავარი ამოცანა ნებისმიერ ფასად გადარჩენაა, მთავარი საფიქრალი ხვალინდელი დღის პური და მარგარინია.

ბანაკში ათ-თხუთმეტ კარვად გაშლილი სკოლაც აქვთ, სადაც მოზარდები ხეირიანად წერა-კითხვასაც ვერ სწავლობენ. უფრო იმისთვის დადიან, რომ უფროსების მტანჯველ კონტროლს, შემაწუხებელ საოჯახო საქმეებს ცოტა ხნით მაინც დააღწიონ თავი, ამოისუნთქონ. „ზამთრის ტანსაცმელი გვეცვა, თუმცა კარვის კლასში მაინც ვიყინებოდით, – იხსენებს ავტორი. – ღუმლის ანთება კი იყო საჭირო, მაგრამ სკოლისთვის გამოყოფილ შეშაზე არაფერი ისმოდა. დიდი ალბათობით, გაყიდული და შეჭმული იყო. ამიტომაც ღუმლის ასანთებად გამხმარ ეკლიან ბუჩქებს, ნაძვის გირჩებს, მუყაოს ვიყენებდით“. ამ ყველაფერს, ცხადია, ბავშვები აგროვებენ, ყინვისგან გაწითლებული, შრომისგან გაუხეშებული ხელებით.

თორმეტი-ცამეტი წლის გოგონა ყველას უსმენს, ყველას აკვირდება და არც დასკვნების გამოტანა, გარემოებებისა თუ მოვლენების სწორად შეფასება უძნელდება. დრო გადის და ხვდება, რომ მოჯადოებული წრე უნდა გაარღვიოს, თავდახრილი ქალიშვილის ხვედრის გაზიარებაზე უარი ჯიუტად უნდა თქვას. ერთ კარავში ბიბლიოთეკასაც აღმოაჩენს, საიდანაც ეზიდება და ეზიდება რომანებს – სინამდვილე ცოტა უფრო ასატანი რომ გახადოს, მზის შუქს კარვის ბნელ კუთხეებშიც რომ შეაღწევინოს.

ყველასგან სწავლობს. ყველაფრისგან სწავლობს.

„არ იყო არსად წვეთი სიხარული, შუქი, იმედი, არც წარსულში და არც მომავალში“, – ამას კი მთელი სიმძაფრით სწორედ მაშინ განიცდის, როცა მისი ოჯახი ბოლოს და ბოლოს ბანაკს თავს დააღწევს, როცა ხუთწლიან ტანჯვა-წამებას სუმგაითში, ახლად ნაყიდ პატარა ბინაში გატარებული დღეების უღიმღამობა შეენაცვლება. დევნილობის დამღა უფრო რთულად ასატანი ხდება. სწავლას სხვა სკოლაში აგრძელებს, მაგრამ მის ფანჯრებსაც სასოწარმკვეთად ჩაშავებია აქა-იქ შემორჩენილი მინები: „ოთახებში მუდამ ბნელოდა და კედლებს თითქოს უნდა ჩაეყლაპე. გათბობის სისტემა არ მუშაობდა. გაკვეთილზე ქურთუკებით ვისხედით, მაგრამ მაინც გვციოდა. ნორმალურ სახელმძღვანელოებზე, სასკოლო ინვენტარზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო“.

ვერ ვიტყვით, რომ უცხო სურათია, რომ მსგავსი არაფერი გვინახავს. გიუნელ მოვლუდის „ბანაკი“ კი იმიტომაც არის კარგი წიგნი, რომ იმ ყველაფრის დავიწყების შეუძლებლობას შეგვახსენებს, რაც ათასწლეულთა მიჯნაზე მიღებული ახალი გამოცდილებებით, ყოველდღიურად თავგასართმევი ამოცანებით, ხმამაღლა დასახული გეგმებით გადავფარეთ. ალბათ გვჯეროდა, რომ ცხოვრებიდან რაღაცას მართლაც ამოვშლიდით, რომ ასე უფრო ადვილად გავიმარჯვებდით.

ლევან ლორთქიფანიძე

უპირობო მეგობრობა

დიპლომატები ხშირად იმეორებენ ერთსა და იმავე ფრაზას: „არ არსებობენ მუდმივი მტრები და მეგობრები, არსებობს მუდმივი ინტერესები“. აღნიშნული მოსაზრების მომხრეებს ერთი რამის თქმა სურთ ჩვენთვის – ისინი ამტკიცებენ, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობები მხოლოდ პრაგმატული მისწრაფებებით იზომება და ხალხებს იდეალები, ღირებულებები, ერთმანეთისადმი ერთგულება არ აერთიანებთ. ომებისა და შეუზღუდავი გლობალური ვაჭრობის ეპოქაში მართლაც ძნელი დასაჯერებელია სხვადასხვა ეთნოსებს შორის უპირობო მეგობრობა, მაგრამ საყოველთაო სკეპტიციზმის მიუხედავად, უნიკალური მოვლენა მაინც არსებობს.

ალბათ, გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ უანგარო მეგობარი ჩვენ – ქართველებს, საქართველოს მოქალაქეებს გვყავს, თან ეს მეგობრობა საუკუნეებმა გამოცადა და ვერაფერი დააკლო.

ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს საზღვართან ახლოს დიდი ხანია ერთი მცირერიცხოვანი ხალხი ცხოვრობს, რომელიც ასწლეულებია იბრძვის თავისი იდენტობის მკაფიოდ გამოკვეთისათვის. ინგუშები ნახურ ენაზე საუბრობენ, რასაც სხვადასხვა იმპერიები ხშირად იყენებდნენ ბოროტად. თვითმპყრობელური რეჟიმები ნახურ ენაზე მოსაუბრე ყველა ეთნიკურ ჯგუფს ერთ კალათაში ყრიდნენ, რათა მცირე ერებისთვის თვითგამორკვევისა და განვითარების შესაძლებლობა მოესპოთ. ცარისტული და საბჭოთა ბიუროკრატია დროსა და ენერგიას არ იშურებდა იმისთვის, რომ ინგუშებსა და მათ მონათესავე ჩეჩნებს შორის ტოლობის ნიშანი დაესვა. შეიძლება ჩეჩნებსა და ინგუშებს ენის, კულტურისა და ისტორიის თვალსაზრისით მართლაც ძალიან ბევრი რამ აერთიანებთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ხალხის ნება, განწყობა და ღირებულებითი სისტემაა. უამრავი საერთო ნიშნის მიუხედავად, ფაქტია, რომ უკანასკნელი ერთი საუკუნის განმავლობაში ინგუშებმა სრულიად დამოუკიდებელ ნაციად ჩამოყალიბების გზა აირჩიეს, რაც თანამედროვე საზოგადოებაში პატივისცემასა და მხარდაჭერას უნდა იმსახურებდეს.

რა განაპირობებს ქართულ-ინგუშური ურთიერთობების უნიკალურ ხასიათს?

უპირველეს ყოვლისა, შუა საუკუნეების ისტორიის რამდენიმე ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ. ინგუშეთი თამარ მეფის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. კეთილშობილი მონარქი კი ყოველთვის ცდილობდა ეზრუნა ახლადშემომტკიცებულ ტერიტორიებსა და იქ მცხოვრებ ხალხებზე. თამარის ეპოქა სიმშვიდისა და აღმშენებლობის პერიოდი აღმოჩნდა ინგუშეთისთვის. მოკლევადიანი სტაბილურობა საფუძვლად დაედო გზებისა და ხიდების მშენებლობას, კავკასიონის ქედის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს შორის ურთიერთობების განმტკიცებას, სოციალური და პოლიტიკური კავშირების ჩამოყალიბებას.

მოგეხსენებათ, შუა საუკუნეებში განათლებისა და ცოდნის გავრცელების უმთავრეს და ერთადერთ კერას ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ. ფეოდალური ხანის ქართული სახელმწიფოები ბევრს ზრუნავდნენ, რათა ჩრდილოეთში ახალ-ახალი სულიერი ცენტრები აემოქმედებინათ. თანამედროვე ინგუშეთი სავსეა ქართველთა და ინგუშთა წინაპრების ერთობლივი შრომის შედეგად აშენებული გამორჩეული ქრისტიანული ძეგლებით. მხოლოდ თხაბა-იერდის ეკლესიის გახსენება რად ღირს, რომელიც თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ნაგებობაა. ავტორიტარულ და იმპერიალისტურ ხელისუფლებასთან ალიანსში მყოფი მოსკოვის საპატრიარქო ყველა მცირერიცხოვან ხალხს ზემოდან დაჰყურებს, კონსტანტინოპოლს რომის მემკვიდრეობაში ედავება, არადა, მათ იურისდიქციაში მოქცეული უძველესი ტაძარი, ჩვენი – ინგუშებისა და ქართველების აშენებულია. თხაბა-იერდი მხოლოდ ერთი მარგალიტია იმ საგანძურსა, რომლითაც ჩრდილოეთ კავკასიის პატარა რესპუბლიკის მთის ფერდობებია დახუნძლული.

ცხადია, ასეთი ინტენსიური ურთიერთობები ადგილობრივ კულტურაზეც აისახა. ინგუშური ფოლკლორი მდიდარია თამარ მეფის შესახებ შექმნილი თქმულებებით, სადაც ხელმწიფე მხოლოდ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიება, სამართლიანობისა და სიკეთის წყაროდ არის აღიარებული.

ინტენსიური სოციალური და კულტურული კავშირების კვალს ფოლკლორის გარდა ტოპონიმიკაშიც აღმოაჩენთ. ქართველებსა და ინგუშებს შორის მტკიცე ხიდების მშენებლობას განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი ორი ქვეყნის ლიტერატურის წარმომადგენლებმა. შეგვიძლია მხოლოდ ალექსანდრე ყაზბეგი და ალი ხამაგულგოვი გავიხსენოთ, რომლებიც დაუღალავად იღვწოდნენ ამ ორ ხალხში პატიოსნებისა და ღირსების მაგალითების გამოკვეთისა და გაზიარებისთვის. თუმცა, ქართულ-ინგუშურ ურთიერთობებს ყველაზე მეტ სიმტკიცეს მაინც განსაცდელში გამოვლენილი ურთიერთთანადგომის პრეცედენტები სძენს.

1944 წელი საბედისწერო მომენტი აღმოჩნდა კავკასიაში მცხოვრები მრავალი ხალხისთვის. სტალინურ რეპრესიებსა და დეპორტაციებს ემსხვერპლა ათასობით მესხის, ჩეჩნისა და გერმანელის სიცოცხლე. გადარჩენილები კი ცენტრალური ჯიის გზას გაუყენეს. დევნასა და გადასახლებას ვერც ინგუშები გადაურჩნენ. ათობით ათას ინგუშს მშობლიური სახლის მიტოვება მოუწია. საბჭოთა ხელისუფლებამ ინგუშეთის ტერიტორიაზე სხვა ერების დასახლება განიზრახა. ქართველებსაც შეხვდათ ინგუშთა მიწის გარკვეული ნაწილი, სადაც ისინი ხრუშჩოვის „დათბობის“ პერიოდამდე მშვენივრად ცხოვრობდნენ. მოგეხსენებათ, სტალინის შემდგომმა ლიდერებმა დეპორტირებულ ერებს შინ დაბრუნების უფლება მისცეს. მრავალწლიანი დევნილობიდან კავკასიაში მობრუნებულ ინგუშებს ქართველებმა წინააღმდეგობის გარეშე დაუთმეს კუთვნილი სახლები, აჩუქეს საკუთარი საქონელი და არაგვის ხეობაში გადმოინაცვლეს. ყველა ჩასახლებული ხალხი ასე არ მოქცეულა, ინგუშებთან სისხლს ყველა არ მორიდებია. აქედან გამომდინარე, ღლიღვები განსაკუთრებით აფასებენ ქართველთა რაინდულ საქციელსა და სამართლიან უკანდახევას.

1990-იან წლებში საბჭოეთის მიერ ხელოვნურად წარმოქმნილმა კონფლიქტმა კიდევ ერთხელ იჩინა თავი. პრიგოროდნის რაიონისთვის ოსებსა და ინგუშებს ომში ჩართვა მოუწიათ. ბუნებრივია, ოსურ-ინგუშური სამხედროშეიარაღებული დაპირისპირების დროსაც არცერთ ქართველს არ აუღია იარაღი ხელში მოძმე ხალხის წინააღმდეგ. პრიგოროდნის ომი ინგუშთა დამარცხებით დასრულდა, 70 000 ინგუში საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ამ ტრაგედიის შემდეგაც ქართველებს არ შეუწყვეტიათ მეზობელი ხალხის განვითარებაზე ზრუნვა. 1994 წელს ქართველ ინჟინერთა ჯგუფი ინგუშეთში ავტომაგისტრალების მშენებლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. მაშინ მთელ რეგიონში უმძიმესი სიტუაცია იყო შექმნილი და ჩეჩნეთის ომის გამო ბევრი ერიდებოდა ტრანსკავკასიურ ავტობანებზე მუშაობას, ჩვენები კი უკან არ იხევდნენ. სამწუხაროდ, ქართველთა თანადგომას უკვალოდ არ ჩაუვლია. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სოფელ ალქუნთან უცნობმა

ШОРЕНА ТУЕШЕЛАШВИЛИ

ზაფხული ჩვენი მღელვარებისა

პირებმა გაურკვეველი მოტივით ჩაცხრილეს 8 ქართველი მეგზევე, რომელთა მემორიალი დღემდე ამაყად დგას სუნჯის რაიონში.

თავის მხრივ, ინგუშებს წარმოუდგენელი სიმამაცე აქვთ გამოჩენილი საქართველოს დასაცავად. მოგეხსენებათ, აფხაზეთის ომის დროს რუსულმა პროპაგანდამ მოახერხა მთელი კავკასიის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დარაზმვა. გაგრასთან და სოხუმთან საქართველოს სამხედრო ძალებს მხოლოდ სეპარატისტები და რუსები არ ებრძოდნენ, ბრძოლის ველზე მრავლად იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიელებიც, მხოლოდ ინგუშებმა იუარეს ჩვენს გასანადგურებლად გალაშქრება.

იგივე განმეორდა 2008 წელსაც, როდესაც არცერთმა ინგუშმა არ მოისურვა საქართველოსთვის ცეცხლის გახსნა.

უპირობო მეგობრობის ერთგვარ სიმბოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ცერემონიალი რჩება.

1991 წლის 9 აპრილს, დეკლარაციის მიღებისას დეპუტატებსა და ხალხს ერთადერთმა უცხოელმა მიმართა. გათავისუფლების პირველსავე წუთებში ისტორიული მიღწევა მოგვილოცა მწერალმა ისა ქოძოიმ (ჯოძოევი), ინგუშეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა. შემოქმედმა თავისი გამოსვლა განსაკუთრებული სიტყვებით დაასრულა:

„ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებმა შესანიშნავად იციან, რომ წინ თქვენ რთული დღეები მოგელით, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი უკან! რკინასავით უნდა დადგეთ! ჩვენ თქვენგან ჩრდილოეთით ვცხოვრობთ, ჩვენ ინგუშები ბევრნი არ ვართ, მაგრამ რამდენიც ვართ, თქვენ განკარგულებაში ვიქნებით !!!".

სასიხარულოდ, დიდი ხნის წინ დაწყებული საქმე დღესაც გრძელდება. ინგუშეთში უამრავ ქუჩას ჰქვია საქართველოსთან დაკავშირებული სახელი, მათთვის ჩვენი ქვეყანა კვლავ უპირობო მეგობრობასთან ასოცირდება.

საქართველოში თითქოს აღარ გვახსოვს საუკუნოვანი კავშირები, მაგრამ ბოლო დროს დიდი გამოცოცხლება შეინიშნება. თბილისში ინგუშური კულტურის ცენტრი დაარსდა, რომელიც ორ ერს შორის არსებული უძველესი ხიდების გამაგრებას ესწრაფვის. დარწმუნებული ვარ, ცენტრი უანგაროდ გაუწევს დახმარებას ყველა მასწავლებელს, რომელიც თავის გაკვეთილზე კავკასიური თემატიკის განხილვას მოიწადინებს.

დადგა ზაფხული და გულებიც აივსო იმ მოლოდინით, რომელსაც თავისუფლების, დასვენების და შთაბეჭდილებების მოგროვების სეზონი ჰქვია. ზაფხული ყველასთვის თანაბრად უკავშირდება ისეთ სიხარულს, რომელმაც შემდეგ მთელი წელი უნდა გვკვებოს, უნდა გვასაზრდოოს და გვანუგეშოს. ნელ-ნელა ფოთლები რომ შეყვითლდება, ცა უფრო ხშირად რომ მოიქუფრება, დღე რომ უფრო მეტად დამოკლდება, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ როცა ეს ყველაფერი გაივლის, ისევ მოვა ზაფხული და ერთმანეთზე მიყოლებით უკეთესი დღეები იქნება. ეს ბავშვური მოლოდინია და ვფიქრობ, სწორი მოლოდინიცაა... როდესაც ბავშვი ხარ, ზაფხულისგან მოელი, რომ ის იქნება ბედნიერებით დატვირთული, ისეთი მრავალფეროვანი, რომ სიამოვნებით მოუყვები თანატოლებს მის შესახებ. ხშირად ილაპარაკებ იმაზე, რა ცადე, რა გამოგივიდა და რა ისწავლე; სად იყავი და ვინ გაიცანი; რა წაიკითხე, რას უყურე, რას მოუსმინე და რამ აღგაფრთოვანა. ზაფხული დატვირთული თვეების შემდეგ ამოსუნთქვის, ვენტილაციის პერიოდია ყველა ასაკის ადამიანისთვის, რომელმაც ისევ ხელახლა უნდა დაგვბადოს, რომელმაც ხელახლა უნდა გაგვაძლიეროს, ხელახლა უნდა შეგვამზადოს დაბრკოლებების გადასალახავად, ხელახლა უნდა მოგვაკრებინოს მენტალური და ფიზიკური ენერგია, ხელახლა უნდა ვიტვირთოთ პასუხისმგებლობების სიმძიმე ამ მსუბუქი, თავისუფალი და შთაბეჭდილებებით სავსე პერიოდის შემდეგ. სწორედ ამისთვის გაჩნდა ზაფხული.

ბავშვობის შთაბეჭდილებების და სიხარულების ერთი სკივრი რომ არსებობდეს, იქ ყველაზე დიდი მარაგი ზაფხულის დღეებში გადახდენილი ამბების, თავგადასავლების და სიხარულების იქნებოდა. ზაფხულის ამ სკივრში იქნებოდა ბევრი გამარჯვებაც, ფიზიკური ტრავმები, მტკივნეული სულიერი განცდები, იქნებოდა შეცნობის, დაკვირვების და აღმოჩენის შთაბეჭდილებებიც, რომლებიც ყველაზე ხშირი და ინტენსიური რაოდენობით ზაფხულში მიგვიღია. გაკვეთილებისგან, სკოლისგან, დავალებებისგან მოშორებით ზაფხულში სხვა გაკვეთილები იწყება. ვფიქრობ, საზაფხულო გაკვეთილებიც უმნიშვნელოვანესია ბავშვისთვის, მისი სწორი ჩამოყალიბებისთვის, მისი ბედნიერი და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. როცა ვიზრდებით და მშობლები ვხდებით, ნელ-ნელა გვავიწყდება, რას ნიშნავს ზაფხული ბავშვისთვის და რას მოელის ის მისგან. ახლა ჩვენი პრაქტიკული გადასახედიდან გვაქვს ჩვენ-ჩვენი „დიდური" მოლოდინები, რომელიც ძალიან განსხვავდება ბავშვების მოლოდინებისგან. უფროსებს გვინდა ზაფხულისგანაც პრაქტიკული სარგებელი მივიღოთ, ყველა მტკივნეული „ჩავარდნა" ავანაზღაუროთ, ბავშვს იმდენი დრო არ დავუტოვოთ, რომ გაზარმაცდეს, მოიწყინოს, კალაპოტიდან ამოვარდეს... ვფიქრობთ, ზაფხული შეიძლება მშვენიერი დროც აღმოჩნდეს კიდევ უფრო წინ წასასვლელად, ახალი რამეების სასწავლად, მშვენიერი იქნება, არ დაავიწყდეთ ის ყველაფერი, რაც მთელი წლის განმავლობაში დაისწავლეს, დრო და ენერგია დახარჯეს, ამიტომ ცუდი არ იქნება, თუ გადაიმეორებენ... აუცილებელია იმ წიგნების წაკითხვა, რომელიც სკოლაში დასვენების გამოცხადების წინ ჩამოუწერა მასწავლებელმა, მათემატიკაშიც არ აწყენდათ წავარჯიშება, ინგლისურში ან ფრანგულში და ან კითხვის და წერის უნარის გაუმჯობესება და ა.შ. დაუსრულებლად.

ცოტა თუ დავფიქრდებით, ჩვენი ბავშვობის ზაფხულის სკივრს გავხსნით, კარგად თუ ამოვქექავთ ძველ ამბებს, მივხვდებით, რომ ზაფხული კალაპოტიდან, სწორედაც რომ წესრიგსმიყოლილი რუტინიდან ამოვარდნის პერიოდი იყო. სიხარულის და შთაბეჭდილებების გაუნელებელი პერიოდი, რომელიც შემდეგ ფეიერვერკივით აინთება და გაგვინათებს მოქუფრულ დღეებს, რომელსაც გასდევს მსუბუქი, სასიამოვნო მღელვარების განცდა. ამ სკივრში თუ ჩავიხედავთ, გაგვახსენდება ყველა ის დღე, როდესაც რაღაც ვეცადეთ და გამოგვივიდა, როდესაც ვსწავლობდით, როგორ გვერბინა სწრაფად და გამოგვივიდა, ზოგჯერ კი ისე წავქცეულვართ, მუხლი გადაგვიყვლიფავს და ნაიარევი ყოველთვის გაგვახსენებს ამ მცდელობებს. ეს სკივრი გვახსენებს, როგორ ვისწავლეთ ველოსიპედის მართვა, ცურვა, ვიმგზავრეთ მარტო და გადავლახეთ მარტოობის შიში. ზაფხულს უხდება კალაპოტიდან ამოვარდნა, მღელვარე, კეთილი მოლოდინებით სავსე განწყობა, საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა და გამოცდა. მოშვება და დროებით მაინც იმის შეგრძნება, რომ რა კარგია, ცოტა ხანი მაინც აღარ არსებობს არანაირი ვალდებულებები და რომ თავისუფალი ვართ.

ნანა აბულაძე

ფიქრები ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ისტორიაზე

არსებობს ლიტერატურისადმი ეროტიკული სიყვარული და არსებობს ინტელექტუალური (პროფესიული) სიყვარული. პირველ შემთხვევაში, წიგნებს სიამოვნების მისაღებად ვკითხულობთ, უფრო მეტად შინაარსსა და ემოციურ ზემოქმედებას ვუკვირდებით, ვიდრე ფორმასა და კონტექსტს. აი, მეორე შემთხვევაში კი ყველაფერი ერთად გვაინტერესებს. მეორე შემთხვევაში, ლიტერატურა ჩვენი სუნთქვაა, არათუ სიამოვნების, არამედ კვლევის, ძიების საგანია.

წიგნებიც ამ ორ კატეგორიაში შეიძლება მოთავსდეს: კლასიკა, თანამედროვე ლიტერატურა, ყველაფერი ის, რაც სიამოვნებით ან სამოყვარულო ინტერესით იკითხება და საკვლევ-საჩხრეკი ლიტერატურა, ანუ ის, რასაც მხოლოდ ლიტერატურის ისტორიისათვის აქვს გარკვეული მნიშვნელობა. მეორე კატეგორიაშია, მაგალითად, სოციალისტური რეალიზმის მემკვიდრეობა და, ერთი სიტყვით, ყველა ის მწერალი, რომელთა შემოქმედებაც ვერ გასცდა მათ კონტექსტს, თანადროული ეპოქის მიღმა აქტუალური და საინტერესო არ აღმოჩნდა.

რატომ დავფიქრდი ამ ყველაფერზე ახლა?

გამომცემლობა „მედუზამ“ ორი ისეთი წიგნი გამოსცა ბოლო დროს, უფრო მეორე კატეგორიას რომ განეკუთვნება. ეს კი იშვიათია – მეორე კატეგორიის წიგნებს მკითხველი ნაკლები ჰყავს და გამომცემლობებიც გარისკვას ერიდებიან ხოლმე.

მე, როგორც პატარა გამომცემლობების დიდმა გულშემატკივარმა და წიგნებისადმი გარდარეული სიყვარულის მქონემ, რა თქმა უნდა, ორივე შევიძინე. ესენია: ალექსანდრე აბაშელის „ქალი სარკეში“ და მოთხრობების კრებული „დროთა კავშირი“.

„ქალი სარკეში“ პირველი ქართული სამეცნიერო ფანტასტიკაა, დაწერილი 1930 წელს. კითხულობ და ეპოქას ხედავ, კითხულობ და იმ ეპოქის ენა გესმის – ბოროტი ტოტალიტარული სისტემის ყალბი ენა. კითხულობ და იგებ, რა ცოდნას ფლობდნენ მეოცე საუკუნის (გასული საუკუნის!) დასაწყისში ასტრონომიასა და ფიზიკაში. მართალია, მთავარი ინტრიგის გახსნის შემდეგ (რა თქმა უნდა, არ გეტყვით, რა ინტრიგაა) წიგნი ოდნავ მოსაწყენი ხდება, მაგრამ რამდენადმე ბუნდოვანი ფინალი საფიქრალს მაინც ტოვებს. თუ ლიტერატურის ისტორია გაინტერესებთ, „ქალი სარკეში“ აუცილებლად უნდა იშოვოთ. თუ მხოლოდ ეროტიკული სიყვარული გაქვთ ლიტერატურისადმი, მაშინ მეორე წიგნს გირჩევთ – მოთხრობების კრებულ „დროთა კავშირს“.

„დროთა კავშირი“ შვიდი ავტორის ექვს მოთხრობას აერთიანებს. ამ ავტორების სახელები და გვარები, გარდა ედიშერ ყიფიანისა, პირველად სწორედ კრებულიდან გავიგე. ეს – ერთი მიზეზი, რატომაც წიგნის შეძენა ღირს. მეორე – ის, რომ იდეურადაც მრავალფეროვანია: არის სასიყვარულო ხაზი, არის ხელოვნური ინტელექტისა და ეთიკის თემა, არის, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ფსევდომეცნიერული თეორიების გადათამაშებაც. აი, ამაზე კი ცოტა ვრცლად უნდა გითხრათ.

მოთხრობაში „სასჯელი მცდელობისთვის“ გალაქტიკათაშორის ბოროტმოქმედს ვეცნობით, რომლებიც პლანეტებიდან ხალხს იტაცებენ და სხვა პლანეტაზე ტყვედ ყიდიან. სულ ხუთნი არიან: იაჰვე, ამონი, ვედა, შამაში და ვაალი. დარწმუნებული ვარ, ჩამოთვლილთაგან, სულ ცოტა, სამი სახელი გეცნოთ. არც შემცდარხართ – ამ მოთხრობის სიუჟეტი აგებულია ე.წ. პალეოკონტაქტის თეორიაზე. ამ ფსევდომეცნიერული თეორიის თანახმად, ყველაფერი, რაც ძველმა ცივილიზაციებმა იცოდნენ, უცხოპლანეტელებმა ასწავლეს და მათი ღმერთებიც, რომლებიც ციდან ჩამოდიან და რომლებსაც ტაძრებს უგებენ, სინამდვილეში, უცხოპლანეტელები არიან. ტაძრები კი ერთგვარი ენერგეტიკული და ტექნოლოგიური ცენტრებია, რომლებიც ერთმანეთსა და კოსმოსს უკავშირდებოდა.

დროში მოგზაურობა კიდევ ერთი თემაა, რომელიც ორ მოთხრობაშია გაშლილი და აქედან ერთში, ედიშერ ყიფიანის მოთხრობაში, ვიტყოდი, რომ საინტერესოდ და უჩვეულოდაა გააზრებული.

და მაინც, ყველა ამ ტექსტში ჩანს ეპოქა და რეჟიმი, ჩანს იმ თემებში, რაც ძირითად თემასთან ერთად გაკრთება ან რაც ზოგჯერ სულაც მთავარი თემაა ხოლმე: ატომური კატასტროფა („მუტანტები“), ფაშიზმი („უკანასკნელი საქმე“), რელიგიის გამასხარავება („სასჯელი მცდელობისათვის“), ბოროტი კაპიტალიზმი („განაჩენი“). ამ ყველაფერს ემატება შეუსაბამოდ, ძალად გაპოეტურებული და გამეტაფორებული ენა, რომელიც ზოგ ადგილას ქართული ხალხური გამოთქმებითაა სავსე, რითაც ტექსტებს კომიკურ ელფერს სძენს – პერსონაჟები, უმეტესად, ქართველები არ არიან და არც მოქმედება ხდება საქართველოში. აი, მაგალითად:

მოთხრობაში „შავი უსასრულეთი“ ჩრდილოამერიკელ ინდიელ პერსონაჟზე ნათქვამია, რომ კოლეჯის დამთავრების შემდეგ იგი „მინეაპოლისის ასტრონავტიკის ინსტიტუტში ჩაირიცხა“. მინეაპოლისში ასტრონავტიკის შემსწავლელი უმაღლესი სასწავლებელი რომც ყოფილიყო, ცხადია, მას „კოლეჯი“ ან „უნივერსიტეტი“ ერქმეოდა და არა – „ინსტიტუტი“, როგორც საბჭოთა ქვეყნებში ერქვა უმაღლეს სასწავლებლებს.

აქვე დავაკვირდეთ, როგორ მეტყველებს ამავე მოთხრობის სხვა პერსონაჟი, ისიც – არაქართველი:

„არც დამცველი მუშაობს, არც რეაქტორები, აღარც „ჯონის“ გამოძახება შეგვიძლია! ბასტა, გათავდა ყველაფერი! რაღა მკვდარი და რაღა შინმოუსვლელი! გინდ მგელს შეუჭამიხარ და გინდ მგლისფერ ძაღლს! ბარემ ჩვენს წილადაც გამოჩენილიყო ერთი ხეირიანი ასტეროიდი და ის იქნებოდა...“.

„ბარემ ჩვენს წილადაც გამოჩენილიყო ერთი ხეირიანი ასტეროიდი“ – როგორ მოგწონთ?

აი, სხვა პლანეტების ბინადართა დიალოგიც მოთხრობიდან „სასჯელი მცდელობისათვის“:

„ექსპერტი: ვითომდა რატომაო? დიდი ხანია, რაც თქვენი წინაპრები ხეებიდან ჩამოვიდნენ და ადამიანებად იქცნენ? [...]

მთავარი მოსამართლე: როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო. რა მოძღვრებიც ჰყავდათ, მოწაფენიც ისეთივენი გახდნენ და მათ გზას გაჰყვნენ. [...]

დამცველი: ახლა იმასაც იტყვით, რომ დედამიწისთვის უმტკივნეულოდ ჩაიარა ოპერაციამ და აბორიგენებს არავითარი ზიანი არ მიაყენეთ! ისემც რა გითხრათ!“

წარმოიდგინეთ უცხოპლანეტელი, რომელიც ასე მეტყველებს: „ისემც რა გითხრათ!“

ასეთი ენობრივი უხერხულობებით სავსეა ყველა მოთხრობა. რატომ არის ეს პრობლემა? იმიტომ, რომ ტექსტის შინაარსიდან აშკარაა, ავტორების განზრახვა კომიკური ეფექტის მიღწევა როდია – პირიქით, ეს გამოთქმები სწორედ იმგვარ პასაჟებშია გამოყენებული, ემოციურ დაძაბულობას რომ უნდა გამოხატავდეს. როცა ეკიპაჟიდან გადარჩენილი მხოლოდ ორი კოსმონავტი კოსმოსში ყოველგვარი კავშირის გარეშე რჩება, ამაში საერთოდ არაფერია სასაცილო („შავი უსასრულეთი“). ყოველ შემთხვევაში, თავად მთხრობელი ცდილობს, დაგვაჯეროს, რომ როცა ეს ხდება, შტურმანი გაფითრებულია, პერსონაჟი კი, რომელიც ამბობს, აღარც დამცველი მუშაობს, აღარც რეაქტორებიო, – გაცეცხლებული. არადა, მისი სიტყვები ბრაზის გადმოცემის ნაცვლად სიცილს იწვევს. პლანეტათაშორის ბოროტმოქმედთა გასამართლებაც, წესით, დაძაბული და დამაინტრიგებელი პროცესი უნდა იყოს და არა – კომიკური („სასჯელი მცდელობისათვის“). ავტორს განუზრახავს ამ დაძაბულობის შექმნა – ეს აშკარაა ბოროტმოქმედების თავხედური შეპასუხებით, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მაინც მხოლოდ სასაცილოა.

ასეთი მარგალიტები ალექსანდრე აბაშელის რომანშიც ბევრი მოიძებნება, ოღონდ იქ ამას კონტექსტისთვის შეუფერებელი პოეტურობის სახე აქვს და ქართული მოდერნიზმის სინტაქსის თავისებურებები დაჰყვება:

„ვიდრე სასახლეს მიაღწევდა, მან უკვე სავსებით დაიურვა უცბად ასხლეტილი გრძნობიერება, რომელიც გახედნილი რაშივით ლაგამ-ამოდებული ბორგავდა მუდამ კამარელის არსებაში, მეცნიერული სიდინჯით დათასმული.

სასახლის კიბის საფეხურზე ისე მარდად შეხტა, თითქო გაქანებული უზანგში ფეხი მოიმაგრაო“.

ან ეს – იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ დაიწეროს: „მდივანმა სავიზიტო ბარათი მაგიდაზე დაუდო“, წერია: „შემოდის შიკრიკი და კამარელს წინ დაუდებს სადარბაზო ბარათს“.

მაგრამ, სწორედ ამ სასაცილო ხარვეზების გამო, ორმაგად მიყვარს ეს ორივე წიგნი – რაც უნდა იყოს, ეს მაინც ლიტერატურის ისტორიაა, ჩ ე მ ი ლიტერატურის ისტორია. ამასთან, ბევრ სხვა კითხვასაც აღძრავს: ამ ტექსტებში მოყვანილი მეცნიერული ფაქტები მართლაც დასაბუთებულია მეცნიერულად? თუ კი, საიდან იცოდნენ მათ შესახებ ავტორებმა, რა იყო მათი წყაროები? როგორ შეგვიძლია ამ ტექსტების წაკითხვა პოსტკოლონიური თეორიის ჭრილში? რა მიმართებაა ჟანრსა და პოლიტიკურ რეჟიმს შორის?

ასე ხდება, როცა ლიტერატურის სიყვარული ეროტიკულთან ერთად ინტელექტუალურიცაა. და თქვენი სიყვარული ლიტერატურისადმი როგორია?

როგორ ვირჩევთ სამსახურს?

ქრისტინე სურგულაძე

მასწავლებლები და, მათთან ერთად, მთელი განათლების სისტემა ხშირად, და რასაკვირველია, სამართლიანადაც, იმაზეა კონცენტრირებული, რომ მოსწავლეებს, რაც შეიძლება მშვიდი, საინტერესო და ბედნიერი სასკოლო ცხოვრება ჰქონდეთ. ამისთვის ყველაზე მეტად სწორედ მასწავლებლები იხარჯებიან. ჩვენ ბევრს ვსწავლობთ, როგორ ვასწავლოთ, როგორ გავხდეთ უკეთესი პროფესიონალები, რათა მოსწავლეები შთავაგონოთ, რათა ასათვისებელი მასალა ისე გადავცეთ, რომ სწავლა სიამოვნებად და თავგადასავლად ვაქციოთ. ვსწავლობთ ჩვენი მოსწავლეების ინტერესებს, ჰობებს, გრძნობებს, ემოციებს, რათა მათთან ურთიერთობისას არაფერი გამოგვრჩეს, არაფერი შეგვეშალოს, რადგან ვიაზრებთ, რამდენად ფაქიზია სკოლის ნებისმიერ ეტაპზე მათი ასაკი და პიროვნება.

ეს ყველაფერი, უდიდეს შრომასა და უამრავ გამოწვევასთან ერთად, სასიამოვნოდ საინტერესოცაა. თუმცა ჩვენს ცხოვრებაშიც დგება მომენტები, როდესაც გვჭირდება, ვინმემ ჩვენი გაწეული შრომა დაინახოს და სწორად შეაფასოს. მასწავლებლისთვის პირველი შემფასებლები მუდამ მოსწავლეები არიან. სწორედ მათი დახატული სურათები, დაწერილი წერილები, განდობილი საიდუმლოებები და გამოჩენილი ნდობა ასახავს იმას, თუ როგორები ვართ. მაგრამ ზოგჯერ ჰაერივით გვჭირდება, ირგვლივმყოფებმა ჩვენი შრომა შენიშნონ, აღნიშნონ და დააფასონ.

მასწავლებლის სამუშაო მეტწილად ენთუზიაზმით კეთდება. თუ ბევრ ისტორიას მოისმენთ, ძველსაც და ახალსაც, ამაში უფრო მეტად დარწმუნდებით. ხშირად, როდესაც მშობელი კითხვას სვამს, რომელ სკოლაში შეიყვანოს ან გადაიყვანოს შვილი, სხვა მშობლები ურჩევენ, რომ სკოლა კი არა, კარგი მასწავლებელი ეძებოს. ასე გაჟღერდება ხოლმე სხვადასხვა მასწავლებლის სახელი, რომლებიც სხვადასხვა სკოლაში ასწავლიან. მე კი სულ ვფიქრობ, რამდენად ამაყი უნდა იყოს სკოლის ადმინისტრაცია, როცა ისეთი მასწავლებელი ჰყავს, რომლის გამოც შეიძლება მშობლებმა შვილისთვის სწორედ მათი სკოლა აირჩიონ. სიმართლე კი ისაა, რომ ხშირად ასეთი მასწავლებლები წლიდან წლამდე ერთხელაც კი ვერ ისმენენ იმ მარტივ და ჯადოსნურ სიტყვას, მადლობა რომ ჰქვია. შედეგად, ზოგს როცა იქნება, საწვავივით ამოწურვადი ენთუზიაზმი გამოელევა და ან სკოლას შეიცვლის, ან სულაც პროფესიას. ზოგი კი უფრო დიდხანს აგრძელებს, მოსწავლეების, კოლეგა მასწავლებლების, მშობლებისა და საკუთარი თავის წყალობით, თუმცა ხშირი გულისწყვეტის, იმედგაცრუებისა და დაუფასებლობის განცდის ფონზე.

მასწავლებლებს ისევე ესაჭიროებათ წახალისება, როგორც მოსწავლეებს. ხშირად თქმულა პროფესიის, კოლეგის, გარემოს მნიშვნელობაზე. ეს ის ფაქტორებია, რომელთა მეშვეობითაც მასწავლებელი გაცემულ ენერგიას უკან იბრუნებს, რათა გაიორმაგოს და კიდევ გასცეს. ყველა წერილი, რომელიც მასწავლებლის ფოსტაში შევა; ყველა მადლობა, რომელსაც ადმინისტრაციისგან მოისმენს; ყველა სიტყვა, რომლითაც ირწმუნებს, რომ სკოლას მისი სჯერა და მადლიერია მისი მათთან მუშაობით, მასწავლებელს უფრო დიდ მწვერვალებს დააპყრობინებს, სადაც მერე თავის მოსწავლეებსაც აიყვანს. თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად მასწავლებელს სკოლისგან მსგავსი არაფერი ესმის, მაშინაც კი, როცა მშობლები სწორედ მის გამო ირჩევენ ბავშვის ამ სკოლაში შეყვანას.

ჩვენ ბევრს ვსწავლობთ, როგორ ვასწავლოთ, როგორ გავხდეთ უკეთესი პროფესიონალები, რათა მოსწავლეები შთავაგონოთ, რათა ასათვისებელი მასალა ისე გადავცეთ, რომ სწავლა სიამოვნებად და თავგადასავლად ვაქციოთ. ვსწავლობთ ჩვენი მოსწავლეების ინტერესებს, ჰობებს, გრძნობებს, ემოციებს, რათა მათთან ურთიერთობისას არაფერი გამოგვრჩეს, არაფერი შეგვეშალოს, რადგან ვიაზრებთ, რამდენად ფაქიზია სკოლის ნებისმიერ ეტაპზე მათი ასაკი და პიროვნება.

მასწავლებლისთვის პირველი შემფასებლები მუდამ მოსწავლეები არიან. სწორედ მათი დახატული სურათები, დაწერილი წერილები, განდობილი საიდუმლოებები და გამოჩენილი ნდობა ასახავს იმას, თუ როგორები ვართ. მაგრამ ზოგჯერ ჰაერივით გვჭირდება, ირგვლივმყოფებმა ჩვენი შრომა შენიშნონ, აღნიშნონ და დააფასონ.

ხშირად, როდესაც გასაუბრებაზე მივდივართ, ნერვიულობა გვიპყრობს; გამუდმებით ვფიქრობთ, რა შეკითხვა შეიძლება დაგვისვან, მოვეწონებით თუ არა, კარგად არის ჩვენი პორტფოლიო შედგენილი თუ რამე აკლია და ა.შ. სინამდვილეში პირიქით უნდა იყოს, ჩვენ უნდა ვიყოთ ის, ვინც კითხვებს დასვამს, რადგან თუ მასწავლებელი გასაუბრებაზე მიდის, სურს, რომ ამ სკოლაში დაიწყოს მუშაობა. თან მიაქვს

თავისი ცოდნა, გამოცდილება, ენთუზიაზმი. აპირებს, რომ თავისი ძვირფასი დრო და ენერგია, ხშირად იმაზე მეტიც, ვიდრე საჭიროა, მთლიანად ჩადოს საქმეში, აკეთოს არნახული საქმეები, ყველაფერი ისე წარმართოს, რომ მისი სახელის გამო ხშირად ისმოდეს სკოლის სახელი. რას სთავაზობს ასეთ მასწავლებელს სკოლა? რით წარმოაჩენს სკოლას ადმინისტრაცია? როგორ დაარწმუნებს ასეთ მასწავლებელს, რომ სჯობს, არჩევანი ამ სკოლაზე შეაჩეროს?

მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს, თუმცა ადმინისტრაციები ხშირად ამ მედალს მხოლოდ იმ მხრიდან ხედავენ, რომელიც მათკენაა. ჩვენც ასე მივეჩვიეთ. „ეს ასეც უნდა იყოს“, – ამბობენ ხშირად, მაგრამ ასე არაა, ეს ასე სულაც არ უნდა იყოს. სკოლა გამუდმებით უნდა ზრუნავდეს მასწავლებელზე, რათა ენთუზიაზმის მარაგი ახლდებოდეს და არა პირიქით, ილეოდეს.

ცოტა ხნის წინ ორი სკოლიდან მივიღე შეთავაზება. ორივე სკოლა უცნაური დამთხვევებით გადაიკვეთა. გასაუბრებაც ერთსა და იმავე დღეს ჩამინიშნეს და საბოლოო პასუხიც ერთსა და იმავე დღეს შემატყობინეს. ერთმა სკოლამ საბოლოო წერილში მხოლოდ მუშაობის დაწყების სავარაუდო დრო, ანაზღაურება

და სამუშაო საათები მიუთითა, მეორე სკოლისგან კი გრძელი წერილი მომივიდა, დეტალური უკუკავშირით ჩემს გასაუბრებასა და საჩვენებელ გაკვეთილთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრება აკადემიურ დირექტორებთან მქონდა, წერილს კი კადრების მენეჯერი მწერდა (რომელიც თვალით არ მინახავს), ჩანდა, რომ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ჩემი კანდიდატურა და ჩემი „მოთხოვნებიც“ კარგად განიხილეს და პასუხიც ისე დამიბრუნეს. „მოთხოვნები“ კი მარტივი მქონდა: მე მთელი ჩემი დრო, ფიზიკური, ემოციური

და გონებრივი რესურსი უნდა ჩამედო საქმეში, რომელსაც სკოლისთვის შევასრულებდი, სანაცვლოდ კი დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ სტაბილურები იქნებოდნენ; სამართლიანად შეაფასებდნენ და დააფასებდნენ ჩემს შრომას, მომცემდნენ საშუალებას, პროფესიულად განვვითარებულიყავი და მათგან იმაზე უკეთესი წავსულიყავი, ვიდრე მოსვლამდე ვიყავი. ვფიქრობ, ყველაფერი, რაც ვითხოვე, საბაზისო და იმდენად ელემენტარულია, რომ ხმამაღლა აღნიშვნაც კი არ იყო საჭირო. მესამე დღეს ოფიციალური, დაწვრილებითი, მადლიერებით სავსე წერილი მივიღე, რომელიც ყველაფერს კარგს მპირდებოდა. მრავალჯერ გადაკითხვის შემდეგ მივხვდი, რა გვაკლია ყველაზე მეტად: „მადლიერი იყავი, რომ გასაქმებ!“ მიდგომა უნდა შეიცვალოს „მადლიერები ვართ, რომ გვაქვს პატივი, ჩვენთან დაგასაქმოთ!“ მიდგომით. ეს არის ერთადერთი გზა, მასწავლებლები გადაწვისგან ვიხსნათ, რადგან ხშირი გადაწვის შემთხვევაში, ყველაფერი დადებითიც კი, რაც სკოლის ადმინისტრაციის მიღმა ხდება, ვეღარ ახერხებს მასწავლებლის, როგორც კადრის შენარჩუნებას.

მუდმივი დიალოგი, უწყვეტი უკუკავშირი, გაწეული შრომის დაფასება – ეს ყველაფერია, რასაც მასწავლებლები მოსწავლეებისთვის ყოველდღიურად აკეთებენ. ეს ყველაფერია, რაც სკოლის ადმინისტრაციამ მასწავლებლებისთვის აუცილებლად უნდა გააკეთოს.

ამგვარად, ალბათ, რთული მისახვედრი არ იქნება, რომელ სკოლასთან თანამშრომლობა ავირჩიე საბოლოოდ.

თინათინ ზარდიაშვილი

მაგალითზე დაფუძნებული სწავლებისთვის

მოსწავლეთა უმრავლესობას ინდუქციური აზროვნება აქვს, უფრო ნაკლებს კი – დედუქციური, რაც იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობა დასკვნას ადვილად აკეთებს ხელმისაწვდომ მტკიცებულებებსა და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. დედუქციური აზროვნების მოსწავლეები კი ლოგიკურ დასკვნას ორი ან მეტი არგუმენტიდან აკეთებენ. დედუქციური აზროვნება ლოგიკური წესების სწორად გამოყენებას გულისხმობს. მაგალითებზე, ანუ კონკრეტულ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება შეიძლება სამართლის, მედიცინის და ნებისმიერ სკოლაში, სადაც მასწავლებელს უნდა, მოსწავლეებმა ნასწავლი რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ. შემთხვევები მრავალფეროვანია, მაგალითად, „რას გააკეთებდი კონკრეტულ სიტუაციაში?“ კითხვას ახლავს დეტალური აღწერა სიტუაციისა, მონაცემები გაანალიზებისთვის და სხვა დამხმარე მასალა. შემთხვევის განხილვის შემდეგ მოსწავლეს უწევს პასუხის გაცემა ღია კითხვაზე, ზოგჯერ ერთაბზაციან დასკვნას წერენ, ზოგჯერ – პრობლემის ანალიზს, სამოქმედო გეგმაც კი დავალების პროდუქტია.

მნიშვნელოვანია შემდეგ კითხვებზე პასუხი:

- რაშია საქმე?
- რა არის ანალიზის მიზანი?
- რა არის სიტუაციის კონტექსტი?
- რა ძირითადი ფაქტები უნდა იქნას გათვალისწინებული?
- რა ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღებაა შესაძლებელი?
- რას ურჩევდით მაგალითის გმირს? რატომ?
- როგორ დაუსაბუთებდით რჩევის სისწორეს?

შემთხვევის, ანუ კონკრეტული სიტუაციის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ან სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებთან სამუშაოდ გამოდგება, აღწერს ახალბედა დედის, ნინას მდგომარეობას, რომელიც შეშფოთებულია შვილის ჯანმრთელობით, მის ჭირვეულობას საფენს აბრალებს, მაგრამ აღმოჩნდება რომ პრობლემა ანატომიური წარმოშობისაა. დავალება ადაპტირებულია ქართული სკოლებისთვის, მოიცავს სამუშაო ფურცლებს, საპრეზენტაციო მასალას, დავალებებს როგორც ფურცელზე, ასევე ონლაინ სამუშაოდ.

აქტივობა 1: სიტუაციის გაცნობა (გააცანით მოსწავლეებს მხოლოდ პირველი ნაწილი, სთხოვეთ, უპასუხონ ბოლოს დასმულ შეკითხვებს).

მაგალითი: **საფენის პრობლემა**

მაგალითებზე, ანუ კონკრეტულ შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება შეიძლება სამართლის, მედიცინის და ნებისმიერ სკოლაში, სადაც მასწავლებელს უნდა, მოსწავლეებმა ნასწავლი რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ. შემთხვევები მრავალფეროვანია, მაგალითად, „რას გააკეთებდი კონკრეტულ სიტუაციაში?“ კითხვას ახლავს დეტალური აღწერა სიტუაციისა, მონაცემები გაანალიზებისთვის და სხვა დამხმარე მასალა.

ნაწილი I – ეს ნორმალურია?

ნინა და დავითი დიდი სიხარულით შეხვდნენ გოგოს დაბადებას. პატარა მარინა ჯანმრთელი ბავშვი იყო, წონაც ასაკის შესაბამისი ჰქონდა. ნინა ახალბედა დედა იყო, ძალიან ნერვიულობდა ყველაფერზე. ბევრი წაიკითხა ბავშვის დაბადებამდე. იცოდა, რომ ღამე ხშირად გაღვიძება მოუწევდა და მზად იყო ამისთვის. მიმართა სერვისს, რომელიც ბამბის ქსოვილის საფენებით მოამარაგებდა. იცოდა, რომ ქსოვილი უფრო კარგია, ვიდრე ერთჯერადი საფენი.

სახლში გატარებული ექვსი კვირის შემდეგ მარინა ისე ბედნიერად აღარ გრძნობდა თავს, როგორც სამშობიაროდან გამოყვანისას. ბავშვი სულ ჭირვეულობდა და სიცხეც ხშირად ჰქონდა. ნინა ისევ ქსოვილის საფენს იყენებდა, თუმცა მარინას გენიტალიების ირგვლივ წითელი ლაქები გაუჩნდა.

ნინას პედიატრმა ურჩია, გამოეყენებინა ერთჯერადი საფენები და საფენქვეშა კრემი, რადგან გამონაყარი სველი იყო; სიცხის დროს კი – დამწევი. ნინამ გადაიკითხა ლიტერატურა ბავშვის მოვლის შესახებ და ფიქრობდა, რომ ეს გამონაყარი არ ჰგავდა საფენით გამოწვეულს. კრემისა და ერთჯერადი საფენების გამოყენების დაწყებიდან ერთ კვირაში წითელი ლაქები უფრო გამუქდა. ამიტომ ჩვილი ექიმთან ჩაწერა.

ექიმმა გასინჯა მარინა და ჩათვალა, რომ გამონაყარი საფენებით იყო გამოწვეული. ნინას ურჩია, საფენი აღარ შეეცვალა, გაეგრძელებინა საფენქვეშა კრემი და სიცხის დამწევი საჭიროებისამებრ. ისიც უთხრა, რომ მენტალური ჯანმრთელობის სპეციალისტისთვის მიემართა, რადგან ზედმეტად შფოთავდა შვილის მდგომარეობაზე.

ნინა გაბრაზებული გამოვიდა ექიმის კაბინეტიდან, მიაჩნდა, რომ ექიმი მას ადანაშაულებდა გამონაყარის გამო და სერიოზულად არ აღიქვამდა მის პრობლემას. გრძნობდა, რომ რაღაც კარგად ვერ იყო მისი შვილის ჯანმრთელობაში. ნინას დედამ შესთავაზა, ბავშვი რამდენიმე დღე საფენების გარეშე ჰყოლოდა. როცა საფენები არ არსებობდა, ბავშვებს ხომ ასე ზრდიდნენ. თუმცა ნინა მაინც მკაცრად იცავდა ყველაფერს, რაც ექიმმა ურჩია. გამონაყარმა იკლო, თუმცა მან შეამჩნია, რომ შარდს არასასიამოვნო სუნი ჰქონდა. ჩვილი დაუსრულებლად ტიროდა და არ ჭამდა. ნინა მიიჩნევდა, რომ უფრო კომპეტენტური ადამიანის რჩევა სჭირდებოდა. ბოლოს მოძებნა ურولოგ-პედიატრი და მასთან კონსულტაციაზე ჩაეწერა.

შემთხვევები მრავალფეროვანია, მაგალითად, „რას გააკეთებდი კონკრეტულ სიტუაციაში?“ კითხვას ახლავს დეტალური აღწერა სიტუაციისა, მონაცემები გაანალიზებისთვის და სხვა დამხმარე მასალა. შემთხვევის განხილვის შემდეგ მოსწავლეს უწევს პასუხის გაცემა ღია კითხვაზე, ზოგჯერ ერთაბზაციან დასკვნას წერენ, ზოგჯერ – პრობლემის ანალიზს, სამოქმედო გეგმაც კი დავალების პროდუქტია.

კითხვები

1. *რა სიმპტომები აღენიშნებოდა მარინას?*
2. *როგორ ცდილობდა ნინა მარინას სიმპტომების მკურნალობას?*
3. *მარინას პრობლემა მართლა საფენით იყო გამოწვეული? რატომ თვლი ასე?*
4. *რატომ დატოვა ნინამ ექიმის კაბინეტი გაბრაზებულმა?*
5. *ვინ არის ურولოგ-პედიატრი?*

აქტივობა 2: საპრეზენტაციო მასალის გაცნობა

საპრეზენტაციო მასალა

საპრეზენტაციო მასალა შეეხება ადამიანის საშარდე გზებსა და ზოგადად შარდ-გამომყოფ ორგანოებს.

აქტივობა 3: დავალებებზე მუშაობა (შესაძლებელია ჩამოთვლილი დავალებების ცალ-ცალკე აქტივობების დროს შესრულება)

ა) დავალება მთელ კლასთან სამუშაოდ **დავალებები pptx –**

ბ) დავალება ინდივიდუალური მუშაობისთვის **გააფერადე ნეფრონი**

გ) დავალება ინდივიდუალური მუშაობისთვის **თირკმლის სტრუქტურები**

დ) დავალება ინდივიდუალური მუშაობისთვის **გააფერადე თირკმელი**

ე) დავალება ინდივიდუალური ან წყვილებში მუშაობისთვის **ასოების მესერი** – გამომყოფი ორგანოები

ვ) ვიდეოს ანალიზი – **სამუშაო ფურცელი N1**

აქტივობა 4: შემთხვევის მეორე ნაწილის განხილვა – მოსწავლეები გაეცნობიან შარდის ანალიზის მნიშვნელობას, როგორც მრავალი დაავადების დიაგნოსტირების საშუალებას.

ნაწილი II – დიაგნოზის დასმა

ახალი ექიმის კაბინეტში ექთანმა გაზომა და აწონა მარინა. გაუზომა ტემპერატურა და კიდევ ერთხელ ჩამოათვლევინა ნინას ჩვილის სიმპტომები. ამის შემდეგ შემოვიდა ექიმი ბავშვის მდგომარეობის შესაფასებლად. მოითხოვა შარდის ნიმუში ანალიზისთვის, რომლის

შეგროვებაც ჭურჭელში რთული იქნებოდა პედიატრის პაციენტისთვის. ნინას აუხსნა, როგორ შეიძლება, მიიღონ შარდის ნიმუში. ჩვილებში შარდის ნიმუშის შეგროვების სხვადასხვა ტექნიკა არსებობს. ერთ-ერთი ტექნიკის შემთხვევაში კონტეინერი მზად უნდა ჰქონდეს უფროსს – როგორც კი ჩვილი დაიწყებს მოშარდვას, შეაგროვებს. მოშარდვის დაჩქარება მუცელზე ცივი ბამბის ქსოვილის წასმით შეიძლება.

გასუფთავება

ცივი ტამპონით დაზელვა

შარდის შეგროვება

შარდის შეგროვება ასევე შეიძლება კათეტერით. პროცედურის დროს კათეტერი შეჰყავთ შარდსადენით შარდის ბუშტში. ამ მეთოდს მიმართავენ, როცა ნიმუში დაუყოვნებლივ სჭირდებათ. უარყოფითი მხარე ისაა, რომ ჩვილისთვის გარკვეული დისკომფორტია. ნინამ გადაწყვიტა, კათეტერით აეღოთ შარდი, რათა პასუხი დაუყოვნებლივ მიეღოთ. ჩვილი მშვიდად იყო პროცედურის გამავლობაში, დედა კი ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ დიაგნოზის სწრაფი დასმა მნიშვნელოვანი იყო.

6. რა უპირატესობა და ნაკლი აქვს შარდის ნიმუშის მოშარდვის დროს აღებას?
7. რა უპირატესობა და ნაკლი აქვს შარდის ნიმუშის კათეტერით აღებას?
8. არსებობს შარდის ნიმუშის შეგროვების რამდენიმე სხვა ტექნიკაც. შესთავაზე სხვა გზა, იფიქრე როგორც ინჟინერმა, ჩათვალე, რომ მცდარი პასუხი არ არსებობს.

აქტივობა – ვიდეოს ანალიზი

აქტივობა 5: კვლევის ჩატარება – სიმულაციური შარდის ანალიზი **სამუშაო ფურცელი N2**

აქტივობა 6: შემთხვევის მესამე ნაწილის გაცნობა. დიაგნოზის დასმის სხვა საშუალებები

ნაწილი III – შემდგომი კვლევები

მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ მარინას საშარდე გზების ინფექცია აქვს, ექიმმა ანტიბიოტიკები დაუნიშნა. დაუწერა ანტიბიოტიკების მიღების წესი მომდევნო კვირისთვის. პარალელურად სხვა გამოკვლევები დაუნიშნა, რომ გაეგოთ, საიდან მოდიოდა ინფექცია.

ექიმმა გადაწყვიტა, გაეკეთებინათ ჩვილისთვის საშარდე გზების ტომოგრაფია. ამ დროს იოდიანი კონტრასტი შეჰყავთ ვენაში. წინა წლებში იყენებდნენ ინტრავენურ პიელოგრამას, რომელსაც ძალიან ბევრი რისკფაქტორი ახლავს. ამიტომ ჩაანაცვლეს ახალი ტექნიკით. კონტრასტის მეშვეობით ორგანოები კარგად ფიქსირდება, მის გარეშე ისინი შეუმჩნეველი იქნებოდა.

ჯანმრთელი

მარინა

9. *რატომ არის კონტრასტი საჭირო მანიპულაციის დროს?*

10. *რა ცვლილება აღმოაჩინე ჩვილის საშარდე გზებში?*

ნაწილი IV – მკურნალობის გზები

კვირის ბოლოს ყველა გამოკვლევის პასუხი მზად იყო, ოჯახი კიდევ ერთხელ მივიდა ექიმთან კონსულტაციაზე. ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ მარცხენა თირკმელში მარინას აქვს გამომყოფი სისტემის ბილატერალური დუბლიკაცია. ასევე უწოდებენ გარე შარდსაწვეთს. ზოგჯერ დამატებითი შარდსაწვეთი არ ქმნის პრობლემებს, სხვა შემთხვევებში შარდის გამოყოფა არ ხდება სრულყოფილად და ადვილად ვითარდება საშარდე გზების ინფექციები. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ქირურგიული ჩარევით, პროცედურით, რომელსაც ჰქვია ნეფრექტომია.

ექიმმა ასევე აღნიშნა, რომ მოხდება თირკმლის იმ ნაწილის მოკვეთა, საიდანაც დამატებითი შარდსაწვეთი გამოდის. ეს შეაჩერებს შარდის გადასვლას და ინფექციების შანსს. თირკმლის დანარჩენი ნაწილი ჩვეულებრივ გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ნინას არ უნდოდა ასეთი პატარისთვის ქირურგიული ოპერაციის ჩატარება და ექიმს ჰკითხა, არსებობდა თუ არა სხვა მეთოდი ამ პრობლემის მოგვარებისთვის. მკურნალობის დაწყება შეიძლება პროფილაქტიკური ანტიბიოტიკებით, ამ გზით შევაჩერებთ სამომავლო ინფექციებს. ეს იქნება ანტიბიოტიკი, რომელსაც ყოველდღიურად მიიღებს. ხშირად, როცა ბავშვი იზრდება, თირკმელებიც იზრდება და პრობლემა ავტომატურად გვარდება.



11. *რა არის ექტოპიური შარდსაწვეთი? რა პრობლემას ქმნის?*
12. *რა განსხვავებაა გარკვეული ინფექციის წინააღმდეგ გამოყენებულსა და საპროფილაქტიკო ანტიბიოტიკებს შორის?*
13. *რა არის ნეფრექტომია?*
14. *რას აირჩევდი ნინას ადგილზე რომ ყოფილიყავი, მედიკამენტურ მკურნალობას თუ ქირურგიულ ჩარევას? დაასაბუთე პასუხი.*

აქტივობა 7: შემთხვევის დასკვნის პრეზენტაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://sites.psu.edu/pedagogicalpractices/case–studies/
2. https://sites.psu.edu/pedagogicalpractices/case–studies/#howto

წავუკითხოთ ერთმანეთს



ლელა კოტორაშვილი

ჩემს მასწავლებლურ გამოცდილებაზე დაკვირვებით, კითხვის სწავლა უფრო და უფრო უჭირთ ბავშვებს. ბევრს ვფიქრობ, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ თანამედროვე სამყაროს ამ ურთულეს გამოწვევას. ახლა ბავშვებს ისე სჭირდებათ უფროსების დახმარება, როგორც არასდროს. ბრაზი იმის გამო, რომ ვერ ან არ კითხულობენ ბავშვები, მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეგვიშლის. სწორედ ამიტომ, მშობლებმა, მასწავლებლებმა, ბავშვების აღზრდით დაინტერესებულმა ადამიანებმა ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ, მოთმინებით აღვიჭურვოთ და ბავშვებს როგორმე კითხვა უნდა შევაყვაროთ.

გადავწყვიტე, გიამბოთ, თუ როგორ შეიძლება, კითხვა გადავაქციოთ დღესასწაულად და დაუვიწყარ თავგადასავლად.

მეთოდი სახელად **„წავუკითხოთ ერთმანეთს“** მე და ჩემმა 11 წლის შვილმა გამოვიგონეთ. ამ მეთოდამდე მოსასვლელად რამდენიმე წელი დაგვჭირდა. ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა გაბრიელი სკოლაში არ დადიოდა. მაშინ მომაფიქრდა, რომ ჩემი შვილებისთვის ხმამაღლა წამეკითხა ისეთი წიგნი, რომელიც თავადაც არ მქონდა წაკითხული. რობერტ ლუის სტივენსონის „განძის კუნძულით“ დავიწყეთ. სათავგადასავალო ჟანრმა, მეკობრეებმა, განძის ძიებამ, გემებმა პატარა ბიჭის ცნობისმოყვარეობას ცეცხლი შეუნთო. იმდენად დიდი სიამოვნება მოგვანიჭა ხმამაღლა წაკითხულმა წიგნმა, „განძის კუნძულის“ დასრულებისთანავე ჯ.რ.რ. ტოლკინის „ჰობიტი“ შევარჩიეთ. ზღვიდან ჰობიტების, ჯუჯეების, ელფების სამყაროში გადაბარგება სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა. ამჯერადაც დაუვიწყარი შთაბეჭდილებები ვაჩუქეთ ერთმანეთს. მაშინ მხოლოდ მე ვუკითხავდი 6-9 წლის ბავშვებს. შემდეგ ჟიულ ვერნის „კაპიტან გრანტის შვილების“ კითხვას შევუდექით, მაგრამ ერთ თავს ვერ გავცდით. რამდენიმე წელი მივიწყეთ სქელტანიანი წიგნების ერთობლივი კითხვა. გაბრიელი დროდადრო მთხოვდა, ისევ შემერჩია რომელიმე წიგნი და ხმამაღლა წაგვეკითხა, თუმცა რამდენიმე მიზეზის გამო თავი ვერ მოვაბი: გაბრიელის ქართულის მასწავლებლობა მხვდა წილად და მთელი ძალისხმევა დამოუკიდებლად წიგნის კითხვის ჩვევის ჩამოყალიბებისკენ მივმართე, კლასში გამუდმებით ვუკითხავდი ბავშვებს მხატვრულ ლიტერატურას, ე.წ. კლასის საკითხავ წიგნს, იმ პერიოდში თავადაც დაიწყო კითხვა და, ამასთანავე, ხმამაღალი კითხვის ერთგულებიც ვრჩებოდით – გამუდმებით ვუკითხავდით ერთმანეთს ქართულ ხალხურ ზღაპრებს. ამ ზაფხულს კი გაბრიელის თხოვნამ დამაფიქრა და ისევ გაგვიჩნდა სურვილი სქელტანიანი წიგნის ხმამაღლა წაკითხვისა. ამგვარი ხანგრძლივი გზა გამოვიარეთ და ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტამდე“ მოვედით.

წიგნის შერჩევა

წიგნის სწორად შერჩევა პირველი და უმთავრესი ნაბიჯია. ჩემი არჩევანის მიღმა ულამაზესი ამბავი იმალება. ათი წლის წინ სოფელ უწერის სკოლაში მუშაობისას პირველი ხელფასის ასაღებად კოლეგებს ქალაქ ონში გავყევი. შემოდგომა იდგა. მთებზე ჩამოეთოვა. სკოლის წითელ ავტობუსში ვიჯექი და ყველაფერი მაკვირვებდა: რაჭული დიალექტი, ულამაზესი სიტყვები, ყურმოკრული დიალოგები, განსხვავებული ყოფიერება, ურთიერთობები.

ჩემს მასწავლებლურ გამოცდილებაზე დაკვირვებით, კითხვის სწავლა უფრო და უფრო უჭირთ ბავშვებს. ბევრს ვფიქრობ, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ თანამედროვე სამყაროს ამ ურთულეს გამოწვევას. ახლა ბავშვებს ისე სჭირდებათ უფროსების დახმარება, როგორც არასდროს. ბრაზი იმის გამო, რომ ვერ ან არ კითხულობენ ბავშვები, მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეგვიშლის.

მასწავლებლები მაღაზიებში გაიფანტნენ, იმარაგებდნენ ფქვილს, ყავას, ზეთს... ეძებდნენ ქილების ხუფებსა თუ რეზინის ჩექმებს. პატარა ქალაქში შუშებიანი ჯიხური შევნიშნე. გაზეთებს ყიდდნენ. მაშინ გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად იყიდებოდა წიგნები სერიიდან „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“. რიგით 33-ე წიგნი ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტი“ იყო. გაზეთების ჯიხური აღმოჩნდა პორტალი ჩემი მასწავლებლური თავგადასავლისა და ამ ჯადოსნური სამყაროს პირველი კარი „ოლივერ ტვისტმა“ გამიღო.

დეკემბრის მიწურულს მე და ჩემმა მოსწავლეებმა უწერის სკოლაში პირველი ლიტერატურული კაფე გავმართეთ. წიგნის წარდგენის ფორმად საინფორმაციო პლაკატი შევარჩიეთ. იმ დღეს სკოლის პატარა სააქტო დარბაზმა უამრავი ადამიანი დაგვიტია. ოთახი შეშის ღუმლით გავათბეთ, ღუმელში დარიჩინიანი ვაშლი შევწვით, კაკაო და გლინტვაინი მოვადუღეთ და წაკითხულ წიგნებზე ვისაუბრეთ. ყველა ვღელავდით. გამოუცდელები, მაგრამ გაბედულები და ერთად ყოფნის ბედნიერებით სავსეები ვიყავით. მე „ოლივერ ტვისტი“ წარვადგინე. გაბრიელი მაშინ 2 წლის ხდებოდა და შინ დავტოვე.

ჩემ შემდეგ ოლივერ ტვისტი მეექვსეკლასელმა მარიამმა და თამარმა წაიკითხეს და ერთად წაკითხულმა წიგნმა თანამოაზრეებად გვაქცია, დავიჯერეთ, რომ ყველა დაბრკოლებას ოლივერის მსგავსად გადავლახავდით და კეთილი ადამიანების თანადგომა ჩვენც არ მოგვაკლდებოდა. მართლაც ასე მოხდა. ორი წლის შემდეგ ლონდონიდან მასწავლებელი გვესტუმრა. ლელამ დაუვიწყარი საჩუქრები გვაჩუქა: ლონდონის მუზეუმის ნახატების მიხედვით შექმნილი სამაგიდო თამაში, „ჯიპრაიდის“ საკითხავი წიგნები, ვან გოგის ნახატებიანი კალენდარი და ბოლოს ყუთიდან ილუსტრირებულყდიანი წიგნი რომ ამოიღო, მე და ჩემი მოსწავლეები ავყვირდით. ლელა გაოცებული გვიყურებდა, ვერ გაეგო, რა გვიხაროდა. ლონდონიდან კი ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტს“ უფრენია, უვლია და უწერის სკოლამდე ჩამოსულა. ჩვენ მყისვე ვიცანით ყდაზე დატანილი ილუსტრირებული ეპიზოდი – ოლივერი ხის ჯამით ხელში შრომის სახლის თანამშრომლებთან იდგა, გამხდარი, ობოლი, მშიერი ბიჭი მეგობრების წაქეზებით ულუფის დამატებას ითხოვდა შემდეგი ფრაზით: „Please, sir, I want some more!“ ასეთი შთამბეჭდავი და გამაოგნებელი სიხარული მოგვიტანა ჩვენმა პირველმა წიგნმა. ეს არის იმის მაგალითი, როგორ შეუძლია ლიტერატურას, თავი მნიშვნელოვნად გაგრძნობინოს, დროისა და სივრცის ჩარჩოები დაარღვიოს და ამბების მომგროვებლად გაქციოს.

ეს ყოველივე გაბრიელს ვუამბე. მართალია, რაჭიდან ქალაქში გადმოვინაცვლეთ, მაგრამ რაჭაში გაზრდილი ბიჭის გულს ოლივერ ტვისტი სიყვარულით ავსებს. მე გამოუთქმელი სინაზით ვუბრუნდები წიგნს, გაბრიელი კი დიდი ინტერესით შემოდის.

კითხვის დრო და ადგილი

წიგნის კითხვის რიტუალის ჩამოყალიბებას ხელშეწყობა სჭირდება, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, როგორც კი დროს მოიხელთებთ, მაშინ სჯობს წაკითხვა. ჩვენი თავისუფალი დრო დღის განმავლობაში ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ ვკითხულობთ დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

რაც შეეხება კითხვის ადგილს, ჩემი ყოველდღიურობიდან გამომდინარე, წიგნს ძირითადად სასადილო ოთახში ვკითხულობთ. ხშირად სადილის მომზადებისას ან ნამცხვრის ცხობისას გაბრიელი მიკითხავს და ეს მომენტი ყველაზე მეტად მიყვარს.

რას ვაქცევთ ყურადღებას კითხვისას?

ხმამაღალი კითხვა უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს. კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს საკუთარი თავი უნდა გამოაფხიზლო, ენერგია უნდა გამოიმუშაო. ამ ყოველივეზე გაბრიელსაც ვესაუბრები. ვაკვირდებით, რომ ხმადაბალი კითხვისას ხალისი იკარგება, სიტყვების დაბოლოების ამოკითხვა ჭირს და აზრიც ბუნდოვანი ხდება. როგორც კი ინტონაციით – ხმის აწევ-დაწევით – ვიწყებთ კითხვას, მკითხველის სხეულიც ფხიზლდება და მსმენელიც ყურადღებით იწყებს მოსმენას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგჯერ მონაცვლეობით ვკითხულობთ ხმამაღლა, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთი ჩვენგანი უკითხავს მეორეს.

კითხვისას ვაკვირდებით **უცხო სიტყვებს, ახალი პერსონაჟების გამოჩენას, ქუჩების სახელწოდებებს, ავტორის შეფასებებსა და მსჯელობას, პერსონაჟთა ქცევას,** ძალიან გვიყვარს **სქოლიოებში დატანილ სიტყვებზე** დაკვირვება და განმარტებების ამოკითხვა.

დროდადრო ვჩერდებით და გამოვთქვამთ **ვარაუდებს, თუ როგორ გაგრძელდება სიუჟეტი** ან მიმოვიხილავთ განვითარებულ მოვლენებს, ზოგჯერ ცრემლებით გვევსება თვალები, ზოგჯერ კი გულიანად ვიცინით.

კითხვისას ფერადი კალმით **ვხაზავთ უცხო სიტყვებსა და საინტერესო ფრაზებს.** წიგნში გვხვდება ჩემი რაჭველი მოსწავლეების მიერ შავი ფანქრით გახაზული ფრაზები. ხშირად ჩვენც ის მოგვწონს, რაც – მათ. ფურცლებს შორის ვპოულობთ გამხმარ ყვავილებს, ფოთლებს და ვუფრთხილდებით.

ოლივერის დღიური – წერა

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნე, თუკი აქამდე წიგნის ხმამაღლა კითხვა მხოლოდ მკითხველის აქტიურობას გულისხმობდა და მსმენელი პასიურობდა, „ოლივერ ტვისტის“ კითხვა ამჯერად ინტერაქციული აღმოჩნდა და გარდა იმისა, რომ მონაცვლეობით ვკითხულობთ, გამოვთქვამთ მოსაზრებებს, ხმამაღლა ვაკეთებთ კომენტარებს, თავიდანვე შევთანხმდით, რომ წაკითხვის შემდეგ დღიურს დავწერდით.

საგულდაგულოდ შევარჩიეთ რვეულები, მოვხატეთ ყდები და **ოლივერის დღიური** დავარქვით. წიგნის ერთი თავის წაკითხვის შემდეგ დღიურში ვწერთ ჩანაწერს, რომლის ინსტრუქციაც ერთად შევიმუშავეთ. წერილობითი ტექსტი მოიცავს **ამბებს ჩვენი ცხოვრებიდან და კომენტარს წაკითხულის შესახებ.** რა ხდება ახლა? რა მოხდა გუშინ? რას ვაპირებთ ხვალ? – ძირითადად, დროის ამ სამ მონაკვეთს ვარჩევთ და ვწერთ თავისუფლად, დაუბრკოლებლად.

წერისას ხშირად ვუსმენთ მუსიკას. ჩვენს ნაწერს გადავიკითხავთ, ვასწორებთ და შემდეგ ერთმანეთს ვუკითხავთ. ჩემი უმთავრესი ადრესატი გაბრიელია – ერთი სული მაქვს, როდის წავუკითხავ ხოლმე დღიურს და როცა თვალებგაბრწყინებული მეუბნება, რომ ძალიან კარგად ვწერ, უზომოდ მიხარია.

დღიურში ჩამოვწერეთ წერის სხვა მეთოდებიც და გადავწყვიტეთ, რომ დღის ჩანაწერსა და წერილობით კომენტარს დროდადრო ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მეთოდით ჩავანაცვლებთ:

- პირადი წერილი პერსონაჟს;
- ერთი მოგონება;
- ვენის დიაგრამა;
- დახატე ეპიზოდი;
- დაახასიათე პერსონაჟი;
- მისწერე მეგობარს წერილი ოლივერის შესახებ;
- ამოიწერე უცხო სიტყვები;
- ამოიწერე ფრაზები.

ერთმანეთისთვის ხმამაღლა კითხვის შემდეგ წერა ძალიან მოგვწონს. წერა გვეხმარება წაკითხულის გაგება-გააზრებაში, ჩვენი განცდების გადმოცემაში, ერთმანეთის გაცნობაში.



თუკი ამ სტატიაში ასახულ მოვლენებს დავაკვირდებით, დროისა და სივრცის ხაზების უცნაურ კვეთაზე დავფიქრდებით, ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთმანეთისთვის წაკითხულ წიგნებს ჯადოსნური ჯოხის ეფექტი აქვს – მიუშვერ საყვარელი ადამიანის გულს, ჩრდილოეთის ციალივით გაანათებ და მისი ნათება სხვების გულებსაც მისწვდება.

23 ივნისის ჩანაწერების მცირე მონაკვეთი:

„დღეს დილას 6-ზე დავაყენე მაღვიძარა, მარა 10 საათზე გამეღვიძა და ეგრევე ნერსესთან გავვარდი. მერე თურმე მამას ბაბუასთვის ფული გამოუტანებია და ახმეტელზე გავქროლდი. მერე მუსიკაზე გავეშურე. იქ ჩემი მუსიკა დავუკარი და სიმღერა ვიმღერე. ნანა მასმა ყვავილი გამომატანა. თურმე სულთმოფენობა ყოფილა და ეს ყვავილი მთელი წელი უნდა შემენახა და ახლა ვინახავ. საინტერესოა, 5 საათი როგორ გაუძლო... მე და დედამ „ოლივერ ტვისტი“ წავიკითხეთ. ეს თავი ძალიან საინტერესო იყო და ცოტა გამიხარდა, ოლივერი რომ ამ კაცის ხელშია. ცოტა წესიერ რამეს შეჭამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სულს გაუმწარებენ“. **გაბრიელი**

„ცხოვრება ლიტერატურასთან ერთად – ჩემი ყოველი დღის სათაური ამგვარია. ხშირად განვიცდი მადლიერებას ლიტერატურის სიყვარულის გამო. დილას შიო მღვიმელის ლექსს „ირემი“ ვკითხულობდი ხმამაღლა. ლილე გვერდით მეჯდა, დღიურში სარკისებურად წერდა ციფრებს, ნერსე ეტლში იწვა და მე ვკითხულობდი ლექსს, ალბათ, მეასედ, მაგრამ მხოლოდ ამ დილას ვიტირე. ლილემ შემომხედა სიყვარულით სავსე თვალებით და შენ რა ყველაფერზე გეტირებაო, შემომღიმა.

...ჩარლზ დიკენსი ძალიან ზუსტად ასახავს ქცევის მოტივს. როცა გულს მტკენენ ან სივერაგეს, მზაკვრობას ვაწყდები, ხშირად მინატრია, ნეტავ, ჩარლზ დიკენსი ვიყო, რომ ზუსტად ავსახო ის, რაც ჩემს თავს ხდება-მეთქი.

ოლივერის სისუსტე მაშინ გადაიქცა უზარმაზარ ძალად, როცა თავმოყვარეობა შეულახეს და მის დედას შეურაცხყოფა მიაყენეს. ის გაძლიერდა. ზოგჯერ ბრაზი გვაძლიერებს. საინტერესო ემოციაა.

ოლივერი დიკს ხვდება. დიკი მისი ერთადერთი მეგობარი იყო ფერმაში. მათ ერთად სცემდნენ და აშიმშილებდნენო, წერს მწერალი. დიკი ოლივერს ემშვიდობება, კოცნის და ლოცავს. ამ ეპიზოდმა ამატირა.

საღამოს ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიას ვკითხულობდი. აკა მორჩილაძე ისეთი ენით წერს, ადვილად აყვარებს მკითხველს ვაჟას.

...მიდი, ოლივერ, გაიქეცი! ხვალ შეგხვდებით. ლონდონისკენ მიმავალ გზაზე მე და გაბრიელიც გამოგყვებით. არ შეგეშინდეს, პატარავ.

ხშირად ვფიქრობ, რამდენი თაობის მკითხველს აერთიანებს ოლივერ ტვისტი და რა მაგარია ლიტერატურის ძალა, თუნდაც ამიტომ!“ **დედა (ამონარიდი ჩემი ჩანაწერიდან)**



ვიდეოჩანაწერი

ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ ჩემი პრაქტიკული საქმიანობისა და ლიტერატურის შესახებ ვიდეომასალის ჩაწერას. გაბრიელს და მის მეგობრებს, რომლებსაც Youtube-ზე არხი აქვთ, ხშირად ვეკითხები რჩევებს. ციფრულ ეპოქაში მასწავლებლებმა ყველა პლატფორმა უნდა ავითვისოთ, სადაც ჩვენი მოსწავლეები იმყოფებიან. ამას გარდა, ვიდეოჩანაწერით ინფორმაციის გავრცელება უფრო მარტივია. სწორედ ამიტომ, გაბრიელს ოლივერ ტვისტის წაკითხვისა და დღიურის დაწერის შესახებ ვიდეოს ჩაწერა შევთავაზე.

თავდაპირველად უარი მითხრა. შემდეგ ვესაუბრე, თუ რა მიზანი მამოძრავებდა და დამთანხმდა.

დავსხედით, ჩავრთეთ მობილური ტელეფონის კამერა და გულწრფელად ვისაუბრეთ, რატომ და როგორ ვკითხულობთ, დღიურიდან ერთი დღის ჩანაწერიც წავიკითხეთ. იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელში ატვირთულ ვიდეოს, რომ მსგავსი შინაარსის ვიდეობლოგების საჭიროებაში დავრწმუნდით და გადავწყვიტეთ, დროდადრო ჩავწეროთ და საზოგადოებას გავუზიაროთ კითხვისა და წერის ჩვენეული თავგადასავალი.

ამგვარად, ერთ წიგნს დავუკავშირეთ **ხმამაღალი კითხვა, წერა, ვიდეოჩანაწერი** – აზროვნების, გამოხატვის სხვადასხვა ფორმა. რაც მთავარია, ძალიან გვიხარია კითხვა ერთმანეთისთვის. წიგნის დასრულების შემდეგ ოჯახის წვერებისთვის პრეზენტაციის გამართვას ვგეგმავთ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგჯერ რამდენიმე დღე ისე მიებმება ხოლმე, რომ წაკითხვას ვერ ვახერხებთ. ოჯახის თითოეული წევრი **გვგულშემაგვტკივრობს,** იციან, რომ ვკითხულობთ და დროდადრო მათაც უწევთ მოსმენა.

ბოლოს რაჭისკენ მიმავალ გზაზე ვკითხულობდით. მანქანის სახურავი ნახევრად გადახდილი იყო. საღამოვდებოდა. შქმერის ცა თან მოგვყვებოდა. მეთერთმეტე თავში ოლივერს ცხვირსახოცის ქურდობას დააბრალებენ, შიმშილისა და შიშისგან ბიჭს გული წაუვა. მოსამართლე კი არ უჯერებს. მისტერ ბრაინლოუ ოლივერის გამართლებას ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ამ უიმედო და უსამართლო ვითარებისას წიგნების გამყიდველი აქოშინებული შემოიჭრება სასამართლო დარბაზში... – ეს ხდებოდა წიგნში, ლონდონში... ჩვენი მანქანა კვლავ სოფელ შქმერში მიქროდა. გზაზე ცხენები გამოჩნდნენ. სვლა შევანელეთ. მანქანაში ყიჟინა ატყდა, ჩემი ოჯახის წევრები ცხენოსნებს გამოელაპარაკნენ. ჩემს კალთაში სამი თვის ჩვილს ეძინა. ხელში მძიმე წიგნი მეჭირა. მგზავრობით გადაღლილმა ცხენზე ამხედრებულ ბიჭებს შევხედე და ჩემი ყოფილი მოსწავლეები ძლივს ვიცანი. ფანჯარას მოუახლოვდნენ რამდენიმე წლის უნახავი ბიჭები და მკითხეს, როგორა ხართ, მასწავლებელოო. სიმბოლური იყო, ხელში „ოლივერ ტვისტი“ რომ მეჭირა. ამ სტატიის წერა თბილისში დავიწყე და ვფიქრობდი, შესავალი ნაწილი ძალიან ხომ არ გამეწელა-მეთქი, ახლა უწერაში ვარ და სტატიის ბოლოს ისევ ვწერ იმ ადამიანებთან შეხვედრაზე, რომლებიც პირველ ლიტერატურულ კაფეში მთავარი პერსონაჟები იყვნენ. ნიკუშა მაშინ მეხუთე კლასში იყო, პაატა – მეათეში, გიორგი – მეთერთმეტეში. იმ დღეს გადაღებულ ფოტოებსაც ცოცხლად ვხედავ. ახლა კი ყველაზე მეტად ნიკუშას ცნობა გამიჭირდა. ბიჭი, რომელიც კლასში კულუმბარებსა და თოხიტარებზე მიყვებოდა, ახლა ცხენზე ზის, სალოცავში მიიჩქარის და ისე მიღიმის, გული მილღვება. იმ საღამოს მე და გაბრიელმა დღიურში დაწერა ვერ მოვასწარით და მაშინვე ვიფიქრე, რომ მეთერთმეტე თავის წაკითხვის პასუხად ამ შეხვედრის შესახებ მოვყვებოდი.

თუკი ამ სტატიაში ასახულ მოვლენებს დავაკვირდებით, დროისა და სივრცის ხაზების უცნაურ კვეთაზე დავფიქრდებით, ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთმანეთისთვის წაკითხულ წიგნებს ჯადოსნური ჯოხის ეფექტი აქვს – მიუშვერ საყვარელი ადამიანის გულს, ჩრდილოეთის ციალივით გაანათებ და მისი ნათება სხვების გულებსაც მისწვდება.

ცირა ბარბაქაძე

რა არის AI-ჩატბოტები და როგორ ცვლიან ისინი სწავლების ფორმებს

გასაოცარ სამყაროში გვიწევს ცხოვრება: ერთი მხრივ, სოციალური გარემო თავისი ყოველდღიური პრობლემებით და, მეორე მხრივ, ციფრული ეპოქა და ტექნოლოგიები, რომლებიც გვთავაზობენ განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, არსებობს ტექნოლოგია, რომელიც დაგვეხმარება, ხშირად უფროსი თაობა თავს იკავებს მისი გამოყენებისგან.

გასაოცარ სამყაროში გვიწევს ცხოვრება: ერთი მხრივ, სოციალური გარემო თავისი ყოველდღიური პრობლემებით და, მეორე მხრივ, ციფრული ეპოქა და ტექნოლოგიები, რომლებიც გვთავაზობენ განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, არსებობს ტექნოლოგია, რომელიც დაგვეხმარება, ხშირად უფროსი თაობა თავს იკავებს მისი გამოყენებისგან.

ციფრული თაობა კი ამასობაში უკვე გაწაფულია AI-პლატფორმებზე. მახსოვს, პირველად რომ ChatGPT და მსგავსი ჩატბოტები გამოჩნდა, მოსწავლეებმა და სტუდენტებმა სწრაფად დაიწყეს მათი გამოყენება. TikTok-სა და Facebook-ზე ხშირად მხვდებოდა ვიდეოები, რომლებშიც სტუდენტები და მოსწავლეები აცხადებდნენ, მასწავლებლებს და ლექტორებს ამის შესახებ არ გააგებინოთო. ეს, ერთი შეხედვით, ირონიული განაცხადი სიმართლესთან ახლოს იყო, რადგან „ხელოვნური ინტელექტი დაგვიპყრობს“, „მერე ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ, თუ ისინი ამდენ რამეს გააკეთებენ?“ – არსებობდა/არსებობს ასეთი შიშები. უმრავლესობა ელოდება, როდის ეტყვიან, რომ ეს კარგი და სასარგებლოა მისი საქმიანობისათვის, რაც შეიძლება, არასდროს მოხდეს... ამიტომ მნიშვნელოვანია, თავად გამოვცადოთ ეს სიახლეები და მერე გადავწყვიტოთ, გვჭირდება თუ არა. მით უფრო გასათვალისწინებელია ეს ამბავი მაშინ, როცა AI-ჩატბოტები ქართულად გაწაფულად ამეტყველდნენ! ასეთებია, მაგალითად: ChatGPT და Claude.ai . ისინი არა მხოლოდ საუბრობენ ქართულად, არამედ ქართულ ტექსტებსაც დაგირედაქტირებენ და წიგნებსაც შეგიფასებენ.

და მაინც, რას წარმოადგენენ AI-ჩატბოტები?

AI-ჩატბოტები არის პროგრამები, რომლებიც იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს ადამიანებთან ტექსტური დიალოგისთვის. ისინი აანალიზებენ ტექსტს, იგებენ კონტექსტს და შინაარსს და პასუხს სცემენ მეტ-ნაკლებად ბუნებრივად. ძირითადი მახასიათებლები: ენის გაგება და გენერირება, კონტექსტის შენარჩუნება, საუბრისას სწავლა და ადაპტირება ინტერაქციებიდან. გამოიყენება: კლიენტთა მომსახურებაში, ინფორმაციის მიწოდებაში, პერსონალურ ასისტენტებად და ასე შემდეგ.

როგორ მუშაობენ ჩატბოტები?

მონაცემთა დასწავლა: AI-ჩატბოტები სწავლობენ დიდი მოცულობის ტექსტურ მონაცემებს, რათა გაიგონ კონტექსტი და უპასუხონ კითხვებს ადეკვატურად.

ბუნებრივი ენის დამუშავება: AI-ჩატბოტები აანალიზებენ ბუნებრივ ენას, მათ შორის ტონს, იუმორს და კონტექსტს.

ტექსტის გენერირება: AI-ჩატბოტები ქმნიან გააზრებულ და კონტექსტურ პასუხებს ღრმა სწავლების მოდელის გამოყენებით.

თუ სთხოვთ **Claude.ai**-ს, გაგეცნოთ, ის დაგიწერთ: „მე შემქმნა კომპანია Anthropic-მა, შევიქმენი იმისთვის, რომ დავეხმარო ადამიანებს სხვადასხვა ამოცანის შესრულებაში – ინფორმა-

ციის მოძიებაში, ანალიზში, კითხვებზე პასუხის გაცემაში, წერაში და ა.შ. ჩემი ცოდნის ბაზა ბოლოს განახლდა 2023 წლის აპრილში; მე ვარ Claude 3.5 Sonnet-ის ვერსია, რომელიც არის Claude 3-ის მოდელების ოჯახის ნაწილი".

ChatGPT–მ კი ასე მიპასუხა: „მე ვარ ChatGPT, დიდი ენის მოდელი, შექმნილი OpenAI-ის მიერ. ჩემი მიზანია, მომხმარებლებს დავეხმარო სხვადასხვა დავალებაში, როგორიცაა: კითხვებზე პასუხების მიცემა, ტექსტების შედგენა, თარგმნა, რედაქტირება და სხვა..."

დამერწმუნეთ, ციფრული ტექნოლოგიები, მათ შორის AI-ჩატბოტები, ფუნდამენტურად ცვლიან ჩვენს ცხოვრებას და სამუშაო გარემოს. ისინი ქმნიან ახალ შესაძლებლობებს განათლებაში, ჯანდაცვაში, ფინანსებსა და სხვა სფეროებში. ამ ტექნოლოგიების ცოდნა და გამოყენება ხდება აუცილებელი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად თანამედროვე შრომის ბაზარზე. ეს კი ყველასთვის სასარგებლოა.

ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტების გამოყენების ცოდნა უკვე ფუფუნება კი არა, აუცილებლობაა 21-ე საუკუნის მოქალაქისთვის. ეს ტექნოლოგია გვთავაზობს უნიკალურ შესაძლებლობებს პირადი განვითარებისთვის, კარიერული წინსვლისთვის და ინოვაციური იდეების რეალიზებისთვის, ამაზე უარს კი ვერავინ იტყვის! ხოლო ის, ვინც დროულად აითვისებს ამ ინსტრუმენტებს, მოიპოვებს მნიშვნელოვან უპირატესობას სწრაფად ცვალებად, ტექნოლოგიებით მართულ მსოფლიოში.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ AI-სისტემები, მიუხედავად მათი სიძლიერისა, არ არიან უცდომელნი. კრიტიკული აზროვნება და ინფორმაციის გადამოწმება აუცილებელია მათი გამოყენებისას.

ახლა კი ჩამოგითვლით, რაში შეუძლიათ გამოიყენონ მასწავლებლებმა ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტები:

1. ინტეგრირება სხვადასხვა საგანში:
   - ენის გაკვეთილებზე AI-ის გამოყენება წერის უნარების გასაუმჯობესებლად;
   - მათემატიკაში პრობლემების გადაჭრის ახალი მეთოდების დემონსტრირება;
   - ისტორიაში ისტორიული სცენარების სიმულაცია და ანალიზი.

2. პროექტებზე დაფუძნებული სწავლება:
   - სტუდენტების წახალისება, შექმნან AI-ზე დაფუძნებული პროექტები;
   - ჯგუფური მუშაობა AI-ინსტრუმენტების გამოყენებით.

3. კრიტიკული აზროვნების განვითარება:
   - AI-ის პასუხების ანალიზი და შეფასება.
   - ეთიკური დისკუსიების წამოწყება AI-ის გამოყენების შესახებ.

4. პერსონალიზებული სწავლების ხელშეწყობა:
   - AI-ის გამოყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაქმნელად;
   - სტუდენტების პროგრესის მონიტორინგი AI-ანალიტიკის საშუალებით.

5. კვლევითი უნარების გაუმჯობესება:
   - AI-ის გამოყენება ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის პროცესში;
   - წყაროების სანდოობის შეფასების სწავლება AI-კონტექსტში.

6. ინტერდისციპლინური სწავლება:
   - AI-ის გამოყენება სხვადასხვა საგნის დასაკავშირებლად;
   - კომპლექსური პრობლემების გადაჭრა AI-ის დახმარებით.

7. ციფრული მოქალაქეობის სწავლება:
   - ონლაინ-ეთიკისა და უსაფრთხოების სწავლება AI-კონტექსტში;
   - დეზინფორმაციის ამოცნობის უნარების განვითარება.

8. კრეატიულობის სტიმულირება:
   - AI-ის გამოყენება ხელოვნების, მუსიკის და ლიტერატურის შექმნაში;
   - ინოვაციური იდეების გენერირება AI-სთან თანამშრომლობით.



9. პრაქტიკული უნარების განვითარება:
   - რეზიუმეების შექმნა და სამუშაოს ძიების პროცესის სიმულაცია AI-ის დახმარებით;
   - ბიზნესგეგმების შემუშავება AI-ანალიტიკის გამოყენებით.

10. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა:
   - AI-ის გამოყენება, როგორც დამხმარე ინსტრუმენტის უწყვეტი განათლებისთვის;
   - ახალი უნარების სწრაფად ათვისების სტრატეგიების სწავლება.

ხელოვნური ინტელექტი და AI-ჩატბოტები ელვის უსწრაფესად ვითარდება. შესაძლოა, ამ სტატიის დაწერიდან გამოქვეყნებამდე გასულ დროშიც კი შეიცვალოს. ისინი ცხოვრების ყველა სფეროსთვის ხსნიან ახალ შესაძლებლობებს.

რა ტრენდებია და როგორი იქნება ახლო მომავალი? რა მიმართულებები განვითარდება?

მულტიმოდალურობა: ხმოვანი, ვიზუალური და ტექსტური ფორმების ინტეგრაცია მოხდება და კომუნიკაცია გახდება უფრო ბუნებრივი და მრავალმხრივი.

პერსონალიზაცია: AI-ჩატბოტები მომხმარებელთა მოთხოვნების სულ უფრო სიღრმისეულ ანალიზს გააკეთებენ და შესთავაზებენ მათ ინდივიდუალურად შერჩეულ მომსახურებას და რეკომენდაციებს.

ემოციური ინტელექტი: AI-ჩატბოტები ამოიცნობენ მომხმარებელთა ემოციებს, ექნებათ მათზე რეაგირება და დიალოგიც მეტად ემპათიური და ბუნებრივი გახდება.

პროგნოზირება: AI-ბოტები გამოიყენებენ მონაცემებს მომხმარებლის ქცევის პროგნოზისთვის, შესთავაზებენ პროაქტიულ გადაწყვეტილებებს და გაფრთხილებებს.

„უმაღლესი განათლების მუდმივად ცვალებად ლანდშაფტში Chat GPT-ის შემოსვლა წარმოადგენს გარდამტეხ მომენტს, რაც სწავლა-სწავლების ახალი ერის დასაწყისს მოასწავებს. ეს რევოლუციური ტექნოლოგია, რომელიც ხელოვნური ინტელექტისა და ლინგვისტური პროგრამირების დახვეწილ ნაზავს წარმოადგენს, აფართოებს სწავლის, სწავლებისა და აკადემიური კვლევის საზღვრებს. Chat GPT, თავისი შესაძლებლობით, დაამუშაოს და შექმნას ადამიანის მსგავსი ტექსტი, წარმოუდგენელ პერსპექტივებს სთავაზობს როგორც მასწავლებლებს, ისე სტუდენტებს, რათა მათ აღმოაჩინონ ცოდნის შეძენისა და გავრცელების ახალი ჰორიზონტები“[1] (რიჩარდ ლა ფაბერი).

AI-ჩატბოტების „ჰალუცინაცია“

უნდა გვახსოვდეს, რომ პასუხების გენერირებისას AI-ჩატბოტმა შეიძლება „აურიოს“. ამ პროცესს „ჰალუცინაცია“ ეწოდება.

„ჰალუცინაცია“ ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში ნიშნავს, რომ AI-სისტემა, როგორიცაა ჩატბოტი, აგენერირებს ინფორმაციას, რომელიც არასწორია ან არ შეესაბამება რეალობას. ეს ხდება მაშინ, როცა სისტემა ქმნის ტექსტს, რომელიც გრამატიკულად და სტილისტურად გამართულია, მაგრამ შინაარსობრივად მცდარი ან გამოგონილია.

თუ აღმოაჩენთ ასეთ ტექსტებს, შეამოწმეთ ინფორმაცია სანდო წყაროებში. ყურადღება მიაქციეთ უჩვეულო ან საეჭვო დეტალებს, დასვით დამაზუსტებელი კითხვები, რომლებზეც თავად ჩატბოტი გიპასუხებთ, რომ მცდარია (როცა მცდარია).

Vectara-ს 30-კაციანმა გუნდმა, 28.5 მილიონი დოლარის საწყისი დაფინანსებით, გამოიკვლია წამყვანი ჩატბოტები ისეთი კომპანიებიდან, როგორიცაა OpenAI, Google, Meta და Anthropic. კვლევამ აჩვენა, რომ OpenAI-ის ChatGPT-ის ყველაზე დაბალი ჰალუცინაციების მაჩვენებელი აქვს – 3%, ხოლო Google-ის Palm-ში ეს მაჩვენებელი 27%-მდეა. Meta-ს და Anthropic-ის ჩატბოტები შუა მაჩვენებლებში აღმოჩნდნენ 5-8%-ით.[2]

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ AI-სისტემები, მიუხედავად მათი სიძლიერისა, არ არიან უცდომელნი. კრიტიკული აზროვნება და ინფორმაციის გადამოწმება აუცილებელია მათი გამოყენებისას.

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჰალუცინაციების შესამცირებლად გენერაციული AI-ხელსაწყოები უნდა იყოს დაკავშირებული ფაქტების შემმოწმებელ სისტემებთან, რათა არცერთი ჩატბოტი არ დარჩეს ზედამხედველობის გარეშე.[3]

შენიშვნები:

1. https://www.linkedin.com/pulse/ai-chat-gpt-higher-education-richard-la-faber-wdccc
2. https://news.outsourceaccelerator.com/chatbots-prone-to-hallucination/
3. https://www.scientificamerican.com/article/chatbot-hallucinations-inevitable/

მეგი კავთუაშვილი

მშობელთა კლუბი სკოლაში

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი სახეა მოხალისეობა, რომელსაც, თავის მხრივ, მრავალი ფორმატი და თემატური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. როგორც წესი, მშობლები სკოლაში იმ საქმიანობით არიან დაკავებული, რაც ყველაზე მეტად მოსწონთ, გამოსდით ან უბრალოდ აქტუალურია მათთვის.

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი სახეა მოხალისეობა, რომელსაც, თავის მხრივ, მრავალი ფორმატი და თემატური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. როგორც წესი, მშობლები სკოლაში იმ საქმიანობით არიან დაკავებული, რაც ყველაზე მეტად მოსწონთ, გამოსდით ან უბრალოდ აქტუალურია მათთვის.

მშობელთა კლუბი მოხალისეობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც დაშვებულია ზოგადი განათლების შესახებ კანონითაც. მშობელთა კლუბის მიზანი შეიძლება იყოს წიგნის კითხვის, ხელსაქმის პოპულარიზაცია, ბულინგის ან ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია, დამატებითი ფინანსების მოძიება, სპორტის ან ხელოვნების სწავლების გაძლიერება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მოსწავლეთა კვების ორგანიზება, სკოლასთან მისასვლელ გზებზე უსაფრთხოების დაცვა, პედაგოგების მხარდაჭერა, სასკოლო გამოწვევების დაძლევა და სხვა.

მოწინავე ქვეყნებში, სადაც დემოკრატიულობის ხარისხი მაღალია, მშობელთა კლუბების მრავალფეროვნებაა. კლუბის საქმიანობაში მონაწილეობა, წესისამებრ, ნებაყოფლობითია, თუმცა ყველა კლასში მოიძებნება მშობელი, რომელსაც რომელიმე კლუბის წევრობის სურვილი ექნება.

მშობელთა კლუბები საქართველოს სკოლების პრაქტიკაშიც მკვიდრდება, თუმცა ხშირად გაიგონებთ ჩივილს, რომ მშობლების ერთობას უჭირს მდგრადობის შენარჩუნება, მათი საქმიანობა უმეტესად ფრაგმენტული და არასისტემურია.

იმისთვის, რომ მშობელთა კლუბების ხანგრძლივად ფუნქციონირება გახდეს შესაძლებელი, აუცილებელია, ცოტა დრო დავუთმოთ მათ ორგანიზაციულ მოწყობას.

უპირველეს ყოვლისა, მშობელთა კლუბის დაფუძნების სურვილი თავად მშობლებს უნდა ჰქონდეთ. ეს სურვილი რომ გაუჩნდეთ, მათ უნდა იცოდნენ, რომ ამის უფლება აქვთ და სკოლისგან, კერძოდ, დირექტორისა და მასწავლებლებისგან მხარდაჭერას მიიღებენ. ამის შემდეგ მსურველებმა უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- რა მიზნით იქმნება კლუბი?
- რა გზით შეიძლება კლუბმა ამ მიზანს მიაღწიოს?
- ვინ იქნებიან კლუბის წევრები?
- ვინ იქნება კლუბის ხელმძღვანელი?
- ვინ მიიღებს გადაწყვეტილებებს?
- როგორ შეიძლება კლუბში ახალი მშობლების მიღება ახლა და მომავალში?
- როგორ შეძლებს მშობელი კლუბის დატოვებას?
- როგორ ითანამშრომლებს კლუბი სკოლასთან?
- რა უფლებები და მოვალეობები ექნებათ კლუბის წევრებს?
- ვინ ისაუბრებს კლუბის სახელით?
- რა უფლებები და მოვალეობები ექნებათ კლუბთან მიმართებით სკოლის თანამშრომლებს?

ამ კითხვებზე გაცემული პასუხები უნდა აისახოს ორ მთავარ დოკუმენტში, რომლებიც მომავალში საფუძვლად დაედება კლუბის ფუნქციონირებას. ესენია: კლუბის წევრთა ეთიკის კოდექსი და კლუბის წესდება.

მშობელთა კლუბის წევრთა ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ქცევის სტანდარტს კლუბის წევრებისთვის. მისი მიზანია, ერთიან ფორმატში მოაქციოს კლუბის წევრთა ურთიერთობა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან: მოსწავლეებთან, ერთმანეთთან, სკოლასთან, ასევე, სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან.

ამ წესებზე შეთანხმება განსაზღვრავს კლუბის წევრების მოქმედების ძირითად პრინციპებს. მაგალითად, ეთიკის კოდექსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგნაირ ჩანაწერებს:

1. კლუბის თითოეული წევრი უზრუნველყოფს შვილისა და სხვა ბავშვების კეთილდღეობას (საქართველოს კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად).
2. კლუბის წევრი მოქმედებს ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე.

მშობელთა კლუბი მოხალისეობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც დაშვებულია ზოგადი განათლების შესახებ კანონითაც. მშობელთა კლუბის მიზანი შეიძლება იყოს წიგნის კითხვის, ხელსაქმის პოპულარიზაცია, ბულინგის ან ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია, დამატებითი ფინანსების მოძიება, სპორტის ან ხელოვნების სწავლების გაძლიერება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მოსწავლეთა კვების ორგანიზება, სკოლასთან მისასვლელ გზებზე უსაფრთხოების დაცვა, პედაგოგების მხარდაჭერა, სასკოლო გამოწვევების დაძლევა და სხვა.

3. კლუბის წევრი თანასწორად ეპყრობა ყოველ ბავშვს, იცავს მას და მის მშობელს დისკრიმინაციისგან, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსისა, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი მდგომარეობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, საქმიანობისა, შეხედულებებისა და სხვა ნიშნებისა.
4. კლუბის წევრი დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან, ზეწოლისგან, პირადი ინტერესისგან.
5. კლუბის წევრი კორექტულად და თავაზიანად გამოთქვამს აზრს, პატივს სცემს ადამიანის ღირსებას.
6. კლუბის წევრი პატივს სცემს სკოლის, ასევე, სხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციულ კულტურას და იცავს მათ შინაგანაწესს.
7. კლუბის წევრი თავისი ქცევით საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანებს.
8. კლუბის წევრი იცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას. კონფიდენციალურობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.
9. კლუბის წევრი არ მოქმედებს კლუბის სახელით კლუბის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად.
10. კლუბის წევრი მოხალისეობრივად უზიარებს თავის ცოდნას და გამოცდილებას სხვა წევრებს.

კლუბის წესდება

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების კლუბის წესდება უნდა წარმოადგენდეს სკოლისა და კლუბის წევრების შეთანხმებას ყველა ძირითად საკითხზე. ამ შეთანხმების მიღწევა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მშობელთა კლუბი სკოლის შემადგენელი ნაწილია და მისი მოქმედება მეტ-ნაკლებად თანხვედრაში უნდა იყოს სკოლის ორგანიზაციულ კულტურასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია რისკი, რომ კლუბის მუშაობა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

ქვემოთ იხილეთ კლუბის წესდების შაბლონური ნიმუში, რომელიც შეგიქმნით ზოგად წარმოდგენას და გაგიადვილებთ თქვენს რეალობას მორგებული წესდების შექმნას.

მშობელთა კლუბის წესდება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. მიუთითეთ კლუბის ფორმა *(საინიციატივო ჯგუფი, ააიპ ან სხვა)*;

1.2. კლუბის სახელწოდება *(უმჯობესია, კლუბს დაარქვათ სახელი, რადგან სკოლაში შეიძლება მშობლების რამდენიმე კლუბი არსებობდეს)*;

1.3. *კლუბის საკონტაქტო ინფორმაცია და მისამართი (მისამართი იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სივრცე მუშაობისთვის)*;

1.4. კლუბის მიზანია ----------

1.5. კლუბის ამოცანებია ----------

1.6. სკოლის უფლება-მოვალეობები კლუბის საქმიანობასთან მიმართებით

1.6.1. სკოლის უფლებები ----------

1.6.2. სკოლის მოვალეობები ----------

მუხლი 2
კლუბის დამფუძნებელი წევრები

2.1. კლუბის დამფუძნებელი წევრები არიან:

სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, დაბადების თარიღი

1. ---
2. ---
3. ---
4. ---
5. ---
6. ---
7. ---
8. ---
9. ---

მუხლი 3
კლუბის წევრობა

3.1 კლუბის წევრობა

3.1.1 ვინ შეიძლება იყოს კლუბის წევრი, მაგალითად, დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები ან ამა თუ იმ სკოლის მოსწავლეთა მშობლები?

3.2 გაწევრება

3.2.1 როგორ მოხდება კლუბში ახალი წევრების მიღება – განაცხადი უნდა დაწერონ, თუ სიტყვიერად მიმართონ დამფუძნებლებს, ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა ვადაში უნდა ეცნობოთ პასუხი წევრობის მსურველებს?

3.3 წევრობის შეწყვეტა

3.3.1. რა შემთხვევაში შეიძლება კლუბის წევრს შეუწყდეს წევრობა? მაგალითად, კლუბის წევრს შესაძლოა შეუწყდეს წევრობა:

– საკუთარი განცხადების საფუძველზე;
– კლუბის წესდების და ეთიკის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში

3.4 წევრთა უფლება-მოვალეობები

3.4.1 წევრის უფლებები

რა უფლებები აქვს კლუბის წევრს? მაგალითად,

– აირჩიოს და არჩეულ იყოს კლუბის ხელმძღვანელად;
– კლუბის კრებაზე წამოაყენოს საკითხი განსახილველად;
– მონაწილეობა მიიღოს გადასაწყვეტი საკითხების კენჭისყრაში

3.4.2 წევრის ვალდებულებები

რა ვალდებულებები აქვს კლუბის წევრს? მაგალითად,

– რა სიხშირით უნდა დაესწროს კლუბის კრებებს;
– დაიცვას კლუბის ეთიკის ნორმები.

მუხლი 4
კლუბის მართვა და ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობა

ვინ მართავს კლუბს: გამგეობა, კლუბის ხელმძღვანელი თუ წევრები ერთად?

4.1. მართვის საკითხები

– ვინ ამტკიცებს სამოქმედო გეგმას;
– ვინ ირჩევს/ნიშნავს კლუბის ხელმძღვანელს;
– ვინ იღებს გადაწყვეტილებას წევრად მიღების და შეწყვეტის შესახებ;
– ვინ ურთიერთობს სკოლასთან;
– ვინ ურთიერთობს მესამე პირებთან.

მუხლი 5
კლუბის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

– რა შემთხვევაში გაუქმდება კლუბი;
– როგორ მიიღება გადაწყვეტილება გაუქმების შესახებ.

მშობელთა კლუბის ამგვარი მოწყობა ხელს შეუწყობს მის მდგრად ფუნქციონირებას, უზრუნველყოფს მშობელთა გააზრებულ ჩართულობას და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ადეკვატური მოლოდინების შექმნას.



მარიამ გოდუაძე

რატომ გვჭირდება სასკოლო პროექტები ფემიციდისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ

ემოციური ძალადობა სიძულვილის ენით იწყება. კარგი იქნებოდა ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეებში როგორც სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოება, ისე ღირებულებებზე დაფუძნებული ენობრივი თუ საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვაც.

ჩვენს სკოლაში ისტორიას ერთი მაღალი, ოდნავ გამხდარი და ბეჭებში მოხრილი ცოლშვილიანი კაცი ასწავლიდა. ყოველ დილით მისი მოდური ალუბლისფერი „რენოდან“ ორნი გადმოდიოდნენ – ის და ლამაზი მეათეკლასელი გოგო. იმ მაღალ კაცზე ცუდი ხმები დადიოდა და მალე სკოლიდან გაუშვეს, თუმცა წასვლამდე თავი ორი რამით დამამახსოვრა: ერთხელ, გარდერობის რიგში დგომის გამო, დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე 5 წუთით დამაგვიანდა და ამისთვის ყველას თვალწინ მთელი ძალით გამაწნა სილა, მეორედ კი, გამოცდაზე თავმდგმურობისას, ჩემს თანაკლასელ სავსე გოგოს მოზრდილი ასოებით მერხზე წარწერილ სიტყვაზე მიანიშნა და ხმამაღლა ჰკითხა, შენზე წერიაო? გოგო აილეწა, წერა ვეღარ დაამთავრა, ბოლოს კი ვნახეთ, რომ ინგლისურად „სექსბომბა“ ეწერა...

რამდენიმე წლის შემდეგ, მუშაობა რომ უნდა დამეწყო, იმ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მომევლინა. უარი ვთქვი, თუმცა თავშეკავებაც ძვირი დამიჯდა. მას მერე ათ წელზე მეტი გავიდა და მშობლიურ ქალაქში ქართულის მასწავლებლობა ჩემთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ვინ იცის, კიდევ რამდენი ქალის ცხოვრებაში დატოვა უარყოფითი კვალი, რომლებმაც ჩემსავით ვერ ამოიღეს ხმა და დაზარალდნენ.

ასეა! არსებობს მტკივნეული გამოცდილებები, სტატისტიკაც მძიმე სურათს გვიჩვენებს და რაც უნდა ვმალოთ, ფაქტია – ქალებზე ძალადობის, მათი სექსუალური შევიწროებისა და მკვლელობის მაჩვენებლები ჩვენს ქვეყანაში ძალიან მაღალია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ხმის ამოღების გამო ერთმანეთს კი არა, ძალადობას ვებრძოდეთ, ქალები კაცებს დამსახურებისამებრ ვაფასებდეთ და პირიქით!

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ურთიერთდაფასებას სწავლასწავლება სჭირდება, უპირველეს ყოვლისა, მაგალითით. და თუ საკუთარი თავისთვის ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით არაფრის ახსნა არ გჭირდება, თუ ხარ მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი ან მშობელი, უთხარი ბავშვს, რომ:

- ჩვენს ქვეყანაში ბოლო ექვს წელიწადში ორასზე მეტი ქალი მოკლეს ოჯახში ძალადობის გზით;
- მაღალია ჯანმრთელობის დაზიანებისა და სხვა სასტიკი ფორმებით ჩადენილ ძალადობათა რიცხვი;
- რომ პოლიცია, უმეტესად, იყენებს დაცვის ღონისძიებებს, თუმცა, სამწუხაროდ, ოჯახში ძალადობის პრევენცია ვერ ხერხდება და დანაშაულის მატების რისკიც მაღალია;
- ამ საკითხებთან დაკავშირებული ცნობიერება კი არის ძალიან დაბალი.

რა ვქნათ? რა ვიღონოთ? საიდან უნდა დაიწყოს ამ საკითხებზე ზრუნვა? ჯერ სათავე უნდა გაიწმინდოს თუ საძირკველში მტკიცე ფუნდამენტი ჩაიდოს?

ფუნდამენტად ნამდვილად გამოდგებოდა ემოციების რეგულაციის[1], ბრაზის მართვის

სწავლების პოლიტიკის დანერგვა, მაგრამ პროპაგანდაც და მაგალითებიც სათანადო და თვალსაჩინო უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გაცნობიერება და სწავლა-სწავლება იმისა, რომ **ძალადობა არის კონტროლისა და დათრგუნვის საშუალება,** რომელიც მოიცავს **ემოციურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფიზიკურ ან სექსუალურ იძულებას, დათრგუნვასა თუ ზიანს. ძალადობის სახეებად განიხილება:**

- **ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური** ან **სექსუალური ძალადობა;**
- **იძულება;**
- **უგულებელყოფა;**
- **განმეორებითი ჩაგვრა/ბულინგი.**

ემოციური ძალადობა სიძულვილის ენით იწყება. კარგი იქნებოდა ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეებში როგორც სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოება, ისე ღირებულებებზე დაფუძნებული ენობრივი თუ საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვაც. ერთი მარტივი აქტივობის შთაგონება ყველგან, ზეპირ კომუნიკაციასა თუ სოციალურ ქსელებში, ქალებისადმი მიმართულ ლანძღვის, ბრაზის თუ სიძულვილის ენასთან დაპირისპირება, არა-თუ არად ჩაგდება და შეგუება. საგანმანათლებლო სივრცეებში T- ან სხვაგვარდიაგრამებიანი პოსტერების შექმნა და გამოფენა, მაგალითები კი უხვადაა მოქმედი პოლიტიკოსებისა თუ ჟურნალისტების განცხადებებსა და კომენტარებში. მოკლედ, დახაზეთ, ჩაწერეთ, მიუღებელი ფორმები წითლად გადახაზეთ, კარგები კი დატოვეთ და დიდი ფორმატით გამოფინეთ ყველგან: დერეფნებსა თუ სკოლის ეზოებში, ქუჩებსა თუ ინტერნეტში...

გაეცანით და სხვებსაც გააცანით სპეციალური ლიტერატურა, რომელშიც თეთრზე შავით წერია, რომ:

- **ქალთა მიმართ ძალადობა კომპლექსური მოვლენაა, ფესვები ღრმად აქვს გადგმული კულტურასა თუ რწმენებში, გამოხატულია სქესთა შორის ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილებით;**
- გენდერული ნიშნით ძალადობენ ყველა საზოგადოებაში და ეს მიზნად ისახავს ერთი სქესის (უმეტესად ქალების) სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებას მეორე სქესისადმი;
- ქალთა მიმართ ძალადობა გლობალური ფენომენია, რომელიც დამახასიათებელია სხვადასხვა რასის, ეთნოსის, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური კუთვნილების ადამიანებისთვის[2].

ძალადობის შემთხვევაში არსებობს სამი კომპონენტი: 1. მსხვერპლი; 2. მოძალადე; 3. ქმედება (ძალადობა). საქართველოს კანონმდებლობით, **მსხვერპლი არის პირი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.** მოძალადე აიძულებს ან ჩადის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ თუ სექსუალურ ძალადობას. ეს უკანასკნელი სექსუალური შევიწროებით იწყება და შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა/ერთი და იმავე სქესისა თუ გენდერული იდენტობის ადამიანებს შორის.

დღესდღეობით სექსუალური შევიწროების სამ ძირითად

ქალთა მიმართ ძალადობა გლობალური ფენომენია, რომელიც დამახასიათებელია სხვადასხვა რასის, ეთნოსის, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური კუთვნილების ადამიანებისთვის.

ფორმას გამოყოფენ – ვერბალურს, არავერბალურსა და ფიზიკურს, თუმცა თითოეული მათგანი პრაქტიკაში ქცევათა და ქმედებათა მრავალფეროვნებით ხასიათდება, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი არც არსებობს. ამდენად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, არის თუ არა ქმედება არასასურველი სექსუალური კონოტაციის მატარებელი.

სპეციალურ ლიტერატურაში[3] ვერბალურად გამოხატული სექსუალური შევიწროების რამდენიმე სახეს გამოყოფენ. ვერბალურ სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევა:

- სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი სიტყვები/ტერმინები;
- ფამილიარული, ცხოველის/ფრინველის სახელით მიმართვა, მაგალითად, „თოჯინა“, „პატარა“, „საყვარელო“, „ტკბილო“, „ჩიტუნა“, და ა.შ.;
- არასასურველი კომენტარები, კომპლიმენტები ან/და ხუმრობა გარეგნობის, სხეულის ან/და ჩაცმულობის შესახებ, მაგალითად, აქცენტის დასმა ქალის წონაზე, ტუჩებზე, მკერდზე, საჯდომზე ან/და სხეულის სხვა ნაწილზე მითითება;
- კანის ფერსა და სხეულის სუნის მიმზიდველობაზე ყურადღების გამახვილება;
- არაკორექტული კითხვები ან/და კომენტარები ადამიანის პირადი და ოჯახური თუ სექსუალური ცხოვრების შესახებ;
- სექსუალური დატვირთვის მქონე ეპითეტები და მეტაფორები, მაგალითად, ქალისა და მამაკაცის გენიტალიების, სექსუალური ურთიერთობების სხვა სიტყვებით გამოხატვა;
- სექსუალურ ფანტაზიებზე, გამოცდილებასა თუ შესაძლებლობებზე საუბარი;
- სექსუალური ურთიერთობის შეთავაზება ან/და ზეწოლა სექსუალური კავშირის დამყარების მიზნით;
- სექსუალური ცხოვრების შესახებ ჭორების გავრცელება;
- სექსუალური კონოტაციის შემცველი, არასასურველი დაპატიჟება პაემანზე;
- სექსუალურად ჩაცმის მოთხოვნა/მინიშნება.

არავერბალურ სექსუალურ შევიწროებად ითვლება:

- სექსუალური მზერა და ყურადღება;
- სტვენა; ხვნეშა;
- სექსუალური კონოტაციის მქონე ჟესტიკულაცია და მიმიკა, მათ შორის – თვალის ჩაკვრა, ტუჩების გალოკვა;
- გენიტალიების ჩვენება;
- პორნოგრაფიული მასალის დემონსტრაციული ყურება/ბეჭდვა;
- პორნოგრაფიული ან/და სექსუალური შინაარსის ფოტო- ან ვიდეომასალის ტირაჟირება;
- პირადი სივრცის, მათ შორის გასახდელი ოთახების, ვიდეოკამერით თვალთვალი;
- **სექსუალიზებული გარემოს შექმნა**, მაგალითად, მაცდუნებელი მუსიკით, მქრქალი განათებით, სანთლებით, ბუხრით;
- სექსუალური შინაარსის მქონე, არასასურველი წერილების გაგზავნა.

ფიზიკური სექსუალური შევიწროება გულისხმობს მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- ჩქმეტა; ხელის წამორტყმა;
- კუთხეში მიმწყვდევა;
- ხახუნი;
- ხელის გადახვევა ან/და ჩაკიდება; ჩახუტება; მოფერება; კოცნა/კოცნის მცდელობა;
- სხეულის ინტიმური ნაწილებით ან/და ნაწილებზე შეხება;
- სხეულის ინტიმურ ნაწილებზე არასაჭირო და არასასურველი მასაჟის გაკეთება;
- სხეულის ინტიმური ნაწილების არასაჭირო და არასასურველი სამედიცინო შემოწმება;
- იძულებით/შანტაჟით სექსუალური კავშირის დამყარება.

მიჩნეულია, რომ სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს როგორც ერთი, ცალკე მდგომი შემთხვევით, ისე მოიცავდეს სხვადასხვა სახის ქცევათა კასკადს. სექსუალურ შევიწროებად შეიძლება ჩაითვალოს **მტრული გარემოს შექმნაც,** რაც, როგორც წესი, ხასიათდება მრავალჯერადი შეურაცხმყოფელი ინციდენტებით, რომელთა ინდივიდუალური შეფასებისას შესაძლოა ვერც კი შევამჩნიოთ სექსუალური შემადგენელი.

იმის მიხედვით, რა სახით ვლინდება სექსუალური შევიწროება, გამოყოფენ სერიოზულობის სხვადასხვა ხარისხის ქმედებებს. „სერიოზულია“ ქცევა, რომელიც ფიზიკურ შეხებას, კონტაქტს მოიცავს, მაგალითად, შეხება, კოცნა, მოფერება, ჩახუტება და სხვა, ხოლო „ნაკლებად სერიოზულად“ შეიძლება მივიჩნიოთ ვერბალური და არავერბალური ფორმით გამოხატული ქცევა. მიჩნეულია, რომ ამგვარი დაჯგუფება შედარებით მსუბუქი და მძიმე ფორმით გამოხატული ქმედების პროპორციულად პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრას ემსახურება[4].

მთავარია, ადამიანებს კარგად ესმოდეთ სექსუალური შევიწროების ან ძალადობის დანაშაულებრივი არსი, რაც ზოგჯერ ძნელად მისაღწევია, რადგან შესაძლოა ჰქონდეთ, მაგალითად, რწყილების, სტოკჰოლმის ან მზეთუნახავის სინდრომი[5], ამიტომ უმნიშვნელოვანესია, ადრევე გამოვუმუშაოთ ასერტიული ჩვევები. ასერტიულობა თავდაცვის ინსტრუმენტია, რომელიც ვლინდება საკუთარი აზრის სხვისი შეურაცხყოფის გარეშე გამოხატვის უნარით, რათა სხვებთან ეფექტური კომუნიკაცია შევძლოთ.

- ასერტიული ადამიანი პატივს სცემს საკუთარ თავს და სხვებს.
- ასერტიულობა აძლევს ადამიანს სხვებთან ღია კომუნიკაციის საშუალებას.
- ასერტიული ქცევა ადამიანს აძლევს საშუალებას, დაიცვას საკუთარი პოზიცია, მაშინაც კი, როცა სხვებს განსხვავებული აზრი აქვთ.

ასერტიული ქცევა გულისხმობს:

- უარის თქმას შესატყვის სიტუაციაში და შესატყვის დროს;
- საკუთარი პოზიციის გამოხატვას – „არა, არ შემიძლია“;
- მიზეზის ახსნას – „დღეს დაკავებული ვარ“;
- გაგებას – „იმედი მაქვს, თქვენთვის შესაბამის სხვა საქმეს მოძებნით“;
- გრძნობების გამოხატვას. დადებითი გრძნობების გამოხატვა: „შენ ძალიან კარგად შეასრულე დავალება“; უარყოფითი გრძნობების გამოხატვა: „შენმა საქციელმა გული მატკინა“;
- ინფორმაციის, განმარტების თხოვნა: „თქვენ მე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დავალება მომეცით; თუ შეიძლება, ზუსტად ამიხსენით, რა გსურთ, რომ გავაკეთო?“

ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ სექსუალური შევიწროება და ძალადობა ოჯახის წევრების მხრიდანაც ხდება არასრულწლოვან ოჯახის წევრზე, ამიტომ უმნიშვნელოვანესია, ბავშვებს მცირე ასაკიდანვე ვასწავლოთ თავდაცვითი ჩვევები, კერძოდ: არ დავემორჩილოთ მოძალადეს; თავიდან ავირიდოთ და გავაპროტესტოთ არასასურველი შეხება; გავუზიაროთ დედას თუ მასწავლებელს; ვაცნობოთ პოლიციას. აღნიშნული პრობლემისთვის ყოველი დღე ერთნაირად მნიშვნელოვანია და აუცილებლად ითხოვს განათლებაში ჩართული პირებისგან ჯეროვან ყურადღებას.

შენიშვნები:

1. მარიამ გოდუაძე, 2018, https://mastsavlebeli.ge/?p=17124;
ანა ღვინიანიძე, 2023, https://shorturl.at/Rkyez ;
2. https://shorturl.at/8SSQk, გვ. 6.
3. https://shorturl.at/5GqNk, გვ. 20.
4. იქვე, გვ. 22.
5. გოდუაძე, https://mastsavlebeli.ge/?p=24555



ქეთევან კუპატაძე

„ვინ“ იმალება E-ს უკან?

ჩანაწერები საკვები დანამატების შესახებ

დღეს პროდუქტების უმეტესობას ხანგრძლივი შენახვის ვადა აქვს და ეს კონსერვანტების წყალობით ხდება. ამ მიზნით უამრავი ქიმიური ნივთიერება ემატება საკვებს და ეტიკეტზე ისახება E-სიმბოლოთი, რომელსაც ნომერი-კოდი მოსდევს.

სადმე, სუპერმარკეტში კალათით შეჩერებულ, პროდუქტების ეტიკეტების მკითხველ ქალბატონს თუ მოჰკარით თვალი, დიდი ალბათობით, მე ვარ. შერჩევის პროცესს დიდ დროს ვანდომებ და საყიდლებზე წასვლა ბოლო დროს სულ უფრო მეტად მეზარება.

არა, მთლად ზღვარგადასულად ფრთხილი არ ვარ და ზოგჯერ „ნაგავს“ შეგნებულად გეახლებით. მაგალითად, 2022 წლის ოქტომბერში ვენეციაში პროექტის ფარგლებში ვიყავი. ჩვენი ჯგუფი ხუთ მონაწილეს ითვლიდა. ისე დავგეგმეთ, რომ ორი დღე სრულად თავისუფალი გვქონოდა, ერთი – შეხვედრის დასაწყისში, მეორე კი – ბოლოში. ჰოდა, იმ პირველივე დღეს, დაღლილები, სასტუმროს წინ, წყლის ნაპირას ჩამოვსხედით და ვახშამდე ადგილობრივი კოქტეილის წრუპვა დავიწყეთ. მერე ერთი ჩვენიანი გაიქცა (არავის უთხოვია, თავისით) და იქვე, სუპერმარკეტიდან ყველას სათითაოდ ჩიფსი მოგვიტანა. ამითაც შევიქციოთ თავი და ჩვენი დაჯავშნილი ვახშმის დროც მოვაო.

და რას ფიქრობთ, რა გავაკეთე? ის ერთი შეკვრა ჩიფსი სრულიად შეგნებულად მივირთვი... უბრალოდ, როდესაც ასეთ ჯგუფურ სიტუაციაში ხვდები და უმრავლესობას „არაჯანსაღი“ პროდუქტის ჭამა სურს, თან მთელი გულით გპატიჟებენ, უხერხულია, „შეხტე“ ამაღლებულ ადგილას და მინილექცია წაუკითხო – რა ცუდია არაჯანსაღი კვება. ამას ჯობს, ყველასთან ერთად შენც გემრიელად მიირთვა. ოღონდ, ნახეთ, ეს ამბავი 2022 წელს იყო. ახლა 2024 წელია და მას შემდეგ ჩიფსს აღარ გავკარებივარ. რისი თქმა მსურს, მიხვდით, ხომ? ძალიან იშვიათად ორგანიზმი როგორმე „ნაგავსაც“ გადაიტანს.

მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ. დღეს პროდუქტების უმეტესობას ხანგრძლივი შენახვის ვადა აქვს და ეს კონსერვანტების წყალობით ხდება. ამ მიზნით უამრავი ქიმიური ნივთიერება ემატება საკვებს და ეტიკეტზე ისახება E-სიმბოლოთი, რომელსაც ნომერი-კოდი მოსდევს.

E100-109 – საკვების ყვითელი საღებავებია. E110-119 – საკვების ნარინჯისფერი საღებავები. E120-129 – წითელია. E130-139 – ლურჯი და იისფერი. E140-149 – მწვანეა, E150-159 – ყავისფერი და შავია. E160-199 კი ყველა დარჩენილ ფერს მოიცავს.

გამოდის, რომ ერთი და იმავე ფერის მისაღებად სხვადასხვა ნივთიერების გამოყენებაა შესაძლებელი. მაგ., E100 ბუნებრივი საღებავია და კურკუმინი ეწოდება. მას კურკუმის ფესვიდან იღებენ.

ავიღოთ სუპერმარკეტში ნაყიდი კურკუმას ფხვნილი და დავასხათ სპირტი. დაყოვნებისა და მორევის შედეგად საღებავი გამხსნელში გადაინაცვლებს. გავფილტროთ, სითხე გავაცხელოთ და დაველოდოთ სპირტის აორთქლებას. შედეგად დაგვრჩება სწორედ ის საღებავი, რომელსაც E100 შეიცავს. მისი მეშვეობით ყვითელ შეფერილობას აძლევენ ყველეულს, ნაყინს, ტორტებს, კანფეტებს. სუფთა სახით კურკუმინი აფთიაქებში იყიდება. ის ძალიან სასარგებლო ანტიოქსიდანტია და მეც წლებია, მისი მომხმარებელი ვარ.

სხვათა შორის, ასევე აფთიაქში იპოვით შემდეგ საღებავს – E101-რიბოფლავინს, იმავე B2 ვიტამინს. ორგანიზმს ის ძირითადად ერითროციტების სინთეზისთვის ესაჭიროება. იგი ფლავინდამოკიდებული ფერმენტების კოფერმენტების შემადგენლობაშიც შედის. გვხვდება კვერცხში, ხაჭოში, ღვიძლში. ამ პროდუქტებს თავად ბუნებამ დაუმატა. სპეციალურად კი ამატებენ კარაქს, საბავშვო კვებას.

ავიღოთ ამპულა ვიტამინ B2-ით, გავხსნათ წყალში. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, როგორ შეიფერება წყალი მომწვანო-მოყვითალოდ. თუ ულტრაიისფერ სინათლეს დავასხივებთ, მკვეთრი ყვითელი უფრო ნათლად გამოჩნდება.

თუმცა E101-ს დანამატად იშვიათად იყენებენ, ძვირი ჯდება. უფრო ხშირად E102-ს შევხვდებით. ეს სინთეზური საღებავი ტარტრაზინია. ყვითელი ფერის გაზიანი სასმელები, ჟელე, მდოგვი, ნაყინი, იოგურტი, კანფეტები და კრემიანი ნამცხვრები, სწრაფი მომზადების პიურე, დაკონსერვებული ხილი და ბოსტნეული –ყველაფერი ძირითადად ტარტრაზინს შეიცავს.

არადა, ბავშვებში ჰიპერაქტიურობას იწვევს, მაგრამ იაფია.

ასთმისა და ალერგიის მიზეზი შეიძლება გახდეს, არადა, იაფია.

ბევრ ქვეყანაში ერთი პერიოდი აკრძალეს კიდეც, მაგრამ სამეცნიერო კვლევების არასაკმარისი მონაცემების გამო, აკრძალვა გაუქმდა. უბრალოდ, სავალდებულოა, რომ ეტიკეტზე მწარმოებელმა დააწეროს პროდუქტში მისი არსებობის შესახებ.

E103-ალკანინი – მისი ფერი pH-გარემოზეა დამოკიდებული და შეიძლება იყოს ოქროსფერი, წითელი და იისფერიც კი. ახლა მისი გამოყენება იკრძალება, რადგან დამტკიცდა, რომ სიმსივნის გამოწვევა შეუძლია. თუმცა ადრე იაფფასიან ღვინოებში იყენებდნენ. სხვათა შორის, ერთ-ერთი სახეობის ფურსულას ფესვებიდან მოიპოვებენ.

ახლა აგვისტოა და ყველაზე მეტად ნაყინზეა მოთხოვნა. ბევრი ფერადი ნაყინი იყიდება, არა? რას უმატებენ ფერის მისაცემად? ავიღოთ თბილი წყალი და გავხსნათ სოდა, ანუ შევქმენით ტუტე გარემო.

თანამედროვე კვების წარმოება დანამატების გარეშე ვერ იარსებებს. თუმცა ალბათ ზომიერებაა დასაცავი და სანამ მწარმოებელი ამაზე იფიქრებს, მანამდე თავად ვიფიქროთ, რა, როგორ და რამდენი ვჭამოთ.

დავამატოთ ოდნავ გამდნარი წითელი ფერის ნაყინი. თუ წითელი ფერი ლურჯით შეიცვალა, ნაყინში ანტოციანები ყოფილა, ანუ მართლაც ხილის ექსტრაქტით არის შეღებილი. E163 ასევე ანტოციანია, ესეც ბუნებრივი გზით მიღებული. თუმცა, თუ მწარმოებელს იაფად გამოსვლა სურს, მაშინ E124-ს დაამატებს (პონსო) ან E122 -ს (აზორუბინი/კარმაზინი) გამოიყენებს. პონსო ყოველთვის წითელია, აზორუბინი კი ტუტე არეში ყავისფერ შეფერილობას იღებს.

ნამცხვრების თეთრი კრემის, საღეჭი რეზინის კაშკაშა თეთრ ფერს E171 უზრუნველყოფს და ეს ტიტანის დიოქსიდია. ავიღოთ სამი ჭიქა, ერთში დაქუცმაცებული თეთრი საღეჭი რეზინი მოვათავსოთ, მეორეში – თეთრი კრემი, მესამეში კი – არაჟანი, თითოეულს დავამატოთ კონცენტრირებული გოგირდმჟავა. ტიტანის დიოქსიდი გოგირდმჟავასთან ნელა შევა რეაქციაში და წარმოიქმნება ტიტანის სულფატი.



$$TiO_2+2H_2SO_4=Ti(SO_4)_2+2H_2O$$

მჟავასთან ასევე რეაქციაში შევა პროდუქტებში არსებული სხვა ორგანული ნივთიერებებიც, მაგალითად, შაქარი. შედეგად წარმოიქმნება ნახშირი, გოგირდის დიოქსიდი, წყალი და ნახშირორჟანგი. ამიტომ, ჭიქების შიგთავსი ჯერ ყვითლდება, შემდეგ ნელ-ნელა მუქდება შავ ფერამდე. სამივე ჭიქის შემცველობა გავფილტროთ, მიღებულ სითხეს დავამატოთ სისხლის წითელი მარილი. წარმოიქმნება მუქი ყავისფერი ნალექი, რადგან ოთხვალენტიანი ტიტანი კალიუმის ჰექსაციანო (III) ფერატთან შევა რეაქციაში.



$$Ti^{4+}+K_4[Fe(CN_6)]=Ti[Fe(CN_6)]+4K^+$$

თუ ფილტრატს, სისხლის წითელი მარილის ნაცვლად, ნატრიუმის თიოსულფატს დავამატებთ, მაშინ შავი ფერის მეტატიტანის მჟავა წარმოიქმნება. გამოდის, რომ საცდელად აღებულ ყველა პროდუქტში ტიტანის დიოქსიდი შედის.



$$Ti(SO_4)_2+2Na_2S_2O_3+H_2O = H_2TiO_3+2SO_2+2S+2Na_2SO_4$$

რამდენად უვნებელია ტიტანის დიოქსიდი, საკამათოა. არსებობს მონაცემები, რომ ის ვნებს თირკმელებსა და ღვიძლს.[1]

ჰოდა, ხომ შეიძლება, საღეჭ რეზინს თეთრი ფერი E170-ით შესძინონ? ეს ცარცი, იგივე კალციუმის კარბონატი გახლავთ. ხასხასა თეთრი ვერა, მაგრამ უსაფრთხო კი იქნება.

ახლა კიდევ ერთი ცდა. ჭიქაში მოვათავსოთ ორი კვერცხის ნაჭუჭი და დავამატოთ ტკბილი, მუქი, გაზიანი სასმელი. მოკლედ, ხვდებით, რომელიც... დავივიწყოთ ეს ჭიქა 24 საათით და მეორე დღეს ნაჭუჭი ამოვიღოთ. დავინახავთ, რომ შეფერილი იქნება. ზუსტად ასე ფერავს მუქი გაზიანი სასმელების უმრავლესობა ჩვენს კბილებსაც. ამ ტიპის სასმელებში კონსერვანტებსაც მოვიძიებთ – E200-299-ს. ამ დანამატების მიზანია მიკროორგანიზმების პროდუქტში გამრავლების შეფერხება და ვარგისიანობის გაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ნახშირორჟანგიც კონსერვანტია – E 290, თუმცა ძლიერი ვერ არის და ამიტომ უმატებენ სხვა ნებადართულ დანამატებს. მაგ., E202 კალიუმის სორბიტი, E211 ნატრიუმის ბენზოატი. ამ უკანასკნელის აღმოჩენა შემდეგი რეაქციით შეგვიძლია. ავიღოთ სინჯარა, ჩავასხათ რაიმე გაზიანი სასმელი და დავამატოთ რკინის (III) ქლორიდის ნაჯერი ხსნარი. შეინიშნება ოქროსფერი ნალექის წარმოქმნა. ეს რკინის ბენზოატია.

$$FeCl_3+3C_6H_5COONa=Fe(C_6H_5COO)_3+3NaCl$$

აი, ეს, ნატრიუმის ბენზოატი, კვლევების თანახმად, შეიძლება ნეიროდეგენერაციული დაავადებების გამომწვევი იყოს. არადა, იგივე ნივთიერება მოცვსა და სხვა კენკროვანებში შედის და ეს პროდუქტი სასარგებლოაო, ვიცით. საქმე რაოდენობაშია. ანუ ამ უდავოდ სასარგებლო კენკროვანებში მცირე რაოდენობით არის და გაზიან სასმელებში უკვე ბევრი გამოდის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი უკონტროლოდაც მიირთმევს.

E240 ფორმალდეჰიდი აკრძალულია. ადრე ძეხვეულსა და შებოლილ პროდუქტებში იყენებდნენ, ახლა – აღარ, თუმცა იაფფასიან წითელ ხიზილალაში შესაძლოა შეგვხვდეს.

E260 ჩვეულებრივი ძმარია. ასევე ნატრიუმის ქლორიდი, რომელიც დანამატებში არ შედის, თუმცა უდავოდ ეფექტური კონსერვანტია. ბევრი მარილი პროდუქტს ინახავს, თუმცა ეს დამანგრევლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

აქვე ისიც უნდა დავწერო, რომ ძალიან კარგად ვაცნობიერებ – თანამედროვე კვების წარმოება დანამატების გარეშე ვერ იარსებებს. თუმცა ალბათ ზომიერებაა დასაცავი და სანამ მწარმოებელი ამაზე იფიქრებს, მანამდე თავად ვიფიქროთ, რა, როგორ და რამდენი ვჭამოთ.

შენიშვნა:

1. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3423755/ https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2666911023000114)

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge